„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2010 წ. ოქტომბერი* №26 * ფასი 1 ლარი



როდემდე, კვისლინგ, როდემდე! გვ.3

ბატონო ბესარიონ, შეთქმულებასა და მკვლელობის მფარველობაში გადანაშაულებთ! გვ. 4

გლობალიზაციის ადგილობრივი ნაირსახეობა – „თარიჯანირება“ გვ. 16-17

ოპოზიცია, ჯერაც თვითგამორკვევის პროცესშია

ლეილა ცომაია

დღეისათვის მარტივ მამრავლებად დაშლილ–გაფანტული ყოფილი გაერთიანებული ოპოზიცია, ჯერაც თვითგამორკვევის პროცესშია. პოლიტიკური და ფინანსური კრიზისი, რომელშიც ისინი, განსაკუთრებით, არჩევნების შემდგომ აღმოჩნდნენ, აიძულებთ მათ სტაგნაციურ მდგომარეობაში ყოფნას, რაც, შეიძლება ორი წელიც გაგრძელდეს; რევანშისტულ ოპოზიციას, სამოქმედოდ, არ გააჩნია პოლიტიკური მოტივაცია, რისთვისაც მათ 2012–13 წლების საარჩევნო მარათონამდე მოუწევთ დაცდა.

არჩევნები, ოპოზიციის, პოლიტიკური ენერგო–მატარებელია.

დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ არსებული ოპოზიცია, რეალურად, არ წარმოადგენს იდეური ფასეულობების მქონე ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობას და არც რაიმე ნიშნით ენათესავებიან მას. სამწუხაროდ, მთელი ოპოზიციური სპექტრიდან, გამოიკვეთა პრო–რუსული ორიენტაციის მქონე უმრავლესობა. ეს რეტროგრადები, აშკარად უქმნიან საფრთხეს, მეოცე საუკუნის ეროვნული გმირების – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თვითშეწირვით მოპოვებულ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რითაც სააკაშვილზე მეტი სანდოობით, ნამდვილად არ გამოირჩევიან.

ცნობილია, რომ საქართველოში, ისტორიულად, მხოლოდ აგენტურული ოპოზიცია მძლავრობდა, რომელსაც ჩრდილოელი პოლიტიკური მამები, დღესაც აფინანსებენ. ამგვარმა აგენტურულმა ოპოზიციამ მე–20 საუკუნეში ორჯერ იარაღით დაამხო და განდევნა საქართველოდან დამოუკიდებელი რეს-

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

პუბლიკის მთავრობები.

დღეს, რუსეთი, ისე აშკარად და ღიად ვეღარ ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში, რამეთუ იძულებულია ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო აზრს საქართველოს მიმართ.

ოპოზიცია, გარდა რუსეთისა, დღეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც ფინანსდება, როგორც არჩევნებში მონაწილე პარტიები. დღევანდელი ოპოზიციური პარტიების ლიდერებს საკუთარი ძვირადღირებული მანქანები და ოფისებიც გააჩნიათ და რესტორნებში ქეიფებითაც არ იზღუდავენ თავს.

უფრო მეტიც, ამ რეტროგრადებისთვის, „ოპოზიციონერობა“, პოლიტიკური ბიზნესის კეთების ხერხად და საშუალებად ქცეულა, ხოლო მათი ვაგლახად მოიმედე ხალხი კი ინსტრუმენტ–მასად.

ოპოზიციის საზღვარგარეთიდან დაფინანსების ცნობა არახალია, ამაზე ხალხშიც ამბობდნენ, ტელევიზიით ფარულ ვიდეო-მასალებსაც უჩვენებდნენ და გაზეთებშიც წერდნენ. მოვიყვანთ ამონარიდს ერთ-ერთი გაზეთიდან: „... დრონი. ჯი-ს ინფორმაციით, სპეცსამსახურებს აქვთ ჩანაწერები ოპოზიციის ლიდერების მიერ თანხის მიღებისა და ამ ფულის გამოყენება-დანიშნულებასთან დაკავშირებით. ასევე, ხელისუფლებას გააჩნია მტკიცებულება უცხოეთიდან ოპოზიციის დაფინანსებისა და საეჭვო საბანკო გადარიცხვების შესახებ... გთავაზობთ იმ ადამიანთა სიას, რომლებიც დრონი ჯი.–ს წყაროს მონაცემებით რადიკალთა საგაზაფხულო–საზაფხულო აქციებს აფინანსებდნენ (თავად სპონსორებს კი, სავარაუდოდ, რუსული სპეცსამსახურები ამარაგებდნენ ფულით, რათა ოპოზიციის დაფინანსება საქართველოს მოქალაქეთა ხელით მომხდარიყო, ასე უფრო ჩრდილში იქნებოდა ფსბ–ო):

ასლან აბაშიძე – 6 000 000 დოლარი;
ბადრი მელაძე – 2 000 000 დოლარი;
ჯემალ გოგიტიძე (გარდაიცვალა – ლ. ც.) – 1 000 000 დოლარი;
კახა თარგამაძე – 4 000 000 დოლარი;
შალვა ბრეუსი – 2 000 000 დოლარი;
ალექსანდრე სილაგაძე, „საქაერონავიგაციის“ ყოფილი დირექტორი, სსრკ–ს დროის კგბ–ს კაპიტანი იყო – 1 000 000 დოლარი;
ბორის სალარიძე – საგზაო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე – 1 000 000 დოლარი;
ლევან მამალაძე – 3 000 000 დოლარი;
თემურ ბასილია – 500 000 დოლარი;
გოჩა ძასოხოვი – 1 500 000 დოლარი;
ალექსანდრე ებრალიძე – 4 000 000 დოლარი;
ზურაბ წერეთელი – 7 000 000 დოლარი;
ირაკლი ოქრუაშვილი – 3 000 000 დოლარი;
ზურაბ ლობჟანიძე („მადნეულის“ ყოფილი დირექტორი) – 1 000 000 დოლარი;
მიხეილ ხუბუტია – 7 000 000 დოლარი;
ბონდო შალიკიანი – 1 000 000 დოლარი;
ლევან პირველი – 2 000 000 დოლარი;
(გაზეთი „დრონი. ჯი.“ 2009 წ. 12 ოქტომბერი)

„დრონი. ჯი“–ს ამ სტატიის (სათაურით „ვინ რამდენი მილიონი გადაუხადა ოპოზიციის ლიდერებს და სად გაქრა 47 მილიონი დოლარი?“) ავტორი ლევან ჯავახიშვილი, აგრეთვე წერს, რომ „ეს არასრული სიაა იმ დამფინანსებლებისა, რომლებიც ოპოზიციას ფულს აძლევდნენ“-ო.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ზემომოყვანილი სტატია მთავრობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იყოს დაწერილი (მით უმეტეს, რომ ეს საგაზეთო ინფორმაცია, სამთავრობო ტელევიზიებითაც – „რუსთავი–2“ – გადაიცა), მაგრამ, ის პერმანენტული მიტინგები, რომლებიც 2009 წლის აპრილ–მაისში პარლამენტთან იმართებოდა, სერიოზული დაფინანსების გარეშე რომ არ არსებობდა, აშკარად ჩანდა.

ოპოზიციასა და ოპოზიციურ გაზეთებსაც, აუცილებლად სჭირდება დაფინანსება, როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების, ბიზნესმენების მხრიდან, მაგრამ, ოპოზიცია უნდა იყოს ჯანსაღი, კეთილსინდისიერი და მის ქმედებას უნდა წარმართავდეს პატრიოტული სულისკვეთება, არ უნდა იყოს ანგაჟირებული და მართული.

არსებულმა ოპოზიციამ, მასების თვალში, აშკარად დაკარგა ნდობა და ავტორიტეტი, რის გამოც უმძიმთ ხალხის წინაშე პირისპირ წარსდგომა. ამასთანავე, პოლიტიკურ ორიენტაციათა ფარული კონფლიქტი, ერთობ აძნელებს მათ ხელახალ შეკავშირებასაც. ისინი, ჯერ კიდევ თვითგამორკვევის პროცესში არიან. მათი რყევის ამპლიტუდა დიდად არის დამოკიდებული, თუ რომელი სახელმწიფოს (ამერიკის, თუ რუსეთის) გავლენა გაძლიერდება საქართველოში. ოპოზიციაც იქეთკენ გადაიხრება.

მკვეთრად გამოკვეთილი მტკიცე პოლიტიკური ორიენტაციის ოპოზიციის ლიდერი, ჩვენში, თითქმის არ არსებობს. იგივე ითქმის ირაკლი ალასანიაზეც, რომელმაც სააკაშვილისაგან განდგომის საკმარისი არგუმენტები დღემდე ვერ წარმოადგინა, ვერ დაარწმუნა საზოგადოება თავის გულწრფელობაში. ალასანიაც პრო-რუსულ, პრო-დასავლური პოლიტიკური ძალაა.

მეტ–ნაკლებად გარკვეულია „რესპუბლიკელებისა“ და „ეროვნული ფორუმელების“ პოლიტიკური პლატფორმა. შეიძლება ითქვას, რომ ისინი „მედასავლეთეები“ არიან. ხალხის მეტი ნდობა და მეტი სიყვარული დღეისათვის „ეროვნული ფორუმის“ ორ ლიდერს – გუბაზ სანიკიძესა და კახა შარტავას გააჩნიათ, ოღონდ არა იმდენად საკმარისი, რომ ისინი სახალხო ლიდერებად იქცნენ.

ეს ჩემი მცირე ანალიტიკური წერილი მინდა დავამთავრო მოწამეთას დავით და კონსტანტინეს მამათა მონასტრის ფეხით მოსიარულე წმინდა ღმრთისმსახურის მამა გიორგის (ბასილაძე) წინასწარმეტყველებით:

„ – იწყება დიდი გამოღვიძება! საქართველო მსოფლიო დონის სულიერი აღმოჩენების წინა პერიოდშია. გამაოგნებელი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საიდუმლოებები გამჟღავნდება საქართველოში. ღმერთი მსოფლიოს დაანახებს ქართველობის ნამდვილ სახეს და ეს მალე იქნება. ეს არ არის ლეგენდა – ეს სიმართლეა. ღმრთისაგან დაფარული უზარმაზარი ცოდნა, რომელიც საიდუმლოდ გადაეცემოდა წმ. ბერებს თაობიდან თაობაში და რომელსაც წიგნებში ვერ ამოიკითხავთ, მალე გაგვეხსნება. მთელი მსოფლიოს კეთილი სისტემა ელოდება ქართველთა გამოსვლას. ეს იცის ბოროტმა სისტემამაც, ამიტომაც არ გვანებებს თავს, როგორც სულიერად, ისე პოლიტიკურადაც. მაგრამ ფუჭია მათი შრომა, ვერ მოგვერევიან!... ის, რაც ღვთისგან დაიგეგმა და წინასწარმეტყველებით გვეუწყა, ყოველივე აღსრულდება. ოღონდ დიდი შრომაა საჭირო. ეს შრომა ქართველებისაგან უდიდეს ძალისხმევასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. არც სხვათა მიბაძვით და არც სხვების იმედად არაფერი გამოვა. ძნელია ქართველობა, მაგრამ აუცილებელი!...

მთავარია სულიერი განწმენდა, ნამდვილი რწმენა და სიყვარული ღმრთისა. განწმენდა ეკლესიიდან დაიწყება. როცა ერს ღმერთთან შუამავლად ღირსეული და წმიდა ადამიანები ეყოლება, ერი მეტად განმტკიცდება რწმენასა და სიყვარულში და წარმატებაც არ დააყოვნებს!

ომის ბედი ცაში წყდება. ომს ჯერ ბერები (სულიერ ღვაწლში დაბრძენებული) იგებენ – სულიერ ომს, მერე კი ხილული (პოლიტიკური) გამარჯვება მიწაზე ხდება. ჯერ წმიდანები ამარცხებენ ცოდვებსა და ბოროტებას, მერე კი ერი ღებულობს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და იწყებს აღორძინებას.

საქართველო ყველა დაკარგულ მიწა-წყალს დაიბრუნებს! დაიმახსოვრეთ ეს!“

მიხეილ სააკაშვილის დენაციონალიზაციის პოლიტიკა, ანუ ახალი ადამიანის შექმნა

განათლების ახალმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით, სკოლებში ინგლისური ენის სწავლება, დღემდე დადგენილი მე–5 კლასის ნაცვლად, უკვე პირველი კლასიდან დაიწყო. ამ მიზნით, განათლების სამინისტრომ, უცხოეთიდან ჩამოიყვანა 1000 ინგლისურენოვანი მოხალისე „პედაგოგი“, ხოლო, თითოეულ პირველ კლასელს, წიგნების ნაცვლად, უფასოდ დაურიგა საბავშვო კომპიუტერი (ლეპტოპი). აგრეთვე, დაგეგმილია ინგლისურენოვან ქართველ მასწავლებელთა გადამზადება.

ინგლისური ენის სრულყოფილად შესწავლისა და განვითარების მიზნით, ტელევიზიებში, აგრეთვე უნდა მოხდეს ფილმების სუბტიტრებით გაშვება.

„ჩვენ გვაქვს ჩვენი ენა, რომლითაც ვამაყობთ, მაგრამ ჩვენს გარდა არავინ არ იცის და თუ ნახავთ, სად იციან კარგად ინგლისური, ეს ის ქვეყნებია, სადაც არის ფილმები სუბტიტრებით“ – თქვა სააკაშვილმა, რომელმაც რეკომენდაცია მისცა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, მომზადდეს ინგლისური ენის ტელე–გაკვეთილები: „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა აკეთოს შემეცნებითი გადაცემები და არ უნდა გამოეკიდოს რეიტინგს“.

სააკაშვილის განცხადებით: „საყოველთაო კომპიუტერიზაცია ისტორიული საკითხია, რადგან ამით მართლა სხვა თაობას წარმოვქმნით... დრო გაშვებული გვაქვს ბევრი, მაგრამ ჩქარა თუ ვიმოძრავებთ, ყველაფერს დავეწევით. აი, ეს არის ჩვენი შემდგომი დიდი გამოწვევა საქართველოს მოდერნიზაციის კუთხით“.

თუ როგორ განუხრელად მიჰყვება სააკაშვილი თავისი პოლიტიკური მამის – ედუარდ შევარდნაძის კურსს საქართველოს დენაციონალიზაციის საკითხში, ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს შევარდნაძის დადგენილება.

განსხვავება მხოლოდ დროსა და სივრცეშია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ–ის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე 1972–1985 წ. წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ–ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 10 ივლისის ერთობლივი დადგენილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“.

ამ დადგენილებაში აღნიშნულია:

„რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ 1973–74 სასწავლო წლიდან შემოიღოს რუსული ენის სწავლება ქართულ ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებში პირველი კლასიდან“.

ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თამარ ლაშქარაშვილმა გამოსცა ბრძანება, სადაც აღნიშნულია:

1. შემოღებულ იქნას 1973–74 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენის სწავლება პირველი კლასიდან და საამისოდ გამოყოფილ იქნეს სამი კვირეული საათი“.

ამ დადგენილებას და ბრძანებას, ედუარდ შევარდნაძე ამართლებდა ეროვნულ შეზღუდულობასა და ჩამორჩენილობასთან ბრძოლით, კომუნისტური მსოფლმხედველობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დასამკვიდრებლად, ხოლო მიხეილ სააკაშვილს „კომპიუტერულ–ლინგვისტური რევოლუცია“ სჭირდება დასავლეთთან და ნატოსთან სრული ინტეგრაციის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურის სწავლების პირველი კლასიდან შემოღებას ე. შევარდნაძემ 2001 წლის დადგენილებით დაუდო საფუძველი, რის განმხორციელებლადაც, დღეს წარმოგვიდგა მ. სააკაშვილი, რომელმაც, დრომოჭმულ რუსიფიკაციის პოლიტიკას, ჩაანაცვლა ამერიკანიზაციის ფორსირებული პროცესი.

დავით არაბიძე

როდემდე კვისლინგ, როდემდე?!

ვახტანგის ადგილს
იჭერს ხეჩუა! –
ქართლი გვეცლება
თვალსდახელშუა!

მუხრანი

კვირა ისე არ გავა, რომ საქართველოს კომენდანტმა სააკაშვილმა თავისი ბრძენთა-ბრძნული გამონათქვამებით არ გაგვაოცოს, არ გაგვაკვირვოს, არ გაგვაოგნოს, რასაც თან ერთვის შიში, შიში ჩვენი ხვალინდელი დღის გამო. ვის ხელში ჩავვარდით, რა იქნება ხვალ?

დიახ, რა მოგველის ხვალ?! როგორი იქნება უპატრონოდ შთენილი საქართველოს მომავალი, რომელსაც უცხო თესლი და ეშმაკი დაჰპატრონებია? ამ დროს კი, ქართველები, ან ყურთბალიშზე ხვრინავენ, ან კიდევ შოუ-დისკოტეკებზე დაძუნძულებენ და შადრევნების შხაპებით იგრილებენ ახურებულ სხეულს.

„საქართველოში უფრო მეტი ქართველი მუსულმანია, ვიდრე ქართველი ქრისტიანი“ — გვამცნო საქართველოს საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტმა სააკაშვილმა არაქართველ მომავალ სტუდენტებთან შეხვედრისას.

ის, რომ წლეულს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 300 სხვა ეროვნების ახალგაზრდა ჩარიცხულა, ნამდვილად მისასალმებელია და საღად მოაზროვნე ადამიანს ამის საწინააღმდეგო არ უნდა ჰქონდეს.

მაგრამ...

გავეცნოთ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის რელიგიურ შემადგენლობას და დავინახოთ იმ კაცის ინტელექტუალური დონე, რომელიც საქართველოს ბატონ-პატრონობას იჩემებს.

საქართველოს 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, მისი მოსახლეობის 84% მართლმადიდებელი ქრისტიანია, მუსულმანი — 9,9%, დანარჩენი – კი სხვა აღმსარებლობის.

რადგანაც მუსულმანებზეა საუბარი და ისიც ქართველ მუსულმანებზე, რომლებიც რა თქმა უნდა, უმეტესწილად აჭარაში ცხოვრობენ, ამის შესახებაც მოვიშველიებ არსებულ მონაცემებს: აჭარის მოსახლეობა იგივე, 2002 წლის აღწერის მიხედვით, შეადგენს 376 016 კაცს. მათ შორის: მართლმადიდებლები 64% და მუსულმანები 30,6%-ია.

ასეთია საქართველოს მოსახლეობის რელიგიური თანაფარდობა.

აქედან ნათლად ჩანს, რომ კომენდანტ სააკაშვილს წარმოდგენა არ აქვს იმ სახელმწიფოზე (თუ ამას დღეს სახელმწიფო ჰქვია), რომელსაც ის კომენდანტობს.

აქედან ნათლად სჩანს ის, რომ მიშა ცრუ და ფლიდია, ერთნაირად ატყუებს ქართველსაც და არაქართველსაც, ქრისტიანსაც და არაქრისტიანსაც!

ის, რომ დღეს ქართველების ერთი ნაწილი მაჰმადიანური აღმსარებლობისაა, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის თავსდატეხილი ისტროიული ავბედობისა და უბედურების შედეგია. ეს კუთხე ხომ საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილი იყო დედა-სამშობლოს, განიცდიდა ეროვნულ და რელიგიურ ჩაგვრას, ამ მხარის ქართველობის გამაჰმადიანება განახორციელეს ძალადობრივი გზით. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ბოლო ათწლეულებში, ჩვენი სისხლხორცეული ძმები, უფლის ნებითა და თავიანთი სურვილით, თანდათან უბრუნდებიან დედა ეკლესიას, მართლმადიდებლობას!

ჩვენ ნამდვილად არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო სხვა აღმსარებლობის ხალხებთან, თუ კი ისინი მზაკვრულად არ შემოუტევენ ჩვენს მართლმადიდებლურ აღმსარებლობას.

აქ საქმე საქართველოს კომენდანტის ინტელექტის დაბალ დონეს და ამ სიმდაბლიდან გამომდინარე საქართველოს სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგოდ მიმართულ ნათქვამსა და ნაქნარს ეხება, რისი წაყრუებაც არანაკლები ღალატის ტოლფასია!

ჩვენთვის ნათელია ისიც, რომ საქართველოს კომენდანტის პირით სხვა ღაღადებს, ღაღადებს ის, ვისაც სურს ისტორიის სამუზეუმო ექსპონანტად გახადოს საქართველო და ქართველი ერი.

ამას წინათ იყო და, სააკაშვილმა, ქართველი ხალხი სომხურ ეთნოსს მიაკუთვნა, დღესაა და – გაგვამაჰმადიანა. ქართული საზოგადოების მხრიდან კი, რომ იტყვიან, იშვიათი გამონაკლისების გარდა, სრულ წაყრუებას ჰქონდა ადგილი.

იქნებ დავიღალენით და აღარ გვინდა, არც ქართველობა და აღარც მართლმადიდებლებად დარჩენა?

იქნებ ჩვენი ქართველობა, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ტრადიციები, ოცსაუკუნოვანი მართლმადიდებლობა ხელს გვიშლის თანამედროვე კაცობრიობასთან ინტეგრირებაში, წინაღობა და ბარიერია იმ „სანუკვარის გლობალიზაციისა“, რასაც ასე შესტრფის და ესწრაფვის საქართველოს დღევანდლი აპარტეიდული რეჟიმი?!

იმავე შეხვედრაზე კომენდანტმა სააკაშვილმა საზეიმოდ ასეთი „სიახლეც“ გვამცნო – „ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს შეუძლია, საქართველოს პრეზიდენტი გახდეს“ (სტილი დაცულია) (ზანგებსაც? — მიშას მარგალიტი) და თან ჩამოთვალა შაშკინი, ყურმანოვი...

საინტერესოა, გარდაფხაძეს თუ შეუძლია შაშკინისა და ყურმანოვის ისტორიულ სამშობლოებში პრეზიდენტად გახდომა?

ჩვენთვის საყვარელი და პატივსაცემია ყველა ის უცხოტომელი, ვინც საქართველოს თავის სამშობლოდ გულწრფელად გაითავისებს, მისთვის დაიდაგება და დაშვრება, სულერთია, რუსი იქნება ის თუ შირვანელი, მაგრამ ასეთებს, დღევანდელ ასპარეზზე, ნამდვილად ვერ ვხედავთ!

საკონცენტრაციო ბანაკად გადაქცეული საქართველოს კომენდანტის მიერ დასახელებული ერთ-ერთი „მომავალი პრეზიდენტის“ ისტორიულ სამშობლოში, მიჩუქებულ ქართულ მიწაზე, მართლაც ცხოვრობენ მუსულმანი და ქრისტიანი ქართველები – ჰერები. იქ, ჰერეთში ქართველებს ეკრძალებათ ქართული გაზეთისა და წიგნის წაკითხვა! იქ, საინგილოში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია გამუდმებულ დევნაშევიწროებაშია!

აქ, საქართველოში, ბოლნისში, უშველებელი მეჩეთი იგება. აქ, საქართველოში მუსულმანური დღესასწაული სახელმწიფო დღესასწაულად ცხადდება.

იქ, შორს ევროპაში, სადაც მილიონობით მუსულმანი ცხოვრობს, დღეს უარს ამბობენ მეჩეთების წამოჭიმვაზე, მუსულმან ქალებს უკრძალავენ თავსაფრის ტარებას. ეს ხდება იქ, დემოკრატიულ სამოთხეში, რომელსაც აგრერიგ შეჰხარის კომენდანტი სააკაშვილი.

როდემდის კვისლინგ, როდემდის ეს დამღუპველი და გულისამრევი მონური მაამებლობა და მორჩილება?!

მოღებულა და მორღვეულა საქართველოს ბჭენი, ქვეყანა ქცეულა ათასი ავაზაკის სათრეველად, ვისაც რამდენი უნდა იმდენს აჭრის საქართველოს სხეულს მიწას, ტყეს...

არადა, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გვაფრთხილებდა **აკაკი შანიძე:**

„აბა, ფხიზლად ქართველებო,
მივყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ,
ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ,
ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
ყური ვუგდოთ გურჯი-ბოლაზს
და ნუ ვაღებთ დარიალსა!
მოსწონდათ და ახლაც მოსწონთ
ჩვენი ქვეყნის მთა და ველი,
მზით დამწვარი ჰიჯაზელი,
გაყინული ჩრდილოელი,
სპარსი თურქი, ლეკ-მონღოლი,
ბერძენი თუ რომაელი,
ყველა ჩვენსკენ ისწრაფოდა,
ყველა მაშრიყ-მაღრიბელი“

აკაკი შანიძე, 5 დეკემბერი 1917 წელი, დედაქალაქი

ნუთუ სულ გაწყდა გონიერი, განათლებული და ქართულად მოაზროვნე ადამიანი კომენდანტ სააკაშვილის გარემოცვაში, რომ შეასწავლოს, შთააგონოს წინაპართა ღაღადისი?

ნუთუ აღარ დარჩა, თუნდაც სირცხვილის გრძნობის მატარებელი მის ამქარში?

ნუთუ არვის გესირცხვილებათ ასეთი უვიცობისა და სიყალბის მოსმენა?

აღარ გრცხვენიათ ამდენი დითირამბების და ლიქნის?

კომენდანტ სააკაშვილის გარემოცვაში მრავლად არის ხალხი, რომლებიც თავის დროზე ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლებად, მისი იდეების ერთგულ ჯარისკაცებად ასაღებდნენ თავს. გვინდა ზოგიერთ მათგანს მივმართოთ, თუნდაც ლევან ურუშაძეს.

ბატონო ლევან, გიცნობთ, როგორც ნამდვილად განათლებულ, ქართულად მოაზროვნე ადამიანს, ვიცნობთ შენს ოჯახსაც, სადაც ქართული სული სუფევს და ქართული გული ძგერს. შენს ოჯახში სტუმრობა ჩვენთვის ნამდვილი სულის ზრდა იყო, სადაც ინტელექტი, გონება და მამულიშვილობა ერთურთს ჰარმონიულად შერწყმია.

ბატონო ლევან, როგორ მიიღეთ, როგორ აიტანეთ სააკაშვილის ის სიტყვები, სადაც ეს უვიცი, წმიდა დავით აღმაშენებელს, ნატოში შესვლაზე მეოცნებედ გვისაღებდა? როგორ შეეგუეთ წმიდა თამარ მეფის ოსად გასაღებას, ქართველთა მოდგმის სომხურ ეთნოსად გამოცხადებას, ქართველი ხალხის გამაჰმადიანებას და მრავალ ასეთ მკრეხელურ უნგურობასა და უწიგნურობას?!

რატომ არ გვესმის თქვენი ხმა ყოველივე ამ უზნეობის წინააღმდეგ მიმართული?

ბატონო ლევან, თქვენც გხიბლავთ მიშასეული კონფედერაციის იდეა?

გვინდა მივმართოთ ბატონ მამუკა წიკლაურსა და მის ვაჟს, დღეს რომ სააკაშვილის რეჟიმის რუპორად ქცეულა, როგორ იტანთ ყოველივე ამას?

ბატონო მამუკა, გინდა ისეთი საქართველო, სადაც ქვეყნის ბატონ პატრონად ქართველი აღარ დარჩება და ყურმანოვები იქნებიან საქართველოს ბედის გამრიგენი?

ნუთუ მართლაც გაგვეყინა ძარღვებში სისხლი და გენი?

რამ დაგვამცრო და დაგვაგდო ასე?

ასეთი რა სიამე და განცხრომაა ამ გადაგვარებულ კასტაში, მას რომ ვანაცვალოთ ჭეშმარიტი მამულიშვილობა, ნუთუ ასე საამო და მიმზიდველია შადრევნების შხაპი?

იქნებ მართლაც ასეა, დღევანდელ ქართველობაში მაჰმადიანი სჭარბობს ქრისტიან მართლმადიდებლებს?

ნუთუ ამაოდ გვიმარტვილია, ნუთუ ამაოდ გაწყვეტილა ერთბაშად ასი ათასი ქართველი, ნუთუ ამოდ დაშანთულა დედა ქეთევანი? ნუთუ ამაოდ უღვრია ქართული სისხლი ქართველს ქრისტეს სამსხვერპლოზე მიტანილი?

გავძლებთ, გადავრჩებით კი ქრისტეს გარეშე?

ბოლო ათასწლეულები, თუ რამ შეუქმნია ქართველს ღირებული და საამაყო, ეს ყველაფერი ხომ ქრისტეს სულითა და მისადმი თავდაუზოგავი სიყვარულით შექმნილა.

ცხოვრებამ გვიჩვენა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რომ ქრისტეს მადლით ცხებული ქართული ქრისტიანული სულიერი თუ მატერიალური კულტურის საგანძურში, მხოლოდ ქართველ მართლმადიდებელს დაუდევს განძი ხელთუქმნელი, რამეთუ ეს სარწმუნოება მკვიდრად გამჯდარა ქართველობის გენში, მის სისხლსა და ხორცში, მის გულსა და გონებაში და თვინიერ მისა ვიქცევით არარაობად, დანომრილი ღორების კოლტად, გავქრებით და გადავშენდებით!

ქართველებო, დებო და ძმებო, გაუფრთხილდით ქართული ოჯახის სიწმინდეს, მის სიმტკიცეს, თორემ დანგრეულ და გავერანებულ ოჯახს ჩვენი მომავალიც ეწირება. უდანაშაულო პატარები ხდებიან მსხვერპლი და უმეტეს შემთხვევაში ყალიბდებიან არასრულფასოვან და ჩამოუყალიბებელ პიროვნებებად, რაიც ერთობ ვნებს ჩვენს მომავალს, ჩვენს სამშობლოს, ფაქტიც სახეზეა!

თითქოს ჩვენი თანამედროვეა საქართველოს სვეტბედით გულდაკოდილი და მასზედ მომტირალი მგოსანი დავით გურამიშვილი, თითქოს დღეს წერდეს ქართლის ჭირზე. დღესაც ხომ იგივე უბედურება და რისხვა დასტყდომია თავს ამერ-იმერს, ვითარც ამ სამიოდე საუკუნის წინ, ამიტომ ჩვენი წერილის დასასრულს მოვიყვანთ მის სტრიქონებს:

მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ
პასუხი უყო ცოდვისა;
ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა;
ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ლოდისა.
მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროდის ოდისა!
მოუგის დიდი სიყმილი, შემუსრის ძალი პურისა;
აღარვინ იყვის ღვინითა აღმავსებელი ჭურისა.
შემცირდის ხართა ნახნავი, მოსწყდის ნაწველი ფურისა,
ყვნის სასწაული, არ იყვის კაცი მიმგდები ყურისა!

ალექსანდრე სანდუხაძე

ბატონო ბესარიონ, შეთქმულებასა და მკვლელების მფარველობაში გადანაშაულებთ!

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საპარლამენტო კომისია (თავმჯდომარე – პარლამენტარი კონსტანტინე გამსახურდია) მუშაობას განაგრძობს.

იმის გამო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო უმრავლესობამ, კომისიას, საგამომძიებლო სტატუსი არ მისცა, შეთქმულებაში მონაწილე სავარაუდო ეჭვმიტანილები, ხელის აქნევით ამბობენ უარს კომისიასთან თანამშრომლობაზე (გუგუშვილი, შევარდნაძე...).

კომისიის მუშაობას, ასევე დიდად აფერხებს და აზარალებს საჭირო თანხების უქონლობა, საპარლამენტო უმრავლესობამ, ვერა და ვერ გაიმეტა, კომისიის მიერ მოთხოვნილი 10 000$ უცხოელი ექსპერტებისათვის, რისი მიზეზითაც მათი მოწვევა დღემდე ვერ ხერხდება. ეს იმ რეალობაში, როდესაც, სააკაშვილის როკ–შოური ხელისუფლება, ასი ათასობით დოლარს ხარჯავს გართობის ინდუსტრიის და ბულვარ–შადრევნების მშენებლობებში.

აშკარაა, ე. შევარდნაძის მემკვიდრე სააკაშვილი, არ არის დაინტერესებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის რეალური და ფაქტიური გამოძიებით, არამედ, საპარლამენტო კომისია მას მხოლოდ „კეთილი ნების“ ჟესტის დემონსტრირებად სჭირდება. სააკაშვილი ვალდებულია დაიცვას თავისი პოლიტიკური მამისადმი მიცემული „ხელშეუხებლობის“ გარანტია.

ამადაც, მთავარი სახელმწიფო დამნაშავე – პუტჩისტი და პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობის შემკვეთი – ე. შევარდნაძე, სრულიად უსაფრთხოდ და გულმშვიდად განაგრძობს უზრუნველყოფილ ცხოვრებას კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში. ერთადერთი, ვინც მის სიმშვიდეს აფრთხობს, ეს არის ერის – ეროვნული მოძრაობის ხმა–შეძახილები („მკვლელო!“ „სისხლიანო!“), რომელიც, აგერ უკვე მეორე ათეული წელია, გამუდმებით ისმის ამ „თეთრი მელის“ რეზიდენციასთან და სიცოცხლეს უმწარებს.

არსებითად აუცილებელი დაფინანსების მოლოდინში, კონსტანტინე გამსახურდია, თვიდან თვემდე კომისიის მუშაობის გახანგრძლივებას ითხოვს, რაზეც თანხმობას ამჯობინებს საპარლამენტო უმრავლესობა, ვიდრე იგი საჭირო ფინანსებითა თუ საგამომძიებლო სტატუსით აღჭურვოს. თავად კონსტანტინე გამსახურდია, შეუძლებელია, რეალურად არ აფასებდეს შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ ცდილობს ბოლომდე გასწიოს ჭაპანი, რათა პოლიტიკური შეფასებისთვის ვარგისი დასკვნა მაინც დადოს და ისტორიულად ამხილოს სახელმწიფო დამნაშავენი.

ჩვენს მტკნარ ღიმილს იწვევს ბიზნესმენთა (საქართველოსა თუ საზღვარგარეთ მყოფ) სრული უგულისყურობა გაცხადებული ფინანსური პრობლემებისადმი. მაშინ, როცა ეს გაქსუებული ბიზნესმენები, ამდენივე თანხას (10 000$), უშურველად ხარჯავენ რესტორნებსა და „კრუიზებში“, ხოლო არ ავლენენ მეცენატობას ამ ისტორიული დანაშაულის გამოკვლევაში. ეს სამარცხვინო ფაქტი, თანამედროვე ბიზნესმენთა სრულ დეგრადირებასა და დენაციონალურობაზე მეტყველებს. ეს კვაჭი, თუ ქუდ–ბედიანი პერსონები, მხოლოდ „ფულის ტომრებად“ ქცეულან სწორედ და არად ანაღვლებთ ერი და ისტორია. არადა, დამოუკიდებელი საქართველოს რეს-პუბლიკის მკვლელობის გამოძიება, თითოეული ქართველის ეროვნული ღირსების საკითხია!

სააკაშვილის აშკარა მფარველობით გულმოცემული ე. შევარდნაძე და ბესარიონ გუგუშვილი, ერთნაირად დემაგოგობენ, მრისხანებენ: „ვის გაუგია, შვილი იძიებდეს მამის მკვლელობას, ობიექტური „იქნებაო?!“ ეს „ჩვენ უნდა გამოვიძიოთ, ეროვნულმა ხელისუფლებამო“ – გაცხარებით გვიკიჟინებს გუგუშვილი ფინეთიდან.

თქვენ, ბატონო ბესარიონ, პრეზიდენტის შეთქმულებასა და მკვლელების მფარველობაში ეჭვმიტანილმა უნდა გამოიძიოთ?! მერედა, ობიექტური იქნებით?! ან ვინ გიშლიდათ აქამდე ხელს, შევარდნაძესა და თქვენ, გამოგეძიათ, თუნდაც „თვითმკვლელობა“ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასი? იქნებ ის „საიდუმლო ხელშეკრულება“, რომლის არსებობა, საჯაროდ (მას–მედიით), თქვენ მხოლოდ 2005 წელს გაუმჟღავნეთ საზოგადოებას და ისიც, თავდაცვის მიზნით? მოდით, კიდევ ერთხელ გავეცნოთ ამ ხელშეკრულებას (მასზე ჩვენს გაზეთში იხ. „განმათავისუფლებელი“, 2007 წ. აპრილი, № 13, „რა საშინელი დანაშაულის გამჟღავნების ეშინიათ მანანა არჩვაძესა და ბესარიონ გუგუშვილს?“, გვ. 1–3).

„ზვიად გამსახურდიას ოჯახი, მისი ქვრივის სახით, არასოდეს არ წამოაყენებს რაიმე სხვა ვერსიას ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შესახებ, გარდა თვითმკვლელობისა. ხოლო ჩვენ, ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეები არ მოვითხოვთ ცხედრის მიმართ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას, არც ჩეჩნეთში და არც საქართველოში და არ მივიღებთ მონაწილეობას ამასთან დაკავშირებულ არავითარ გამოძიებაში; პრეზიდენტის ოჯახის მოთხოვნა: ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმეები კატეგორიულად უარს ამბობენ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა თუ რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე.

პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახი კატეგორიულად უარს ამბობს, რომ გარდაცვლილის ცხედარი გაკვეთონ, გამოიკვლიონ, ანდა განახორციელონ რაიმე სხვა მოქმედება, გარდა უშუალოდ ადგილზე ამოცნობისა“ (იხ. გაზ. „ასავალ–დასავალი“, № 48 (587), გვ. 17. 2005 წლის 28 ნოემბერი – 4 დეკემბერი).

ჩვენთვის უცნობია ამ შავბნელი საიდუმლო დოკუმენტის შედგენის ზუსტი თარიღი (საგაზეთო მასალაში მითითებული არ არის. სავარაუდოდ, იგი პრეზიდენტის იჩქერიაში გადასვენების პერიოდში შედგა), ხელმომწერთა ვინაობა და ზუსტი რაოდენობა. დოკუმენტის მთავარი ხელმომწერნი, გუგუშვილი და პრეზიდენტის ქვრივი ქ–ნ მანანა ვალდებული არიან საზოგადოებას და საპარლამენტო კომისიასაც განუმარტონ „ხელშეკრულების“ დადების აუცილებლობის მოტივი და გარემოებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს „ხელშეკრულება“ თავად ამხელს მათ შეთქმულებაში. თუ გარდაცვლილი პრეზიდენტის ქვრივი ქ–ნი მანანა, ცხედრის მოპოვების (გროზნოში ჩასვენების) სანაცვლოდ იძულებულყვეს დაედო ამგვარი მძიმე პირობები (ექსპერტიზის ჩაუტარებლობა და სხვა), დღეს, ისეთივე კატეგორიულობით რატომღა ეწინააღმდეგება პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიებასა და ექსპერტიზას?

ზემომოყვანილი ე.წ. „ხელშეკრულება“, ჩვენის აზრით, გუგუშვილისეული ინტერპრეტირებაა ქ–ნ მანანა არჩვაძე–გამსახურდიას მიერ 1994 წლის 13 იანვრის წერილისა, რომელიც მან, გროზნოდან, მოთხოვნების ჩამონათვალის სახით (5 ჩამონათვალი) გამოუგზავნა შევარდნაძის ხელისუფლებას. ეს მოთხოვნები, სწორედ ჩამონათვალის სახით, დაბეჭდილი აქვს გურამ შარაძეს თავის დოკუმენტურ წიგნში „ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება“ (გამომცემლობა „სახალხო წიგნი“, თბილისი, 1995, გვ. 13). ამავე წიგნში გურამ შარაძე წერს გარდაცვლილი პრეზიდენტის შვილების – ცოტნესა და გიორგის, აგრეთვე, პირადი მცველის მ. ჭიჭინავას ნაამბობს, რომელსაც დაუბან–გაუპატიოსნებია პრეზიდენტის ცხედარი: „ტანზე რაღაც ლურჯი ზოლები შეიმჩნეოდაო, რაც ალბათ მოწამვლით უნდა აიხსნასო!“ (გვ. 44) და ა.შ.

ბესარიონ გუგუშვილი ხან ამბობს, რომ პრეზიდენტი მოწამლული იყოო და ხანაც, უარყოფს. პრეზიდენტი რომ მოწამლულიყო, ამას ადასტურებენ დაცვის წევრები ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე (იხ. „ასავალ–დასავალი“, 2005 წ. 21–27 ნოემბერი, გვ. 16–19).

როსტოვის ექსპერტიზით, პრეზიდენტის ცხედრისა და შვილის ცოტნე გამსახურდიას **დნმ**-ით – კვალიფიციურად დადასტურებულია, რომ გროზნოდან გადმოსვენებული ცხედარი, ნამდვილად არის ზვიად გამსახურდიასი.

ის მრავალმხრივი მოტეხილობები, რომელიც როსტოვის ექსპერტიზის დასკვნით, ნატყვიარის გარდა აღენიშნებოდა ცხედარს, უთუოდ და სავარაუდოდ, საფლავის გრუნტის სიმძიმით უნდა წარმოქმნილიყო.

ამგვარი მძიმე დაზიანებების საჯაროდ გაცხადებამ, გულუბრყვილო ხალხში გააღვიძა მბჟუტავი იმედი, რომ ცხედარი შეიძლება არ იყოს. ზვიად გამსახურდიასი, არამედ რომელიმე ჩეჩენის, ხოლო ზვიადი კი, ცოცხალი იყოსო.

ბესარიონ გუგუშვილი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის დასტურად, რატომღაც იმოწმებს აწ-გარდაცვლილ ექიმ დავით ჯალაღონიას და კონსტანტინე გამსახურდიას მასთან გასაუბრებას უთითებს (გვჯერა, რომ ემიგრაციაში მყოფს არა აქვს ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ). საბედნიეროდ, თავის დროზე მასთან ინტერვიუ აქვს ჩანერილი გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მაშინდელ კორესპონდენტს ქ-ნ ბელა შალვაშვილს. ეს ერთადერთი ინტერვიუ მე და კონსტანტინემ, ქ-ნ ბელასგან ერთდროულად გამოვითხოვეთ. ამ ვრცელ ინტერვიუში (იხ. „ასავალ–დასავალი“, 2004, 1–14 ნოემბერი) ექიმი დავით ჯალაღონია, რომელმაც გარდაცვლილ პრეზიდენტს ბალზამირება გაუკეთა, გუგუშვილის ნათქვამზე დაყრდნობით ამბობს, რომ „ეჭვი, რომ სხვამ მოკლა, არ არსებობდა“ო. ამასთანავე, „... იარაღი ზედ საფეთქელზე არ იყო მიდებული, ოდნავ შორიდან არის ნასროლი“–ო. ხოლო საბოლოო სიტყვაში ინტერვიუერი ექიმი ჯალაღონია კი აცხადებს: „ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, როგორ და რა ვითარებაში გარდაიცვალა უსაყვარლესი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ამიტომ ექსპერტიზაა საჭირო!“-ო

აი, ასეთი მაღალი მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი თვითშეგნებით დაგვმოძღვრა თქვენს მიერ რეკომენდირებულმა ექიმმა დავით ჯალაღონიამ, ბატონო ბესარიონ. თქვენ კი, უბრალო ახირებული კაცივით მიეთ-მოეთობთ და აშკარად არ გაგაჩნიათ პრემიერ-მინისტრის პასუხისმგებლობის სახელმწიფოებრივი განცდა, არამედ განრისხებული ეწინააღმდეგებით პრეზიდენტის გარდაცვალების ექსპერტიზასა და ყოველგვარ გამოძიების სამართლებრივ პროცესს, რაშიც უპირველესად თავად უნდა იყოთ დაინტერესებული, რათა არ დარჩეს ეჭვი თქვენი იოტისოდენა დანაშაულისაც, რომ პირნათელი იყოთ ერის, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე.

მაგრამ, ყველასა და ყველაფრის წინაშე, საუბედუროდ, თქვენ პირშავად ხართ! – თქვენს თვალწინ დახვრიტეს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, თქვენ იცნობთ პრეზიდენტის მკვლელებს.

დიახ, ბატონო ბესარიონ, სახელმწიფო შეთქმულებასა და პრეზიდენტის მკვლელების მფარველობაში გადანაშაულებთ!

„ზვიადმა, თავისი სიკვდილით, ჩვენი სიცოცხლე იხსნაო“ – ხმამაღლა დაგცდათ იჩქერიაში, პრეზიდენტთან გამოთხოვების სამგლოვიარო მიტინგზე.

მამულიშვილნი სხვაგვარ არჩევანს გააკეთებდნენ.

ლეილა ცომაია

ლმერთმა ნუ შეგვასწროთ სტალინის ძეგლის აღდგენას!

სტალინის ძეგლის აღებამ ჩვენს საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია. ვერ წარმოვიდგენდით, სტალინის პიროვნებას დღესაც თუ ამდენი გულშემატკივარი ეყოლებოდა.

ბოლო ოცწლეულში საქართველოში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების წყალობით, საღად და ქართულად მოაზროვნე ადამიანისათვის, გაცხადდა გასული საუკუნის ოციან წლებში საქართველოში განხორციელებული ეროვნული ტრაგედიის მიზეზები, ისტორიული სიმართლე.

ამ ტრაგედიის შედეგები საქართველოს დღესაც ვერ მოუშუშებია და მისი სხეულიდან დღესაც მოსჩქეფს აფხაზეთის, შიდა ქართლის, ჰერეთის, ტაო-კლარჯეთისა და ლორე-ბორჩალოს ჭრილობებიდან მომდინარე ქართული სისხლი.

ვინ იყო ამ უბედურების მომტანი, ვინ და რატომ მოაშთო ახალფეხადგმული თავისუფალი საქართველო?

ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის პასუხი ცალსახაა – ქართულ გვარ-სახელში გახვეული, ქართველთმოძულე იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი – სტალინი!

მაინც ვინ იყო სტალინი? იყო კი ქართველი გვარ-ტომითა და სულით?

ვიცით, რომ არსებობს დიდი ივანე ჯავახიშვილის ნარკვევი სტალინის წარმომავლობის შესახებ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, როდის და რა ვითარებაში დაიწერა ეს ნარკვევი. ან რატომ გახდა საჭირო მისი დაწერა და სტალინის ქართველობის მტკიცება? საუკუნეზე მეტია ქართულ საზოგადოებაში მუსირებს აზრი სტალინის არაქართული წარმოშობის შესახებ, არსებობს უამრავი ვერსია და არგუმენტი, სომხები სტალინის სომხობას იჩემებენ, ოსებს კი, არცთუ უსაფუძვლო არგუმენტები და მასალები მოჰყავთ მისი ოსობის დამამტკიცებლად. ზოგი მისი გვარის ძირს „ჯუღას“ ქართულ ფოლადს უკავშირებს. არის ასეთი ვერსიაც: „ჯუღა“ ოსურად ნიშნავს „ნაგავს“. გვარი ჯუღაევი საკმაოდ გავრცელებულია ოსებს შორის, რომლებსაც ცარიზმის დროს გვარის დაბოლოება, როგორც წესი ქართული ჰქონდათ.

მიუხედავად საქართველოს ისტორიული უბედურებისა, რომელიც ჩვენს სამშობლოს ამ სულგაყიდულმა მანქურთმა დაატეხა თავს, ქართველი კერპთაყვანისმცემლები მაინც ამაყობენ სტალინის ქართველობით. საქართველოს წინააღმდეგ მის მიერ ჩადენილი ბოროტებიდან გამომდინარე, იბადება კითხვა — იყო კი საერთოდ სტალინი ქართველი?

ამ ბნელით მოცულ კითხვას ასე პასუხობს გრიგოლ რობაქიძე: „სტალინი მხოლოდ იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისა.“

ამავე კითხვას, რომელიც მარშალმა პაველ რიბალკომ დაუსვა სტალინს გამარჯვების აღსანიშნავ წვეულებაზე, „დიდმა ბელადმა“ ასეთი პასუხი მიაგება — Я не грузин — я русский грузинского происхождения!

ესეც თქვენ, თავგადამკვდარო ქართველო მანქურთ-სტალინისტებო, თვით მას არ უნდოდა რომ ქართველი ყოფილიყო და თქვენ კი, როგორც ვირს ატენიდნენ პიტნას, ისე ატენით ამ თქვენს კერპს ქართველობას.

სხვათა შორის, მის მამობაზე რამდენიმე კაცი აცხადებდა პრეტენზიას, მათ შორის – ფოსტის მოხელე, მღვდელი, მეჩექმე... და თქვენ წარმოიდგინეთ, არის ეჭვები პრჟელვალსკიზეც...

სიმართლე ერთია — ამ კაცის მთელი ცხოვრება გაჟღენთილი იყო საქართველოს და ქართველი ერის ზღვარდაუდებელი სიძულვილითა და მტრობით.

ეს ახალგაზრდა მარქსისტი საქართველოში თავისი ცუდი რეპუტაციის გამო, იძულებული იყო რევოლუციური კარიერა საქართველოს გარეთ დაეწყო. ჯერ ბაქოში, შემდეგ კი რუსეთში. ახალგაზრდა იოსებ ჯუღაშვილი, ახალგაზრდა ბოლშევიკი, პროფესიონალი ბანდიტი, გახდა ლენინის ფინანსისტი, ის ლენინს ამარაგებდა ფულით, რომელსაც ბანკებზე თავდასხმით, ვაჭრებისაგან და მეწარმეთაგან გამოძალვით, გემებზე ყაჩაღური თავდასხმით, ადამიანთა გატაცებით იხვეჭდა – ამ საქმიანობას თან ახლდა მკვლელობები.

საქართველოში ბოლშევიკების შემოთახსირებამ ქვეყანას სისხლის თქეშად გადაუარა, საქართველოს ისტორიაში შავი არშიით გარშემოვლებული დარჩა 1921, 1922, 1924, 1929-1933, 1937-1938, 1941-1942, 1951-1952, 1956 წლები.

ქართველთმოძულე სტალინმა ქართველობა, არც მეორე მსოფლიო ომის დროს დაინდო, ქვეყანაში სამჯერ გამოცხადდა მობილიზაცია და ფრონტზე გაიწვიეს 700 000-ზე მეტი მამაკაცი, საქართველოს მოსახლეობის 20%. ამ დროს საქართველოს მოსახლეობა 3. 540. 000 კაცს აღწევდა. ეს კი გაციცლებით აღემატება ომში მონაწილე დიდი სახელმწიფოების მაჩვენებელს — მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით ომში გაწვეულთა რაოდენობა იმ დროისთვის ნებისმიერ სახელმწიფოში შეადგენდა საშუალოდ 6,5%. საქართველოს ომში დაეღუპა 350. 000 მეტი გაწვეული. ხოლო ცოცხლად დარჩენილთა უმრავლესობა ქვეყანას დაუბრუნდა ავადმყოფი და ხეიბარი. ცოცხალი ძალის დანაკარგი ამერიკისათვის შეადგენდა 274 000 ადამიანს; ინგლისისათვის 264 000; საფრანგეთისათვის კი 200 000 კაცს.

მსოფლიო ომის დასასრულიც უბედურებად დაატყდა იმპერიის ნაომარ მოსახლეობას — ტყვედყოფილთა უმრავლესობა გაასამართლეს და გააციმბირ-გააკატორღეს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართველებიც.

კერპთაყვანისმცემლებს აღიზიანებთ გრიგოლ რობაქიძის სახელის სხსენება, რომელმაც შესაშური სიბრძნითა და სამართლიანობით დაგვიხატა მტარვალი. ურიგო არ იქნება აქ მოვიყვანოთ ამონარიდი მისივე ნაწარმოებიდან „ჩაკლული სული“:

„ვიწრო, სუსტად განვითარებული შუბლი... ჭორფლი, რომელიც მისი სახის ფერს ციცარს ამსგავსებდა. ნაბიჯებს კატასავით ნელა, რბილად ადგამდა, თითქოს სურდა რაღაცას დამალვოდა, ან ვინმეს შეუმჩნევლად თავს დასხმოდა... ულვაშებში ირონია, დაცინვა ჩამალულიყო, თითქოს სურდა ეთქვა: მე ვხვდები, რისი დაფარვაც გინდა. ამ მდუმარე განცხადებას მაღლა აწეული მარცხენა წარბი აძლიერებდა... სიცოცხლის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და ყველგან მტრები ელანდებოდა. მტრის დასაძლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაჭერა და ირონია.

სტალინის თავდაჭერა იოგებისას ჰგავდა, ხოლო მისი ირონია უბადლო იყო. ნელა, გაუნძრევლად, გულგრილად აღიზიანებდა იგი მოწინააღმდეგეს. აქეზებდა, დასცინოდა, წყობიდან გამოჰყავდა. ის ცილისწამებითა და დამცირებით სპობდა თავის მტრებს. ამაში უმოწყალო და სასტიკი იყო. მისი ცივი, ჭიხვინა ჩაცინება ხანდახან მკაცრ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიცილში გადადიოდა... მის ხასიათში იმთავითვე რაღაც უცხო გვარის ბოროტი თესლი ბუდობდა... ახლო არავისთან იყო. არ ჰყოლია არც ერთი მეგობარი, რადგან ასეთი ვინმე – მეგობარიც რომ ყოფილიყო, – სამუდამოდ მის ქვეშევრდომად უნდა დარჩენილიყო... აშკარად სტანჯავდა სამყაროს მრავალფეროვნება. მეტიც: თვით სიცოცხლის ატანა არ შეეძლო. მკრეხელურად ოცნებობდა ნგრევაზე, რათა თავისი გამანადგურებელი თვითნებობა გამოეცადა და გაეტარებინა... ის დაშორდა ღმერთს და თავაშვებულ მმართველად აღზარდა თავი. ის ყველგან ცუდს ხედავდა, და სადაც კეთილს შეხვდებოდა, დამცინავად იღიმებოდა. ცივსისხლიანი, სასტიკად უმოწყალო გახდა. ერთხელ, ერთ შუკაში წიწილას ფეხი დაებიჯაო, ჰყვებიან. წიწილას ცალი ფეხი მოსტყდა და წივილით გაფრთხიალდა. სტალინი დაეწია და მთლად გასრისა. „შენ მაინც აღარ ივარგებ„, დაიყვირა უცნაური მრისხანებით„ (იხ. გრ. რობაქიძე, ჩაკლული სული, სტალინის ჰოროსკოპი).

სტალინის მეხოტბენი თხზავენ ათასგვარ მითებს მისი შავბნელი ცხოვრების შესანიღბ-შესალამაზებლად, გვისაღებენ მას მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის აკვნიდანვე მებრძოლ რაინდად, სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადაა, სიცრუე და ყალბისმქნელობა სიყრმიდანვე მისი ცხოვრების თანამდევი ყოფილა:

„ვინ აღუდგა სტალინის ბიოგრაფიის გაყალბებას წინ და რა მოჰყვა ამას“

ანრი შავლაძე

იოსებ სტალინის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ იგი თბილისის სასულიერო სემინარიიდან რევოლუციური მოღვაწეობისათვის გარიცხეს. ეს არ შეეფერება ჭეშმარიტებას. იმხანად, ყველა გამოჩენილი ბოლშევიკი ცდილობდა თავისი ბიოგრაფია შეელამაზებინა და საქმე ისე წარმოედგინა, რომ ლამის აკვანშივე რევოლუციურ მოღვაწეობაში იყო ჩაბმული. გამონაკლისი, არც სტალინი იყო. პოლიტიკურ ოპონენტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ იოსებ ჯუღაშვილს მის მოწინააღმდეგეებზე უფერული ბიოგრაფია არ უნდა ჰქონოდა. სტალინი საქმეს სერიოზულად მოეკიდა და მისი ახალგაზრდობის წლების ბიოგრაფიული მომენტების გაყალბებას შეუდგა. ეს საქმე 1935 წელს ლავრენტი ბერიამ დაიწყო, რომელიც ერთ-ერთ დიდ ფორუმზე გამოვიდა მოხსენებით „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ მოხსენების ტექსტი ბერიას დაწერილი არ უნდა ყოფილიყო და იგი ერიკ ბედიას ეკუთვნოდა. ცხადია, ამ ხმებმა ლავრენტი ბერიამდეც მიაღწია, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა ერიკ ბედიას. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ერიკ ბედია უფრო მისი ლამაზი ცოლისადმი ლავრენტი პავლეს ძეს ტრფობას შეეწირა და არა გავრცელებულ ხმებს. უუფრო სავარაუდოა, რომ ერიკ ბედიას ბედი ორივე მიზეზმა გადაწყვიტა. ლავრენტი ბერიამ თავის მოხსენებაში, სტალინი პირველ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას –“მესამე დასს“ დაუკავშირა, რაც სრული სიცრუე იყო. „მესამე დასი“ 1892-1893 წლებში შეიქმნა, იოსებ ჯუღაშვილი კი ამ დროს მხოლოდ 14-15 წლისა იყო. ცხადია, სტალინი „მესამე დასის“ მოღვაწეთა შორის ვერ იქნებოდა. ცნობილია ისიც, რომ მოგვიანებით იოსებ ჯუღაშვილი მართლაც დაუკავშირდა „მესამე დასს“, მაგრამ ამ ორგანიზაციის უხუცეს წევრთან, სილიბისტრო ჯიბლაძესთან შელაპარაკება მოუვიდა და სილიბისტრომ სტალინი კარგა გვარიანად გამოლანძღა, ლაწირაკიც კი უწოდა. მის შემდეგ სტალინი „მესამე დასს“ აღარ გაჰკარებია.

იოსებ სტალინის ბიოგრაფიის შელამაზების მეორე ეტაპი დაიწყო ისტორიკოსმა ივანე ტოვსტუხამ. იგი წერდა, რომ სატლინი სემინარიაში სწავლის პერიოდში ჩაება რევოლუციურ მოღვაწეობაში და სათავეში ჩაუდგა სემინარიაში არსებულ მარქსისტულ (სოციალ-დემოკრატიულ) წრეს. ტოვსტუხა ტყუოდა. ამ პერიოდისათვის არავითარი სოციალ-დემოკრატიული წრე თბილისის საულიერო სემინარიაში არ ყოფილა, უფრო მეტიც, არანაირი რევოლუციური ჯგუფი და წრე თბილისის სასულიერო სემინარიაში არასდროს არსებულა. ტოვსტუხამ კიდევ უფრო დიდი ტყუილი თქვა: 1899 წელს სტალინი სემინარიიდან რევოლუციური მოღვაწეობისთვის გარიცხესო. ნამდვილი ისტორია კი ასეთია: სტალინი გორის საულიერო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1894 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. იყო სანიმუშო მოწაფე, არანაირ საეჭვო საქციელში შემჩნეული არ ყოფილა. გალობდა საულიერო სემინარიის ჯგუფის გუნდში (მეორე ხმა). 1894-1895 სასწავლო წელს, ანუ სემინარიის პირველ კლასში, არასაპატიო მიზეზით მას, არც ერთი საათი არ გაუცდენია. მთელი წლის განმავლობაში კი საპატიო მიზეზით მხოლოდ 14 საათი ჰქონდა გაცდენილი. ამიტომ იყო, რომ სტალინს, როგორც პირველი კლასის, ისე მომდევნო კლასების დასრულების შემდგომაც ყოფაქცევაში მუდამ „ფრიადი“ (5) ეწერა. იოსებ ჯუღაშვილის მონდომებამ თავისი შედეგი გამოიღო. პირველი კლასი მან წარმატებით დაასრულა.

იოსებ ჯუღაშვილი სასულიერო სემინარიიდან, არც რევოლუციური მოღვაწეობისა და არც სხვა რაიმე მიზეზით არ გაურიცხავთ. საქმე ის იყო, რომ სასულიერო სემინარიაში სწავლის საფასურს არ იხდიდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილები. სტალინი სასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდა, ამიტომ სწავლის საფასური პირადად უნდა გადაეხადა. დედამ ეკატერინე (კეკე გელაძემ) როგორღაც მოახერხა და სწავლის საფასური გაუნახევრა — სწავლის საფასურის 50% (40 მანეთი) ჯუღაშვილს პირადად უნდა გადაეხადა, დარჩენილ 50% კი საეკლესიო ხაზინა დაფარავდა. პირველი კლასის წარმატებით დასრულების მიუხედავად, ჯუღაშვილს II კლასში სწავლის გაგრძელების უფლებას არ აძლევდნენ. მას გადახდილი არ ჰქონდა პირველი წლის სწავლის საფასურის 50%.

იოსებ ჯუღაშვილმა თხოვნით მიმართა სემინარიის რექტორს, რათა მისი სწავლის საფასური მთლიანად საეკლესიო ხაზინას დაეფარა. სემინარიის რექტორმა ნიჭიერი ყმაწვილის თხოვნა შეიწყნარა. შემდგომში სტალინს შეღავათი გაუუქმეს და სწავლის საფასურის გადახდა მოსთხოვეს. თუმცა, იგი დადგენილ თანხას ვერ იხდიდა. ასე დაამთავრა სტალინმა სემინარიის 4 კლასი. სემინარიის მმართველობამ მოსთხოვა სწავლის საფასურის დავალიანების გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სემინარია უნდა დაეტოვებინა. სტალინმა სწავლის საფასური ვერ გადაიხადა, რის გამოც მეხუთე (დამამთავრებელ) კლასში სწავლა ვეღარ განაგრძო და 1899 წელს სემინარია ყოველგვარი კონფლიქტისა და გართულებების გარეშე დატოვა. თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტად იოსებ სტალინი 1889 წლის 29 მაისამდე ითვლებოდა. ამავე წლის 2 ოქტომბერს ჯუღაშვილს მისცეს მოწმობა, რომელსაც ხელს აწერდა: სემინარიის რექტორი – არქიმანდრიტი გერმოგენი, სემინარიის ინსპექტორი ბერ-დიაკონი დიმიტრი. მოწმობაში აღნიშნულია, რომ სტალინმა შეისწავლა სემინარიის 4 კლასის პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი, ყოფაქცევაში ფრიადი შეფასებით. სტალინი რომ სემინარიიდან რევოლუციური მოღვაწეობისთვის გაერიცხათ, მაშინ მას ყოფაქცევაში მაღალ შეფასებას არ დაუწერდნენ. ყოფაქცევაში ფრიადი ნიშნავდა იმას, რომ სტალინი 1899 წლის მაისამდე, არანაირ ანტისახელმწიფოებრივ, რევოლუციურ მოღვაწობაში შემჩნეული არ ყოფილა. გარდა ამისა, როდესაც სემინარიიდან მოსწავლეს რევოლუციური საქმიანობისთვის რიცხავდნენ, სემინარიის მმართველობა საქმის კურსში აყენებდა ჟანდარმერიას. რის საფუძველზეც აღიძრებოდა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყებოდა ძიება. სტალინის შემთხვევაში კი სემინარიის მმართველობას ჟანდარმერიისათვის არაფერი უცნობებია და ჯუღაშვილის წინააღმდეგ საქმეც არ აღძრულა. ასე რომ, იოსებ ჯუღაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიიდან რევოლუციური მოღვაწეობისათვის არ გაურიცხავთ. იგი სემინარიიდან წავიდა სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, ისევე როგორც იმხანად ბევრი სხვა სემინარიელი. სტალინი რევოლუციურ მოღვაწეობაში, სწორედ სემინარიიდან წასვლის შემდეგ ჩაება. ასე რომ, ივანე ტოვსტუხა, მხოლოდ და მხოლოდ 2-3 წელში „შეცდა“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კვლავ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ

ქალბატონი ნინო ბურჯანაძე კარგა ხანს იყო ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების დამრიგებელიც, მასწავლებელიც, მათზე მზრუნველად გადაფოფრილი დედა. სწორედ, ის იდგა კლდესავით და იცავდა მათ, როდესაც ეს პატარა ბიჭები ათასნაირ სისულელეს ჩადიოდნენ.

მაგრამ პოლიტიკა დაუნდობელი რამეა, როგორც ამბობენ, აქ მუდმივი მეგობრები არ არსებობენ. მეგობრებს ვინ ჩივის. თურმე შვილობილებიც არ ყოფილა მუდმივი. ჰოდა, გადაუდგნენ ერთმანეთს დედობილი და შვილობილები, და მათ შორის – „დღეის აქეთ, მოციქული არის ტყვია“.

სანამ ნაცმოძრაობას – ქალბატონი ნინო სიდინჯეს, გაწონასწორებულობას, დაირბაისლობასა და ბევრ ისეთ რამეს შემატებდა, რომელზედაც პატარა ბიჭებს – დროის ხარჯვაც არ უნდოდათ, იგი შევარდნაძის გუნდში მოიაზრებოდა. მით უმეტეს, რომ ბატონ ედუარდს ქალბატონ ნინოს ოჯახის აყვავებაში ლომის წილი აქვს შეტანილი.

მაგრამ, როდესაც შევარდნაძის ვარსკვლავმა ქრობა დაიწყო – ქალბატონ ნინოს სიბნელეში დარჩენა ცხადია არ სურდა, ამიტომ ის ნაცმოძრაობის სიჩქარე აკრეფილ მატარებელს მარჯვედ შეახტა და ყველამ ერთად, ე. შევარდნაძეს ისე გადაუარეს, მისგან სველი ადგილიც აღარ დატოვეს.

თუმცა, ქვეყანაზე მუდმივი არაფერია და ნაციონალური იდილიაც დიდხანს აღარ გაგრძელებულა, როდესაც აზვირთებული ხალხის ტალღებმა ნაცმოძრაობის ნავი აქეთ–იქით ახეთქა, ქალბატონი ნინო მიხვდა, რომ საქმე კარგად ვერ იყო. მან დიდხანს იფიქრა, აწონ–დაწონა, თუ საით გადაიხრებოდა სასწორი, ამასობაში „ნაცების“ ნავმა ბზარიც გაიჩინა და ქალბატონ ნინოს ფეხებიც დაუსველდა, ეს კი იმისი ნიშანი იყო, რომ, ან „ნაცებს“ უნდა ჩაჰყოლოდა ბოლომდე, ანდა აზვირთებული ხალხისკენ მოესვა. მან ეს უკანასკნელი გზა აირჩია და კოსტაიასი არ იყოს, ძახილით, თქვენი ვარ, მეც თქვენიო! – ხალხთან მიიჭრა.

მაგრამ, ამჯერად გუმანმა არ გაუმართლა, მოხდა გაუთვალისწინებული რამ – „ნაცებმა“ თავიანთი ხელისუფლება, არათუ ჩაძირვას გადაარჩინეს, სახელისუფლებო ნავი შეაკეთეს კიდეც და ლაღადაც აგრძელებენ ცურვას. ქართველმა ხალხმა კი თავის წიაღში მილიონერი შვილის უკან მობრუნებას, ცოტა არ იყოს და, ეჭვის თვალით დაუწყო ყურება. ეს კი დიდ პოლიტიკაზე მეოცნებე ქალბატონის გეგმებში საერთოდ არ შედიოდა, გადაეწურა რა ქართველი ხალხის მხარდაჭერის იმედი, ქალბატონმა ნინომ თავისი მზერა დიდ რუსეთს მიაპყრო და გული იმით დაიმშვიდა, რომ თვითონ ქართველი მეფეები, უფლისწულები, ბაგრატიონები, დახმარებისათვის ხშირად რუსეთში გარბოდნენ; ჰოდა! მე, აზნაურიც არა ვარო, იფიქრა ქალბატონმა ნინომ და ერთ მშვენიერ დღეს პირდაპირ პუტინის კაბინეტში ამოყო თავი.

ეს პუტინი. თავისი შავბნელი საქმეებით წინამორბედების მსგავსად, ფლობს თუ არა შავ მაგიას და როგორი წინასწარმეტყველია ამას მომავალი გვიჩვენებს. მთავარია, რომ ნინოს მისი იმედი აქვს, ჰოდა, ვინ იცის, შეიძლება გუმანმა ამჯერად გაუმართლოს კიდეც და ის საქართველოში რუსეთის მიერ ხელდასხმული ფავორიტი პრეზიდენტი გახდეს. და თუ როგორ, ამას აქვე მოგახსენებთ.

როგორც დასავლეთის ისე ქართულ პრესაში, პოლიტოლოგები, სხვადასხვა ექსპერტები თუ ჟურნალისტები, აშკარად ხედავენ და წერენ კიდეც იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა, სულ რაღაც მოკლე ხანში, რადიკალურად შეცვალა თავისი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ და აშკარა თვალების დახუჭვით, საშუალებას აძლევენ მას, უპირობოდ აღადგინოს თავისი ზეგავლენა – არა მარტო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც კი, რომლებიც სხვათა შორის, თავის დროზე, კრემლის გულის გასახეთქად, ერთი მეორის მიყოლებით, ნატოს წევრები გახადეს. ამ მოვლენას ერთმა ქართველმა პოლიტოლოგმა, გეოპოლიტიკური მიწისძვრაც კი უწოდა, ვერ გეტყვით ამის მიზეზად ვინ რა სარჩულს მოძებნის, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ თავი და თავი ყველაფრისა არის ამერიკის შეერთებულ შტატებში ბარაკ ობამას პრეზიდენტად არჩევა.

უძლიერესი სახელმწიფოს მეთაური გახდა – აფრიკელი მონების შთამომავალი, რომელიც, მართალია დაიბადა ამერიკაში, მიიღო განათლება ამერიკაში,არის მილიონერი, მაგრამ, ამავე დროს, არის მონის გენეტიკური კოდის მატარებელი, მას ქვეცნობიერად სძულს ამერიკა. მისი ფსიქიკა მოტივირებულია ხელმძღვანელის, უფროსის, პატრონის მიმართ მოწიწებასა და მოკრძალებაში. სამწუხაროდ, რუსი ჰყავს ბატონთან და პატრონთან ასოცირებული და მისადმი შიშით არის შეპყრობილი. ქართული ნახატი ფილმისა არ იყოს, ვეფხვად გადაქცეულმა წრუწუნამ კი იცის, რომ ვეფხვია, მაგრამ არ არის დარწმუნებული, კატამ თუ იცის ეს. იგივე ჭირს ობამას; მან კი იცის, რომ უძლიერესი სახელმწიფოს მეთაურია, მაგრამ არ არის დარწმუნებული იმაში, იცის თუ არა ეს პუტინ–მედვედევმა. ამიტომ, მასში ჩადებული მონის კოდი, მენტალურად მზადაა რუსი ბატონად წარმოიდგინოს და მის მიმართ ყველანაირ დათმობაზე წავიდეს. რუსიც გრძნობს, რომ ტეხასელი მონათმფლობელის ნაცვლად, მის წინაშე ახლა ჩვეულებრივი მონა დგას, რომელსაც მის დანახვაზე, მუხლებში აკანკალებს და თავის მოთხოვნებში – სულ უფრო რადიკალური ხდება. რომ არა ობამას გარემოცვის გარკვეული ზეგავლენა თავიანთ შავკანიან, ვინ იცის, რამდენჯერ გაშოლტილი მონა წინაპრების შთამომავალზე – არც ის იქნებოდა გასაკვირი, თეთრი სახლის თავზე წითელ ნამგალურროიანი სიმბოლიკით დამშვენებულ დროშასაც რომ ეფრიალა, რაც ძალიან გაახარებდა ამხანაგ პუტინს.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპას – იქ მართლაც უცნაური ამბები ხდება. ჯერ იყო და მეოცე საუკუნის შუა ხანებში, კაცთმოძულეობის ისეთი ფორმები გამო-

ამჟღავნეს, მათი მაყურებელი თემურ–ლენგიც ჩავარდებოდა კომაში. მილიონობით ადამიანს, ვითომდა ყველაზე ცივილური გერმანელები ცოცხლად აძრობდნენ ტყავს და გაზის კამერებში დაუნდობლად ხრუკავდნენ. მერე ამ საშინელებიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ და ჰუმანიზმის მოტივით, ისეთი კანონები მიიღეს, ხვალ თუ ზეგ, ევროპას სახალიფოებად გადაქცევა ემუქრება. ცოტა აკლია ტაუერი და ლუვრი მეჩეთებად გადააკეთონ. არ ვიცი ქრისტიანთა უგუნურობას, როდის მოეღება ბოლო!

ამასობაში, ქართველი ე.წ. პოლიტიკოსთა ნაწილი, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის გამოსწორების საბაბით, ცდილობს მოიპოვოს რუს პოლიტიკოსთა, თუ კრემლის მესვეურთა კეთილგანწყობა და მათი ბუნდოვანი, ორაზროვანი გამონათქვამები – იმის საწინდრად გამოაცხადონ, რომ თურმე,რუსებს არ ვუყვარვართ, რომ არა საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა, კრემლი მზად არის, არა მარტო აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვიბრუნოს, არამედ სოჩაც ზედ მიაყოლონ. ხელისუფლებიდან წამოსვლის, თუ დათხოვნის შემდეგი მდგომარეობა ზოგისათვის ძნელი გადასატანი გახდა; ნაწილისათვის კი, წინასწარ მორგებულ თანამდებობაზე, უარის მიღებით აშლილი ამბიციები, ძნელი დასაოკებელი. ასე რომ კრემლის მესვეურებთან კეკლუცობა – საქართველოზე ზრუნვით კი არა, არამედ პირადი ზრახვებით არის გაჯერებული და არა ობიექტური მდგომარეობით განპირობებული.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ – წავიდა საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი. მოვიდა, ვთქვათ, კრემლში მოსიარულე რომელიმე ქართველი პოლიტიკოსი პრეზიდენტად. რუსეთში ისე უხარიათ – ამ ამბავს ზარზეიმით აღნიშნავენ. საწყალი საქართველო, საუკუნეები გადის და თითქოს არაფერი იცვლება! ოსმალებმა სიმონ მეფე რომ დაატყვევეს – სტამბულში ერთი კვირა ზეიმობდნენ. რა გითხრათ, – ახლა XXI საუკუნეა და არა მგონია ვთქვათ, სააკაშვილი რუსებმა რომ დაიჭირონ, პუგაჩოვივით გალიაში გამომწყვდეული ჩაიყვანონ მოსკოვში, მაგრამ ღმერთმა უწყის მაგათი თავი. ვინ იცის – კრემლში აზროვნება არ იცვლება – მსოფლიო დერჟავობაზე ოცნება კვლავაც ძალაშია.

ერთი სიტყვით, სათავეში მოვიდა კრემლის ფავორიტი პრეზიდენტი. მათი გულის მოსაგებად – პირველ რიგში აცხადებს, რომ საქართველოს არანაირი საფრთხე ჩრდილოელი მეზობლიდან არ ემუქრება. მაშასადამე, არანაირი აუცილებლობა ისეთ სამხედრო კავშირში გაწევრიანებისა, სადაც ჩვენს მისაღებად ვენებს მაინც არავინ იჭრის, სულაც არ წარმოადგენს აუცილებლობას. ხოლო კითხვაზე, რა ვუყოთ საქართველოს მოსახლეობის იმ 65 პროცენტს, რომელმაც რეფერენდუმზე ხმა მისცეს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, რუსეთის ფავორიტ ჩვენს პრეზიდენტს ასეთი პასუხი აქვს – უარს ვამბობთ ნატოზე, სამაგიეროდ ვაშლი შეგვიძლია შევიტანოთ რუსეთში განუსაზღვრელი რაოდენობით. კეთილი და პატიოსანი, ერთი პრობლემა მოვაგვარეთ.

მაგრამ კრემლს – ნატოზე ჩვენს მიერ უარის თქმა არ აკმაყოფილებს, ის თავს ისე გვიჩვენებს, რომ ეს მისთვის აბსოლუტურად რიგითი საკითხია, – ის ჩვენთვის იყო და არის სასიცოცხლო მნიშვნელობის, თორემ რუსეთისათვის ნატოზე ჩვენი უარი ვითომ მხოლოდ პოზიტიური მომენტია და მეტი არაფერი. რა უნდა მოიმოქმედოს ასეთ შემთხვევაში კრემლის ფავორიტის პრეზიდენტმა? იგი კვლავ აცხადებს, რომ საქართველოს საფრთხე ემუქრება საერთაშორისო ტერორისტებისაგან, ჩრ. კავკასიელი ბოევიკებისაგან, მითიური სახელმწიფოებისაგან – მათგან თავის დაცვა კი ჩვენ არ შეგვიძლია, ამიტომ რუსული სამხედრო ბაზები უნდა დაბრუნდნენ საქართველოში, სად? ესეც ცნობილია: ახალქალაქში, ბათუმსა და თბილისში.

კვლავ ისმის კითხვა: რა ვუყოთ საქართველოს მოსახლეობის იმ უმრავლესობას, რომლებიც დღეებს ითვლიდნენ, სანამ რუსები გავიდოდნენ საქართველოდან და თან მუსიკით მიაცილებდნენ მათ.

კრემლის ფავორიტ პრეზიდენტს აქაც აქვს პასუხი: რუსული ჯარების დაბრუნებაზე, ჩემო ქართველებო, თქვენ ნუ იჯავრებთ! სამაგიეროდ, რუსეთში ფალსიფიცირებული ღვინო შეგიძლიათ შეიტანოთ განუსაზღვრელი რაოდენობით. კიდევ ერთი პრობლემა მოგვეხსნა.

რას აკეთებს ამასობაში რუსი? არის კმაყოფილი!

გვიბრუნებენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს? თურმე ნუ იტყვით და მაინც, არა!

რა უნდა ქნას მაშინ კრემლის ფავორიტმა პრეზიდენტმა – მან ეს ძალიან კარგად იცის და აცხადებს! საერთაშორისო პროექტები, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით – შუა აზიისა და აზერბაიჯანის წიაღისეულ სიმდიდრეებსა თუ რესურსებს, სხვადასხვა სადენებითა და რკინიგზით დასავლეთ ევროპას დააკავშირებს – ეს არის ძვირადღირებული პროექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საქართველოს ეკოლოგიას, შეიძლება ტერორისტების სამიზნეც გავხდეთ, ამიტომ და იმიტომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ მათში მონაწილეობაზეო.

კვლავ ისმის კითხვა – რა ვუყოთ საქართველოს იმ მოსახლეობას, რომლებსაც დოლარ–დოლარ დაანგარიშებული ჰქონდათ, სად რამდენ ნავთობსა და გაზს უნდა გაევლო, რა უნდა დაგვრჩენოდა ჩვენ.

ფავორიტი პრეზიდენტი გვეუბნება – ოღონდ თქვენ ამაზე ნუ ინერვიულებთ – რუსი თანახმაა ონიშჩენკოს მიერ მოწამლულად გამოცხადებული ბორჯომიც კი დალიოსო. აი, ასე ნაბიჯ–ნაბიჯ მივიწევთ წინ.

რაზეც შეიძლებოდა უარის თქმა, ყველაფერზე ვთქვით! გახარებულებს კრემლისაკენ გვაქვს მზერა მიპყრობილი და ველოდებით ნანატრ გადაწყვეტილებას, რომ ბოლოს და ბოლოს რუსი იტყვის, ჯანდაბას – წაიღეთ სამოთხე და ედემიც. ჩვენ, მთვრალები, თუნდაც ჯოჯოხეთში წავალთო! გზა იქითაც ჰქონიათ, მაგრამ ნურას უკაცრავად, – რუსი მაინც არ აბრუნებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს.

რაშია საქმე!? – ფავორიტი პრეზიდენტი გვეუბნება, რომ ჩვენ უნდა შევუერთდეთ რუსეთ–ბელორუსიის კავშირს, მაგრამ ისეთს კი არა, ლუკაშენკოს სამასხარაოდ რომ გაუხდია, არამედ უნდა გაუქმდეს ქართული ჯარი, თვითონ რუსებს იმდენი ჰყავთ, სად წაიყვანონ არ იციან!

უნდა გაუქმდეს ქართული ლარი, რუსული რუბლი, ჯერაც ბევრს არა აქვს დავიწყებული!

არ არის საჭირო საგარეო პოლიტიკა – ნერვების მოშლის მეტი რა მოგვიტანა!

არ არის საჭირო საზღვრების დაცვა – ხარჯებთან არის დაკავშირებული და ამას თვითონ რუსი მიხედავს და ა.შ.

აი ასე, „მარტივად“ და რაც მთავარია, „უმტკივნეულოდ“ მოაგვარებს საქართველოს „გაერთიანების“ საკითხს ფავორიტი პრეზიდენტი, ვინაიდან არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, სად იქნება აფხაზეთი და სამაჩაბლო, რადგან ჩვენც იქ ვიქნებით, სადაც ისინი – ანუ რუსეთში!

აკაკი ვარაზაშვილი

1989 წლის 13 ოქტომბერს მერაბ კოსტავა მოკლეს

მამულისათვის წამებული გმირის სული დასტრიალებს მთაწმინდას და სრულიად საქართველოს

ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმული სიტყვა მთაწმინდაზე მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან წლისთავთან დაკავშირებით

„ერთმა წელმა განვლო, თითქოს გუშინ იყო ის შავი დღე, როდესაც მერაბი გამოგვაცალეს. არ ვიცი რა შეედრებოდა ამ საშინელებას, გადავიტანდით თუ არა ამას მისი ძმები, მაგრამ, ალბათ, ღმერთმა განგვაძლიერა, რამეთუ არ გვაქვს უფლება, რომ ჩავიმუხლოთ, თუნდაც. თავად მერაბის სულს შეაშფოთებდა ჩვენი დაცემა. მჯერა, როგორც თავად მერაბს სჯეროდა საიქიო სულის უკვდავება და ამით იყო იგი დიადი, ამით იყო იგი უძლეველი. თუ მან გაძლო იმ ჯოჯოხეთში, თუ მან ბოლომდე გაიტანა თავისი მსახურება, სწორედ ამ რწმენით, რომელიც განუზომლად იყო. განუზომლად და ის ამბობდა — მხოლოდ ამ რწმენით შეიძლებაო გამარჯვება, მხოლოდ ამ რწმენით გაიმარჯვებსო საქართველო, იქადაგა მან თავის შესანიშნავ ნაწარმოებებში და ეს დაამტკიცა მან თავისი გმირული ცხოვრებით. მერაბის პიროვნებაში სარწმუნოება და გმირობა შეერთდა, სარწმუნოება და გმირობა — ორი რამ, რაც იხსნის საქართველოსაც და კაცობრიობასაც. ამით არის ის დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მნათობი, ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი. ჩვენი ერის სულიერი მოძღვარი. ამით მოგვიძღვის იგი წინ. მივბაძოთ მის მაგალითს, შევიყვაროთ ურთიერთი და თუ საჭიროა, თავი დავდოთ მამულისათვის. მერაბი დღესაც უდიდესი გამაერთიანებელი ძალაა. მართალია, მისი ამ სოფლიდან გარდაცვალების შემდეგ, თავი აიშვეს ბნელმა ძალებმა საქართველოში, არნახულად აიშვეს თავი, არნახულად გადიდგულდნენ, გათავხედდნენ და შემოუტიეს ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ ისევ მერაბი დაამარცხებს მათ. გახსოვდეთ ეს, მეგობრებო, გახსოვდეთ! იგი ფიზიკურად აღარ არის ჩვენთან, მაგრამ სულიერად ჩვენთან არის, საქართველოსთან არის. იგი არსად არ წასულა, არსად არ წასულა და მარადის ჩვენთან იქნება. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი და საუკუნოდ იყოს დიდება იმ ქვეყნისა, რომელსაც მან შესწირა თავი.



როდესაც მერაბი მიწას მივაბარეთ, იმ შავ დღეს, ჩვენ შევფიცეთ, რომ ბრძოლით გიგლოვოთ, ძმაო, ბრძოლით, სხვა გლოვა შენ არ შეგფერის. ეს შევასრულეთ და უფრო მეტად უნდა შევასრულოთ. ჩვენი ბრძოლა ჩვენი მამულისათვის, ჩვენი იდეალებისათვის იქნება ნამდვილი ბრძოლა, ნამდვილი გლოვა მერაბ კოსტავასი, სხვაგვარი გლოვა გმირს არ შეჰფერის! მოდით, აღვუსრულოთ მას ეს სურვილი, ეს ანდერძი და ამით ავუგოთ სამარადისო ძეგლი თავისუფალ საქართველოში! ღმერთი იყოს მისი სულის განმანათლებელი და ჩვენი მწყალობელი ამ წმინდა ბრძოლაში“.

ცოტნე გამსახურდია
სააკაშვილის რეჟიმში თავისუფლებას ვერ ეღირსება

ცოტნე გამსახურდია, რომელსაც სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის სასამართლომ, მიმდინარე წლის 8 აპრილს 9 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა, ციხის საკანშიც განაგრძობს ციხის ადმინისტრაციული რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობას; ექომაგება და იცავს სხვა პატიმრების უფლებებს, რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული რეჟიმი სასტიკ ძალადობებს ახორციელებს.

გამოცხადებული პროტესტის გამო, თავად ცოტნე გამსახურდიას, ციხის ადმინისტრაცია სჯის უფლებრივი შეზღუდვებით: ართმევს ტანსაცმელს, საწერ ფურცლებს, ავტოკალმებს, წიგნებს, ზღუდავს საპირფარეშოთი და ჰიგიენის დაცვის სარგებლობისა და ჰაერზე გაყვანის უფლებებითაც კი. ყოველ უკანონო და არასამართლებრივ სისასტიკეს, ცოტნე გამსახურდია პასუხობს საპროტესტო შიმშილობებით.

თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებების სასამართლო პროცესებზე ცოტნე გამსახურდიამ განაცხადა: 2004 წელს, როდესაც მე დავბრუნდი მოსკოვიდან თბილისში, ნაციონალურმა ხელისუფლებამ სამეგრელო–ზემო სვანეთის გუბერნატორობა შემომთავაზა, რაზეც მე უარი ვუთხარი, რადგან ჩემთვის ნათელი იყო მათი კურსი და ამ ყველაფერში მონაწილეობის არავითარი სურვილი არ მქონდა. ამასთანავე, ჩემი შეხედულება მაქვს სახელმწიფო სამსახურზე და ის ზოგადად არ არის „ჩემი“. 2007 წელს, მამაჩემის ნეშტის გროზნოდან გადმოსვენება და მთაწმინდაზე დაკრძალვა, მიხეილ სააკაშვილს სურდა თავის პიარ/შოუდ ექცია, რისთვისაც ჩემი თანხმობის პირობად 2 მილიონი დოლარი შემომთავაზეს. მოლაპარაკებაში, ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებთან ერთად, სამწუხაროდ, მონაწილეობდა ჩემი უმცროსი ძმა გიორგიც. „ხომ მართალია, დედა, განა ასე არ იყო? დამიდასტურე!“ – მიმართა მან ერთ–ერთ სასამართლო პროცესზე ქალბატონ მანანას, რომელმაც ნათქვამი თავის მძიმე დაქნევით დაუდასტურა. ცოტნემ განაგრძო: მე კატეგორიული უარი განვაცხადე, სააკაშვილს, ქულების დასაწერად მამაჩემის ძვლები არ მივყიდე. 2009 წლის 28 ოქტომბერს, თითქოს მეზობლსა და მეგობრის, ბაჯელიძის, „დაჭრის ბრალდებით“ დამაკავეს ჩემს სახლთან, პოლიციელებმა როგორც წესი და კანონი პირდაპირ, სამმართველოში კი არ წამიყვანეს, არამედ, ჩემი სახლის ზემოთ მდებარე ვერის სასაფლაოს უკიდურეს ნაწილში ამიყვანეს და მითხრეს: „თუ შენს თავზე არ აიღებ ბაჯელიძის დაჭრას, აქვე შენი ხელით გაგათხრევინებთ შენს საფლავს და ისე ჩაგმარხავთ, ვერავინ გიპოვისო“. დედის მოკვლითაც დამემუქრნენ. შემდეგ წამიყვანეს ძველი თბილისის მე–3 განყოფილებაში, სადაც მომაკითხა ჩემმა ძმამ, გიორგიმ, დეგი დუდაევთან ერთად (ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოჰარ დუდაევის ერთ–ერთი შვილი – ქ. ჭ.). მე მათ ვუამბე თავსგადახდენილი და რომ სრულიად უდანაშაულოც ვიყავი. დეგი ძალიან შეწუხდა, განიცადა, ხოლო ჩემმა ძმამ, გიორგიმ, სრული გულგრილობით მოისმინა და მეტად აღარც მოუკითხავს ჩემთვის. ციხეში კი ჩემს საკანში შემოვიდა კონტრდაზვერვის მაღალჩინოსანი და სუკის კართოტეკის სანაცვლოდ, თავისუფლება შემომთავაზა.

ასეთია ცოტნე გამსახურდიას პოლიტპატიმრობასთან დაკავშირებული მძიმე ისტორია. განაჩენი გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში. თუმცა სასჯელის დაკლების ან სულაც მისი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების მოიმედენი არ უნდა ვიყოთ.

ქეთევან ჭანტურია

ფრაგმენტი მიხეილ სუსლოვის დახურული მოხსენებიდან

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშავოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვა და სხვა რესპუბლიკებში სხვა და სხვა იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად დაგვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად, ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვა და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვა და სხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს.

პარიზის ეროვნული საბჭოს ჟურნალიდან, „მებრძოლი საქართველო“ (26 მაისი, 2003 წელი).

გურამ შარაძის 70 წლისთავი

ბუნდოვანად მითანაგრძნობთ, ქალბატონო ლეილა!

ასავალ-დასავალი WWW.ASAVALI.GE

2007 წლის 28 მაისი – 3 ივნისის გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა ქ-ნ ლეილა კვირიკაშვილის წერილი სათაურით „უცხო ქვეყნის სპეციალისტების შეცდომა. გურამ შარაძის სიკვდილმა ხალხი ქუჩაში არ გამოიყვანა“. საპასუხო წერილი კი, ჩვენთვის გაურკვეველ მიზეზთა გამო, არ დაიბეჭდა გაზეთ „ასავალ-დასავალში“. ამიტომ სამი წლის შემდეგ ვაქვეყნებთ პასუხს, საზოგადოებისათვის, შესაძლოა, უკვე დავიწყებულ პასკვილზე. ამ სამმა წელმა ხომ ბევრი რამ სხვაგვარად დაგვანახა, ბევრ რამეს ფარდა ახადა და მავანს ნიღაბიც ჩამოხსნა. იქნებ პასკვილის ავტორის ცნობიერებაშიც მოხდა სასიკეთო ძვრები. იმედს ვიქონიებთ.

„ისტორიის აღდგენა ერის გამოცოცხლებაა, გამხნევება, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევა სიბნელისაგან“, — ამბობდა ილია. ბატონი გურამ შარაძე საყოველთაო ნიჰილიზმისა და ფასეულობათა დევალვაციის საუკუნეში, ცდილობდა წარსულთან, ისტორიასთან მიახლოებით ეროვნული ღირსების, ეროვნული მეობის შენარჩუნებისა და სწორედ, რომ სიბნელისგან გამოკვლეული მერმისის გზა ეჩვენებინა ქართული საზოგადოებისთვის. ის მუდამ იქ იყო, სადაც ქართულ საქმეს უჭირდა, საფრთხე ემუქრებოდა. ბოლო 30 წლის მანძილზე არ ყოფილა, არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, რომლის ეპიცენტრში ბატონი გურამი არ ყოფილიყოს! მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 50-ზე მეტი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, ორგზის პარლამენტის წევრი, მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე (და არა ჯგუფის, როგორც ამას ამბობს პასკვილის ავტორი და ამითვე ცდილობს დააკნინოს, დაამცროს მისი თანამდებობა და, რაც მთავარია, მისი მოღვაწეობა. ასევეა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით. აი, ასეთი მართალია ავტორი ამ პასკვილისა), უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეებისა და საზღვარგარეთ არსებულ ეროვნულ ფასეულობათა დაბრუნების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, პოლიტიკური მოძრაობის „ენა, მამული, სარწმუნოება“ ლიდერი — განა შეიძლება ასეთი ადამიანის მხეცური, სადისტური მკვლელობა პოლიტიკური არ იყოს?!

მიუხედავად ამისა, „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული წერილის „უცხო სპეცსამსახურების შეცდომა. გურამ შარაძის სიკვდილმა ხალხი ქუჩაში არ გამოიყვანა“ ავტორი ლეილა კვირიკაშვილი თავგამოდებით, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე აცხადებს, რომ „გურამ შარაძის მკვლელობის პოლიტიკურად გამოცხადება“ (რასაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი ეთანხმება — ავტ.) თურმე, ნაჩქარევი და ტენდენციური განცხადებაა“! საინტერესოა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს, როცა პოლიტიკური მოძრაობის ლიდერს, საზოგადოებრივად მეტად აქტიურ მოღვაწეს კლავენ?! ამ მხრივ ჟურნალისტის პოზიცია ეხმიანება და საფუძველსაც უმყარებს იმ ზოგიერთი ვაი-პოლიტიკოსისა თუ შეშინებული ე.წ. „ცნობადი სახის“ პოზიციას, რომ გურამ შარაძე მხოლოდ პროფესორი და ჩინებული მეცნიერი იყო, სირაქლემას პოზაში მყოფი ადამიანი ხომ ყოველთვის ნახევრად სიმართლეს ამბობს!

ჩვენ არ შევუდგებით ამ პასკვილის პუნქტობრივად განხილვას. ეს დიდი პატივი იქნებოდა ავტორისთვის. ჩვენ რამდენიმე სიტყვით, ზედაპირულად შევახსენებთ კვირიკაშვილისნაირებს ბატონი გურამის მოღვაწეობის არეალს.

გურამ შარაძე გახლდათ ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი, ჭეშმარიტი ერისკაცი, თავისი ქვეყნის უდიდესი პატრიოტი, ეროვნული მოღვაწე, რომელსაც ერის მაჯისცემაზე ედო ხელი. ისიც ნიშანდობლივია, რომ დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობის ფაქტობრივი ლიდერი გიგა ბოკერია თავის დროზე გურამ შარაძეს პოლიტიკიდან გაძევებით და ციხეში ჩასმით დაემუქრა, ერთ-ერთი გავლენიანი მინისტრი კი ამაყად აცხადებდა, „დღეს შარაძე პოლიტიკურ სანაგვეზეა“, მავანნი, აკადემიკოსს ხულიგანს უწოდებდნენ, ან რას ნიშნავს გიგა ბოკერიას ცინიკური განცხადება იმის შესახებ, რომ „ასეთი მკვლელობები უფრო დემოკრატიულ ქვეყნებშიც ხდება“?

„ვეთანხმები იმ ვერსიას, რომ მკვლელობა შეკვეთილი იყო, მაგრამ პოლიტიკურ შინაარსს არ ვიზიარებ, უფრო მეტიც, გამოვრიცხავ“, — კატეგორიულად აცხადებს ლეილა კვირიკაშვილი და ამით თავადვე ეწინააღმდეგება საკუთარ ვერსიას, რომ — „ეს მკვლელობა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა დაგეგმეს“.

ამასთან, იგი ცდილობს შექმნას ობიექტურობის საბურველი და „აღიარებს“, რომ გურამ შარაძე „მუყაითი და შრომისმოყვარე მეცნიერი, ბიბლიოგრაფი და არქივარიუსი ყოფილა, ამასთან, „ინტრიგებისა და ადამიანებთან დაპირისპირების ხელოვნებასაც ფლობდა, რაც, ასე განსაჯეთ, მისი კარიერის წარმატებულობასაც კი უწყობდა ხელს“. დიახ, გურამ შარაძე მართლაც არასოდეს ერიდებოდა და გაურბოდა (საქვეყნო საქმის გამო!) დაპირისპირებას გავლენიან პირებთან, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“, მისთვის არ არსებობდა ცრუ ავტორიტეტი და ამის გამო მხოლოდ უსიამოვნება, ტკივილი და შეურაცხყოფა თუ შეხვედრია ცხოვრების გზაზე. ქართული სახელმწიფოებრიობის, ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლთა დაუფარავ მხილებას, ერის ტკივილების გამომზეურებას, სიმართლის თქმას ჟურნალისტი კვირიკაშვილი „სკანდალური და ზესკანდალური ინფორმაციების გახმაურებად“ აცხადებს. გურამ შარაძე იბრძოდა ეროვნული სახელმწიფოს ოთხი ბურჯის, დედაბოძის — მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მწერალთა კავშირის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გადასარჩენად. ჯერ კიდევ 10 წლის წინ აღმოაჩინა და ამხილა მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციების და ფონდების, მათ შორის Tacis-ის საიდუმლო გეგმა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკდემიის დაშლასა და გაუქმებას ისახავდა მიზნად! მაშინ ამას ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა, დღეს კი ეს ყველაფერი სავალალო რეალობად იქცა. გურამ შარაძემ ამხილა ის ადამიანები ქვეყნის შიგნით და გარეთ, ვინც საქართველოდან ეროვნული საგანძურის აშშ-ში გატანას ცდილობდა, ვითომცდა „ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით“. ბ-ნი გურამის ძალისხმევით 2001 წლის 22 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იეღოველთა სექტის რეგისტრაცია გააუქმა, რომელიც ე.წ. რევოლუციიდან მე-5 დღეს აღადგინეს; პარლამენტში მოღვაწეობისას ამხელდა იმ დეპუტატებს (მათ შორის ზოგიერთ დღევანდელი უმრავლესობის წევრს), რომლებიც იბრძოდნენ ქართული ენისთვის ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭების, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ეროვნების, მამის სახელის აღმნიშვნელი რეკვიზიტების შეტანის წინააღმდეგ. განა ესაა „ზესკანდალური ინფორმაციების“ გახმაურება?

ავტორი იხსენებს, რომ თავის დროზე პროფესორი შარაძე დააჯილდოვეს უნგრეთის რესპუბლიკის ოქროს მედლით „უნგრეთის მიზნების დაცვისათვის მთელ მსოფლიოში“ და ამას მზაკვრულად აკავშირებს სოროსთან. საიდან ასეთი „შორს მიმავალი“ დასკვნები?! მხოლოდ იმიტომ, რომ ჯორჯ სოროსი უნგრული წარმოშობის ამერიკელი ებრაელია? ასე როგორ დაგაბრმავათ ბოღმამ და მძულვარებამ, ქ-ნო ლეილა. სირცხვილია, რბილად რომ ვთქვათ. გეშინოდეთ! ცილისწამება დიდი ცოდვაა.

მკითხველს კი შევახსენებთ, რომ ბატონ გურამს გამოცემული აქვს წიგნებად:

1. „მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა“, თბ., 1978, რედ. ალ. ბარამიძე;
2. „მასალები ბელა ვიკარის არქივიდან“, თბ., 1981 წ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, რედ. სარგის ცაიშვილი;
3. „მიკლოშ კიში ტოტფალუში და ქართული სტამბა“, თბ., 1982, რედ. ალ. ბარამიძე, რეცენზენტები პროს. ს. ცაიშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. სულავა.

და ამ ნაშრომების ფასი კარგად იცის წიგნიერმა საზოგადოებამ. მზაკვრული ვერსიის ავტორს ცალი თვალით მაინც რომ ჩაეხედა ზემოთ ჩამოთვლილ წიგნებში, ადვილად მიხვდებოდა, რატომ დაჯილდოვდა გურამ შარაძე უნგრეთის რესპუბლიკის ოქროს მედლით „უნგრეთის მიზნების დაცვისათვის მთელ მსოფლიოში“. ისე, როგორ ფიქრობთ, ქ-ნო ლეილა, სოროსის, უნგრეთის სახელმწიფოსა და უნგრელი ხალხის გაიგივება, მით უმეტეს, როდესაც საუბარია მიხაი ზიჩზე, ბელა ვიკარზე, შეიძლება? უხერხული ხომ არ არის? ან როგორ ფიქრობთ, ბ-ნ ალექსანდრე ბარამიძეს, ბ-ნ სარგის ცაიშვილს (მომიტევონ მათმა სულებმა) და ქ-ნ ნესტან სულავასაც ეჭვქვეშ აყენებთ? ეს მაინც არ გიქმნით უხერხულობას? ისე, სხვათა შორის, თქვენს პოზიციას სოროსთან დაკავშირებით არ ამჟღავნებთ. რატომ? აქვე მსურს შეგახსენოთ, რომ იმ ცნობილ უნივერსიტეტში ის ყმაწვილები აღიზარდნენ, შემდეგ დაჯილდოვდნენ და, როგორც ბატონი გურამი იტყოდა, „ვარსკვლავთბიჭუნებად“ მოგვევლინენ ჩვენს სამშობლოში მზაკვრული და დამანგრეველი იდეებით აღჭურვილნი, რომელთა წისქვილზეც ასხამთ წყალს ამ პასკვილით. ასე რომ, მისამართი შეგეშალათ, ქ-ნო ლეილა. სამარცხვინოდ სუსტი და უვარგისი არგუმენტები გაქვთ ბატონი გურამის სოროსელად გამოსაცხადებლად. ახლა კი ისღა დაგრჩენიათ, ბოდიში მოიხადოთ მიხაი ზიჩის, ბელა ვიკარის, მიკლოშ კიშის, ალექსანდრე ბარამიძის, სარგის ცაიშვილის სულთა წინაშე, ბოდიში მოიხადოთ ქ-ნი ნესტან სულავასა და უამრავი ადამიანის წინაშე.

ბატონი გურამ შარაძის პირად ბიბლიოთეკაში არის 1917 წელს ბუდაპეშტში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ბელა ვიკარისეული თარგმანი უნგრულ ენაზე მიხაი ზიჩის შესანიშნავი ილუსტრაციებით. წიგნს აქვს მიძღვნითი წარწერა: „სახსოვრად ბ-ნ გურამ შარაძეს. მ. იშტვანოვიჩი“ ქართულ ენაზე. რაიმე მოსაზრება ხომ არ გაქვთ იშტანოვიჩ-

გაგრძელება მე-9 გვ.

დასაწყისი გვ. 8

ზე, ქ-ნო ლეილა?

გურამ შარაძე იბრძოდა მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელთა დასაცავად. მან არა მხოლოდ ამხილა აგრესიული ანტიმართლმადიდებლური სექტების საქმიანობა, არამედ წარმოაჩინა, თუ როგორია ევროპის დამოუკიდებელი, ცივილიზებული სახელმწიფოების კანონმდებელთა დამოკიდებულება ანტისახელმწიფოებრივი სექტებისადმი. ამასაც უკუღმართად ხსნის და ამტკიცებს პასკვილის ავტორი, რომ „შარაძეს და მის მომხრეთა მიერ იეღოველთა წინააღმდეგ წარმოებული აქციები არასწორი, ანტიმართლმადიდებლური და არაჰუმანური იყო“, უფრო მეტიც, ამის გამო, თურმე, ამ სექტებს მათმა ხელმძღვანელებმა, სათავო ოფისებმა დაფინანსება გაუზარდეს“. ბატონმა გურამმა კი, ბოროტებასთან ბრძოლის მთავარი იარაღი, ამ შემთხვევაში სექტების მხილება გამოიყენა და ამით უამრავი მართლმადიდებელი გადაარჩინა ანტიქრისტესთან წილნაყარობას. მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრები ხომ უფლისა და სახარების სახელით ესაუბრებიან და აცდუნებენ გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს. რაც შეეხება დაფინანსებას, სექტებს ყოველთვის კარგად აფინანსებდნენ. ისე, ახლა აღარავინ ებრძვის ანტიმართლმადიდებლებს და, როგორ ფიქრობთ, შეუწყდებათ დაფინანსება? ვაი, რომ არა!

კვირიკაშვილი, რატომღაც, იმაშიც დარწმუნებულია, რომ 2002 წლის ივლისის „მაგთიკომის“ ცნობილი შეტყობინების: „სოროსის ფონდი ითხოვს გურამ შარაძის სიკვდილით დასჯას“, ავტორები, სინამდვილეში ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოს სპეცსამსახურში უნდა ვეძიოთ (?!).

აქვე ავტორი, ვითომ შემთხვევით, გვაუწყებს, რომ „გურამ შარაძის სიცოცხლე საკმაოდ სოლიდური პაკეტით დაზღვეული იყო შვეიცარიის ერთ-ერთი ავტორიტეტული სადაზღვევო კომპანიის მიერ“. ეს სრული აბსურდი და მონაჭორია, რაც დაადასტურეს კიდეც ბატონი გურამის ოჯახის წევრებმა, უახლოესმა ადამიანებმა. მეტიც, ეს რომ ასე იყოს, ქართველთმოძულე ხელისუფალთ ლეილა კვირიკაშვილი დასწრებდა ამ ინფორმაციის გავრცელებას?

დაბოლოს, ამდენი არგუმენტს მოკლებული წიაღსვლების შემდეგ სტატიის ავტორი მთავარ სათქმელამდე მიდის და უაპელაციოდ ასკვნის: „შარაძეს მკვლელობიდან რამდენიმე დღეში უკრაინაში დაიწყო იუშჩენკოს ხელისუფლებიდან ჩამოშორების და პრორუსული ძალების ხელისუფლებაში მოსვლის აქტიური ღონისძიებები“ და რომ საქართველოში მოქმედმა პრორუსულმა ძალებმა სწორედ ამ მიზნით მოკლეს გურამ შარაძე.

იქვე, სპეცსამსახურს პროფესიონალიზმსაც უწუნებს, — შარაძის კანდიდატურა არაპროფესიონალურად შეირჩაო, რადგან მისი აზრით, შარაძე „შვილმკვდარი, ფრთამოტეხილი კაცი იყო, ეროვნული სულისკვეთების მეცნიერი“. სინამდვილეში, მიუხედავად თავს დამტყდარი ტრაგედიისა, ბ-ნი გურამი საოცრად მებრძოლი, გაუტეხელი სულის პიროვნება გახლდათ, ქვეყნისა და სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ ხმალამოღებით მებრძოლი. რატომ გვეშინია, პიროვნებებსა და მოვლენებს თავისი სახელი დავარქვათ?! ნახევარსიმართლე ხომ სიცრუეზე მეტი დანაშაულია! სწორედ ორსახოვნება, ორი ბატონის მსახურება, არც მწვადისა და არც შამფურის დაწვის პოლიტიკა, შიში და ორპირობა დაღუპავს ქვეყანასა და ქართულ საქმეს, რომლისთვისაც დღენიადაგ იბრძოდა ბატონი გურამ შარაძე და თავიც შესწირა მას. სამძიმარი კი გულწრფელი უნდა იყოს, სხვაგვარად მას ჩალის ფასიც არა აქვს!

გულწრფელად ვიზიარებ თქვენს დიდ მწუხარებას, ქ-ნო ლეილა. სწორედ რომ უბედურებაა ის, რაც თქვენ დაგემართათ. ამბობენ: „მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო“. თქვენ ეს ზნეობრივი ნორმაც დაივიწყეთ სხვა მრავალთან ერთად. მკვლელობიდან ერთი კვირის თავზე გადმოანთხიეთ მთელი ბოღმა. რად ჩქარობდით ასე, ქ-ნო ლეილა. თქვენი წერილის გამოქვეყნების დღეს ხომ ბატონი გურამის გარდაცვალებიდან მეცხრე და ე.ი. მიცვალებულის სულისათვის ურთულესი დღე იყო. ამ დღეს განსაკუთრებულ პანაშვიდს უხდიან ამ ქვეყნიდან გასულთ, მხურვალედ ლოცულობენ მათთვის. იცით თქვენ ეს ყოველივე? თქვენი საქციელიდან გამომდინარე, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ — თქვენ ძალიან შორს ხართ ქრისტიანული ზნეობიდან, ადამიანური ეთიკიდან. ვის ემსახურებით, ქ-ნო ლეილა? ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა თქვენს მიმართ! გულწრფელად გითანაგრძნობთ, ქალბატონო ლეილა!

რუსუდან კოგახიძე

6 ივნისი, 2007

„ძარცვითობის ირიდენის კავალრიები“, ახუნაიარეული ცხოვრება

როცა გტკივა მთავარი, არც დარდი იგვიანებს. კონსტანტინე გამსახურდია ერთგან შენიშნავს – „არის რაღაც საშინელი მოიარა იმ გარემოებაში, რომ ათასების ტკივილი ერთმა უნდა იგრძნოს, ერთმა უნდა გადაიტანოს, ერთია მუდამ ჯვარზე გამსვლელი – ასეთი იყო მოსე, ასეთი იყო ქრისტე, ასეთი იყო ბუდა“.

მათ გზას სხვანიც გაჰყვებიან. მათი ტკივილი სხვებშიც ატკივდება და სხვებსაც გააკრავს ჯვარზე იესოს მსგავსად.

ერის რჩეულობა ტკივილიანი მისიაა. ეს ადამიანები პატიოსანი თვლებივით ელვარებენ და მარადნი არიან. ასე იშვა ბარათაშვილის სევდიანი შეკითხვები ცხოვრებასთან და სულიერი ობლობის გაუსაძლისი დაღი. არც გურამიშვილის ტკივილ–მარტოობა იქნება იოლი და გაცოცხლდება ქრმისტეს ხატი – „ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო, დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო!“ მათი ყოფაც უფლისმიერ გამძლეობასა და შემაგრებას მოითხოვს. მთელ ეპოქებს ერთი-ორი ადამიანი დაიტევს და მოხაზავს გონებაში. მრავალი აუზვავდებიან იმ ერთს – ჯვარზე გამსვლელს. მოკვლა იქნება ასეთთა მიმართ გამოტანილი განაჩენი, თუ ხორციელი არა, სულიერი მოკვდინება–განადგურება მაინც. მომრავლდებიან მარტოგმირები. დამახინჯებული გარემოებისგან განცალკევებული ილია – ქვეყნის მესვეური და ღმერთკაცი იტყვის – „ეხლანდელ დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა... სულ ყველაფერი აირივ–დაირივა... ქვენაგრძნობანი ზენაგრძნობათა ადგილას გამეფდნენ. ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა თავანკარად, თითქო ჭკუისა და გულის აღებ–მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა“. სათქმელი ითქმება, მაგრამ უკუღმართობა არ გასწორდება. თითქოსდა, მართლაც, ყველაფერს – შეგნებას, სამართლიანობას გასვლია ყავლი... გაკადნიერებულთა შეჩერება ძნელი აღმოჩნდება, ბრძენკაცის შემსმენელი კი ისეთივე ცოტა იქნება, როგორც მიწაზე მოარული უფლის დროს – „ვისაც ყური აქვს ისმინოსო“, ყური და გული კი დახშული იყო საგანგებოდ! იმძლავრებს სევდა, ტკივილი და უსამანო მარტოობა. მოწინავენი ყოფნა–არყოფნის ზღურბლთან შესდგებიან და სათქმელს მაინც იტყვიან, საკუთარი სიცოცხლის გაწირვითაც დაამოწმებენ.

სათაურში გამოტანილი ფრაზის უტყუარი მისამართი გახდება გალაკტიონი, რომელიც აღმოჩნდება შხამიან ისართა სამიზნე. მთავარს გამოდევნებულს არ შეაშინებს არაფერი და ლომის ბუხუნით დასძახებს:

მე სამშობლოში სამშობლოს ვეძებ,
მე დღეს სამშობლო არ გამაჩნია.

ეს ძიება კი სიკვდილისაკენ გაუხსნის კარს. ხელნაკრავს უბიძგებენ ამ კარისკენ ქონდრისკაცები.

ტერენტი გრანელი საგიჟეთში მოემწყვდევა სულდამსხვრეული, საუფლო ზმანებებს გამოდევნებული. გარეთაც მხოლოდ საგიჟეთი იქნება მაშინ და დიდი განსხვავება აღარ იქნება სულითცდომილთა გვერდით სად იქნება – კონკრეტულ საგიჟეთსა თუ მორადგადაცდომილ შეშლილებთან.

მიხ. ჯავახიშვილის ღირსეული კალამი თავის განაჩენს გამოიტანს, ხევისთაობას როგორც მოვლენას ასე შეაფასებს: „ადამიანს ჩაუნერგეთ რწმენა თავის თავის არარაობისა და შემდეგ თვალყური ადევნეთ: ეს ადამიანი სულიერად მოიშლება, მოიღუნება, მოტყდება და დაავადდება. ამ სენს ჰქვია ნებისყოფის აბულია. ფსიქოპათოლოგია კარგად იცნობს ამ სენს – ზოგჯერ მასობრივსა და მუდამ სახიფათოს. ამავე კანონს ემორჩილება ხალხიც ან მისი რომელიმე ნაწილი... იგივე ითქმის სოციალურ ფსიქიკაზეც“. მწერალმა ბასრად თქვა ის, რითაც დაამუნათეს მაშინ ერი. ასპიტის ყურს არ გამოეპარა ნათქვამი. ღმერთს კი მხოლოდ ცაში არ ებრძოდნენ და ოდენ ტაძარ–გუმბათების შერყევით არ მთავრდებოდა საქმე, სულშიც უნდა მოესპოთ ეს ტაძარ–გუმბათები, ღვთისადმი კაცნიც უნდა აელაგმათ. შავი ბედი მიხეილის მიმართაც მოხაზავს მკაცრ განაჩენს. მიუხვდნენ – „რა ნესტარით იყო ნაჩხვლეტი“. მაინც მოასწრო სხვათა გაფრთხილება და ხაზგასმით მიანიშნა – „საქართველო ისეთ დღეშია, რომ ერთი პატარა ბანკი იყიდის და გაყიდის ჩვენს მიწა–წყალს, ხალხსა და სინდისს“. მეორე ასევე მტკივნეული თქმა: „რამდენჯერაც განგებამ ოქროს აკვანი ამოდგა ბაზალეთიდან, იმდენჯერ წითელი ხიშტით უკან ჩააგდეს“. ნათქვამს კარგად აუღეს ალღო და მხეცის სიშლეგით დაერივნენ მის ავტორს. საიდუმლო მემუარებში დაწერილიც აღარ დარჩა საიდუმლოდ... კარგა ხანს დარჩება გაუზიარებელი ამ მარტოგმირთა ხვედრი და მდგომარეობა. ხალხის მესვეურებს „ხალხის მტრად“ მონათლავენ და უბირებსაც დააჯერებენ, რომ მათი კეთილდღეობისთვის ხდება ეს ყოველივე. დიდხანს გასტანს გაუთლელ ადამიანთა სიშლეგე.

სუსტად თუ ძალუმად გამოვლენილი ტკივილი მაინც ტკივილია. საზოგადოების ხრწნა და დაცემა წააქცევს საქართველოს. ერთი პოეტი კი მრავლის სათქმელს იტყვის და გამოხატავს“

„ამ ეპოქაში მე არ ვცხოვრობდი,
ამ ეპოქაში ვიბრძოდი მხოლოდ“.

მაგრამ ასეთი ხმალგადამტვრეული მებრძოლები ერთეულები იქნებიან. სხვები კი მოირგებენ უცხოთა ჩაჩქანს, დროსთანაც კარგად შეხმატკბილდებიან და მზიან არსებობასაც ჭუჭყში გაცვლიან, ქვეყანას ადინდება უცხოთა მტვერი. დინებას აღმა ახლა სხვა გმირები აჰყვებიან, მაგრამ მათი „სიმრავლეც“ ორ კაცს არ გასცდება და ერთად შესისხლხორცდება, შეწყვილდება – ზვიადი და მერაბი – ერთი უღლის ორი ხარი, ორივე წაქცეულ–ყელგამოჭრილი თავისუფლების ღვთაებრივი მზის ძიება–ხილვაში. მათ ათასები გაჰყვებიან და ჩამორჩებიან კიდეც. ზვიადის მკვლელობა მთელი ერის უძლურებაა და იდეური განიარაღება იყო. ერს გაუტეხეს მკვრივი ნაჭუჭი და უძლურება ბანგივით შეატყუეს. ბევრმა დაიხია სიკეთის წინაშე უკან. ამუშავდა გამთანგავი ყოფის წისქვილი და ჩამოიმარცვლა შავი, სადაგი დღეები. ეს იმიტომ, რომ სიკვდილს მარტო შევატოვეთ გმირები, გავირინდეთ ჩვენს ხუხულებში... ჩამოდგა უბადრუკი, საჯახირო ცხოვრება. ბევრმაც სხვაგან დაიწყო იმ მთავარის ძიება, გაიქცა მორალურსაზღვრებმორღვეული ქვეყნიდან, გაჩანაგებასა და შიმშილი რომ არ დაედო წილი, მაგრამ ეს მარტომყოფობა უფრო ძლიერდება სხვაგან. ამაზე დაწერს ნუგზარ შატაიძე მოთხრობას – „კაპიკი გაკაპიკებულა ანუ ევროპაში რა მინდოდა“. სათაური სრულ კავშირ–მინიშნებაშია მოთხრობასთან, სადაც კარგადაა ნაჩვენები უცხოელისა და ქართველის თვისობრივი განსხვავება–სხვადასხვაობა.

ერთ სევდიან ამბავს ჰყვება მწერალი – „გერმანიაში მყოფ ქართველ ბიჭებს, კვირა დღეს, ბუნებაში ქეიფი გადაუწყვეტიათ. უყიდიათ ცხვარი, ღვინო, ყველი, კიტრი, პომიდორი... დაუნთიათ ცეცხლი, დაუთლიათ შამფურები, გაუტყავებიათ ცხვარი და თავზე დასდგომიან სპეცნაზელები, წაუსხამთ პოლიციის განყოფილებაში – ეს ბიჭები სექტანტები არიან და სატანურ რიტუალს ასრულებდნენო“. ვერ გაიგეს, რომ ეს იყო ხარკის მოხდა საყვარელი გარემოს მონატრებისა. ამ ქართულ ოაზისში მოუსწრეს ბიჭებს. აილაგმა წუთითმოპოვებული სილაღე და თავისუფლება, ქართველი სხვაგან კიდევ უფრო მარტოდ რჩება...

ასევე გულდამძიმებული გვიამბობს მწერალი ერთ უცნაურ და უხერხულ ამბავს; ვერონაში „სიყვარულის მექა“ უნახავს. აი, ის, რამაც მის სულსა და ფსიქიკაზე ძალუმად იმოქმედა – ჯულიეტას ქანდაკება, მარჯვენა ძუძუ ისე აქვს გაპრიალებული, რომ მზესავით უნათებს. ჯერ ვერ მიხვდნენ რა სიმბოლური დანიშნულება უნდა ჰქონოდა ამას. სურათის გადაღებისთვის ყოფილა ასე – ათი ევრო ჯდება ეს, სამაგიეროდ ყველას შეუძლია წაიტრაბახოს, რომ ამ რომანტიული ქალწულის მკერდი ხელთ ეპყრა. ვიღაც „გადამღრძვალი ბერიკაცი“ „ბილწი ღიმილით“ იღებდა ფოტოს, და დიდი გაოგნებით ნათქვამი ტკივილი – „ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს შეურაცხყოფა მომაყენეს, თითქოს საშინელი სილა გააწნეს წიგნის კითხვაში გალეულ ჩემს ბავშვობას, ახალგაზრდობას და სიჭარმაგეს. ამის მერე იქნებ სიცოცხლეც აღარ ღირდა“.. ის სხვა კატეგორიიდან ხედავს ამას. სულიერების ძაფის გაწყვეტას უწიგნურობას აბრალებს. ხომ არის ისეთი რამ, რაც ხელშეუხებელი უნდა დარჩეს! ილიას მოკვლას ეხება ავტორი და შემთხვევითი არაა ეს. დიდი განსხვავება არ უნდა იყოს სიდიადეს აშკარად ესვრი ტყვიას თუ ნელ–ნელა გამოუთხრი ძირს და ავბედითად წააქცევ. ასეთი გაქელვისაგან კი შენ შენსასაც იცავ და სხვისასაც პატრონობ. არ გსურს მსგავსი ამღვრევა შენს ქვეყანაშიც იხილო და სიხარბემ გულს გადააჭარბოს. იგი ეთიშება ბილწ გარშემომყოფთ. ძნელია, როცა სიდიადე ხდება ფულადქცევის საშუალება, მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ ეს სანახაობა მრავალს უნახავს, თუმცა მსგავსად არა მგონია ვინმე შეძრულიყო და ასე შეეფასებინოს ის. აქ ქართული გულის პატიოსნება მეტყველებსა. ასეთ ღირებულებებთან მარტო დარჩენა თუ მარტომცველობა, კენტიკაცობა ღირს! ისღა აიმედებს მწერალს, რომ კაპიკი კაპიკია და საკაპიკეს ვერ გასცდება.

ერთხელ ახალგაზრდებს ვკითხე: რომელი მხარეა მთავარი მათთვის – მატერიალური თუ სულიერი. ერთხმად მიპასუხეს, რომ მატერიალური, მაშინ ვიკითხე – სიყვარული რომელ მათგანს განეკუთვნება, შეგიძლიათ მითხრათ? პასუხად იყო დარცხვენილი ჩაფიქრება... მაგონდება ვან–გოგის – ასევე მარტობით გათანგულ–შემოზღუდული შემოქმედის სიმბოლური თქმა – „ქრისტემ უწმინდესი ცხოვრება განვლო და მხატვრებს შორის უდიდესი მხატვარი იყო, რადგან უარყო მარმარილოც, თიხაცა და საღებავებიც და ქმნიდა მხოლოდ სისხლით და ხორცით“. ყოველი დიდი ცდა, ასევე სისხლის და ხორცის

გაგრძელება მე-15 გვ.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

თინათინ მღვდლიაშვილის ნიეზია

მეტოქეს

„მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“
გალაკტიონი

ზურგში ჩაცემულ მახვილის წვერს ვეთამაშები.
ბრძოლაა მკაცრი!.. დამარცხების არ მეშინია!..
პარნასის ყვავილს მიგზავნიან მზის მარმაშები
და ჩემი სული, ვით არასდროს, ისე მშვიდია.
მე პოეტი ვარ! ორთაბრძოლა მხიბლავს და მამღვრევს,
შემხედე! სახე ბუციფალის ორეულს მიგავს!..
ათასწლეულებს გადავიმსხვრევ ნაომარ მკლავზე,
ათას ქარიშხალს გადავიტან და ათას გრიგალს!
და, თუმც ამ სოფლად შენს ნახანჯლარს ვეთამაშები,
თუმც დაჭრილი ვარ და დრო–ჟამიც ალესილია...
ხედავ, რარიგად მასხივებენ მზის მარმაშები?..
მე, არც სიცოცხლის, არც სიკვდილის არ მეშინია!

მთვარის პალიტრა

ჩემს სამყაროში დღეს მბრძანებლობს მთვარის ფერწერა,
ვდგავარ მოლბერტთან, დაძაგრული მე მაქვს მკლავები...
საბედისწერო სიყვარული, თურმე მეწერა,
მწვანე სურნელით ნაზავები მწვანე ალების.
და ამ მისტიკურ, საუცხოო ფერთა თამაშში,
გაშიშვლებული, დაძაბული როს არს ნერვები,
მე ვიძირები და დავცურავ მწვანე გამმაში
და ამ კოსმიურ ქარტეხილებს ვეღარ ვერევი.
უკრავს ორკესტრი და იღვრება ნორმას არია,
მძიმე ღამეა, გაბზარული მას აქვს ბგერები...
საბედისწერო სიყვარულზე მღერის მარია,
მღერის მარია, ნაავდრალი და ნაფერები.
მწვანეა ზეცა, პეიზაჟი, წვიმის წვეთები,
მწვანეა ქარის სიმფონია და უნაზესი.
მთვარის პალიტრა – იდუმალი სილუეტები,
რაღაც მეფური კონტრასტები და უმწვანესი.

ცრემლო, შენ მეიმედები

ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილი ერეკლე ყულოშვილისა და მასთან ერთად დაღუპული მეომრების დედებს

გადაუქროლეს კარალეთს უცხო ღრუბლებმა შავებმა,
ცრემლო, არ მოწყდე წამწამებს, თუმც მტერი მებედშავება.
თუმც ჩემი ლურჯი საცრემლე ორად გააპეს ისრებმა
და სულის სამზერ–საზვერე ზღვა საწუხარით ივსება;
ჩარაზე ოქროს კარიბჭე, არ მოგიჩრდილონ თვალებმა,
მაგრად დაუხვდი განსაცდელს, როს მწარედ მევალალება.
შენ, წუთისოფლის საუნჯევ, განაწვიმებო იმედად,
ადამის მოდგმის საჭურჭლევ, ასხმულო მარგალიტებად.
ჭირის და ლხინის ხელმწიფევ, გაბმულო ვერცხლის სირმებად,
შენ, ჩემი ცოდვით ფეხმძიმევ, მკერდზე დაყრილო მძივებად.
თუმც დაგვამწუხრეს დედები, უცხო ღრუბლებმა შავებმა,
ცრემლო, შენ მეიმედები, როს მტერი მებედშავება.

წუთისოფელს

ავად მყეფარი შენ ხარ უბადლო,
შემომაფლითე ტანზე კაბანი...
დამზვერე, როგორც ძველი უდაბნო,
ნამზეური და ნამზეკაბანი.
გულის გულისკენ ჯარი დაძარი,
არად ჩააგდე ჩემი სიმაღლე...
შემომილეწე მტკიცე საძალნი,
ამიღე, როგორც ციხესიმაგრე.
მდევნე და, როგორც მწვალებელს შვენის,
პარნასის ველზე ასგზის მაწამე...
ვინ გაგექცევა უზადოდ შეშლილს...
ერთობ შორია ციდან მიწამდე.
თუმც არტისტულად დაგიხვდი, მაგრამ,
ვერ მოვასწარი შეკვრა კამარის...
ახლა დარღვეულ ციხე–კოშკს ვგავარ,
ნამზეური და ნამზეკაბანი.

ბახტრიონის ომის გმირის, ზეზვა გაფრინდაულის ეპიტაფია

ოდეს მტერი შემოჯარდა, ვერ ვეგუე დრო–ჟამს აშარს,
ბახტრიონის ციხისაკენ გავუძეხი თუშთა ლაშქარს.
ბნელს იესო მინათებდა და ცხრა გუნდის ანარეკლი,
უფალს ცხრაჯერ შევავედრე ცხრაკარა და ალავერდი.
მხარში მედგა მხედრიონი, მეომრები – ლაღნი, ურჩნი,
პანკისიდან ალვანამდე გადავთელეთ ველნი ლურჯნი.
ყიზილბაშთა ბუდე ვლეწეთ, მოვიხადეთ ქრისტეს ვალი,
ერთიანად ამოვძირკვეთ უსჯულოთა ნატერფალი.
და თუმც ქრისტეს დავუბრუნე სახლი საღმრთოდ ანაგები,
თუშებს ცხენით მივუზომე მიწა სისხლით მონაგები;
თუმც ღალატით შემიპყრეს და საწუხარი დამიმძიმეს,
თუმც გომბორის სანახებში მაწამეს და დამამცირეს;
და თუმც გორდა დამიმტვრიეს, – ძველი გველის შემმუსვრელი,
თუმც მზაკვრულად დამირღვიეს ხორციელი სამოსელი;
თუმც გულ–ღვიძლი ამომგლიჯეს და დამთხარეს ორთავ თვალი,
თუმც ათასგზის შემიგინეს არაგვი და ალაზანი, –
ზღუდედ სიბრძნე შემოვივლე – ცარგვალამდე აზიდული,
დედაღვთისას მივაბარე ჩემი ბაგის ცხრაკლიტური;
სული – უფალს, ხორცი – მიწას, ლეგენდები – სოფლის მგოსნებს,
დიდება და გამარჯვება შავჩოხიან შავფაროსნებს! –
ხოშარაულს, გოგოლაურს, ტახტიგორთან – მამაც თეთრონს,
ღვთის ნათელი – ჩოლოყაშვილს! ღვთის წყალობა – საქართველოს!
აწ ვბინადრობ ვარსკვლავეთში, ჩავემარცვლე ქრისტეს მხედრებს, –
ფშავლებს, ქსნელებს, ხევსურებს და ძალგულოვან არაგველებს.
ალვანს დაჰკრავს ლურჯი ფერი, როგორც მწიფე მარიამულს
და საფლავში ბრუნავს მტერი, როს მიგონებთ გაფრინდაულს.

პოეზიის მაესტროებს, რომლებსაც გაუმართლათ...

თქვენ გაგიმართლათ, მოძრაობდით, ზვერავდით არეს,
მთვარიან ღამეს აფხიზლებდით ოქროს ეტლებით...
და არტისტულად ამბოხებულ ელვარე ქარებს
თავბრუს ახვევდით პოეტური ეფემერებით.
თქვენ გაგიმართლათ, მოქმედებდით, არღვევდით საზღვრებს,
მისტიკურ აზრებს ავრცელებდით წრეგადასულნი...
და თქვენს უსაზღვრო, უსამანო იდუმალ სამზერს
არ ჰქონდა მიჯნა, არც საწყისი, არც დასასრული.
მე კი დამსაჯეს, დამამცირეს, დამიხშეს სივრცე
და ჩემი არე არის ცივი და კუნაპეტი..
მაწამებს მკაცრი სინამდვილე, მტვერი და სიცხე,
მჭირდება სივრცე, მეტი სივრცე და, უფრო მეტიც!..

.....

თქვენ გაგიმართლათ, ბატონებო! თქვენ გაგიმართლათ!
თქვენ მოძრაობდით!..

ლიტერატურული გვერდი

კრიტიკა

„ანთეოსის სინდრომი“

იდეა, რომელიც ჩაისახება „ცენტრალურ სტრუქტურაში“ და შემდეგ სინამდვილეში, ანუ ნებისმიერ მოცემულობათა სისტემაში დაიბადება და იქცევა ობიექტად, მას, უცილობლად, ქუდბედივით დაჰყვება აზრი ამ ობიექტის რაობის შესახებ.

აზრი ჭეშმარიტია მაშინ, როცა მსჯელობის (სამსჯელო) ობიექტში (საგანში, მოვლენაში და ა. შ.) ვჭვრეტთ, როგორც აზრობრივ, ისე უაზრობის მხარეებსაც, ოღონდ უაზრობა, როგორც ასეთი, არ უნდა გავიგოთ ტრადიციული გაგებით, ოდესღაც გაჭრილი კუთხით. იგი უნდა მივიღოთ როგორც ანტიაზრი. აზრი და ანტიაზრი კი არსებითში ორივე აზრია და მათ ბიპოლარულ დიფერენცირებას მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტის პოზიცია განაპირობებს.

მე, ამ სტრიქონების ავტორს, ჩემი სუბიექტური პოზიცია მაქვს ჩვენს სინამდვილეში, ჩვენს მოცემულობათა სისტემაში ობიექტად შემოსული და დამკვიდრებული რომანის – „ანთეოსის სინდრომის“ შესახებ.

უპირველესი აზრი, რაც ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ დამებადა, არის თვით ამ რომანში ჩადებულ მოცემულობათა მრავალსახეობრიობა და მრავალპლანიანობა – „დაწყებული“ მისი მეტაფორული სახელწოდებიდან, „გასრულებული“ უკანასკნელი სტრიქონებით.

არ მინდა დავარღვიო კოსმიური კანონზომიერება, – არც მატერიალურ საგანთა ურთიერთგანლაგების და არც მოძრაობა–ცვალებადობის თანამიმდევრობის წესრიგი.

დავიწყოთ წესრიგის ენგადით, ანუ იმ „ცენტრალური სტრუქტურით“, საიდანაც მოდის ძალა, რომელიც ამოძრავებს კომპასს.

განსახილველი რომანის „ცენტრალური სტრუქტურა“ სამშობლოა, სამშობლო, რომელიც ჯერაც ყოფიერებს და არსებობს, როგორც მატერიალური სინამდვილე, როგორც ობიექტურობა, როგორც ყოველ ობიექტს, ყოველ მატერიას, სამშობლოსაც მხოლოდ ერთი უნივერსალური არსებობის ფორმა აქვს – ეს არის სივრცე და დრო.

ბ–ნ ხუხუტი ქუხილავას რომანში, – „ანთეოსის სინდრომი“, – სწორედ სამშობლოს ამ უნივერსალური არსებობის ფორმაზეა აქცენტირებული მთელი ყურადღება, ფორმაზე, რომელიც ტოტალური ენტროპიის ზღვარსაა მიმდგარი, სამშობლო, რომელიც მომწყდარა საკუთარ ფესვებს, ჰაერში გამოკიდულია და აგონიაში ღაფავს სულს.

სახელწოდება „ანთეოსის სინდრომი“ ერთგვარი უვერტურაა მთელ იმ სინამდვილისათვის, რომელიც იშლება რომანში და რომლის სინამდვილესაც ეს აპერტურა ლაიტმოტივის წითელ ხაზად გასდევს უკანასკნელ გამამდე და აქვს მთელი ნაწარმოების, როგორც ერთიანი მთლიანის კონცეპტუალობის პრეტენზია.

საოცარია ავტორისეული ხედვა, ღირებულებათა მისეული გადაფასებანი და ის პიროვნული სითამამე – დაარღვიოს ოდესღაც ჩასახული და ოდითგანვე ჩამოყალიბებული, ჩამოკირული, ჩამოდუღაბებული აზროვნების სამანები, აგებული „დოგმატის“ კოლოსალური ლოდებით, შეკრული ტრადიციის დუღაბით და შეიხედოს იმ დიქსის მიღმა, რომელიც „ნებადართულ–ნებადაურთველის“ ტაბუდ, თეო– და ჰიეროეთიკად დაგვიდო, რაღაც კოლექტიურმა აბსოლუტმა და, რომელიც შემდგომ ხელუხლებელ ფასეულობად, შეუვალ ჭეშმარიტებად ჩამოუყალიბდა კოლექტიურ ქვეცნობიერს...

ვფიქრობდით, ყველამ ვიცოდით ანთეოსის მითის არსი, გაგვეგებოდა იუდა ისკარიოტელის ოცსაუკუნოვანი ცოდვილების მიზეზი... არა!.. ჩვენ ვიცხოვრეთ პრინციპით: „Ex oriente Lux!“ (შუქი აღმოსავლეთიდან!) – და, რადგან ეს მასწავლებლის სიტყვებად მივიღეთ, მისი დიქსი თვითეულ ჩვენგანისთვის შეუვალ და ხელშეუხებელ დოგმატად იქცა.

ანთეოსის მითური ტიპი ჩამოაყალიბა ჰერაკლეს მითურმა სახემ. ჰერაკლე, ფაქტობრივად, დორიელ ბერძენთა სახელმწიფოებრივ–პოლიტიკური იდეოლოგიის მითიზებული სიმბოლოა. ჰერაკლეს სახეში ჩაიდო დორიელთა მკაცრი სამხედრო რეჟიმის — ამ „მბრძანებელი ხალხის“ დაპყრობითი და ავანტურისტული მისწრაფებები, რომელიც ზოგჯერ შეშლილობის ზღვარზე გადიოდა. ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო–დასავლეთ რეგიონში მოსახლე დორიელები სამხრეთისკენ მიისწრაფოდნენ. მას შემდეგ, რაც რამზეს III–მ (ეგვიპტის ფარაონი ჩვ. წ.–მდე 1185–1153 წ.წ.) გაანადგურა „ზღვის ხალხები“ (მიკენელები), დორიელები გაბატონებულ მდგომარეობას აღწევენ ხმელთაშუა ზღვაზე. ჩვ.წ.–მდე 900–იან წლებისთვის ეს ტომი სახლდება პელოპონესში, კუნძულ კრეტაზე. ეგეოსის ზღვის სამხრეთ კუნძულებსა და მცირე აზიაში. როგორც ჩანს, დორიელები დაპყრობილი ტერიტორიებიდან დედა–წულიანად ყრიდნენ, ანადგურებდნენ აბორიგენ მოსახლეობას და თავიანთ ვანდალურ ქმედებათა გამართლებისათვის შესაბამის მითებს თხზავდნენ. ერთ–ერთი ასეთი მითია, მითი ანთეოსის შესახებ, რომელიც თანამედროვე მითომეცნიერებამ ისევე მიიღო და აღიქვა, როგორც „შემოასაღა“ დორიელთა იდეოლოგიამ: ანთეოსისა და ჰერაკლეს ბრძოლა გაიგო, როგორც კულტურული გმირის გამარჯვება ხთონურ ურჩხულსა და მის სამეფოზე. მითოლოგიაში გაბატონებული ეს აზრი, ბატონმა ხუხუტი ქუხილავამ თავისი ანტიაზრით დაამსხვრია და მოგვცა ამ მითური პერსონაჟის სრულიად ახალი გაგება. მსოფლიო მითოლოგიაში დღემდე გამეფებული წარმოდგენა ანთეოსსა და ჰერაკლეზე, ქუხილავამ დორიული დიფერენცირების სუბიექტურ პოზიციად გამოაცხადა: ანთეოსი ხთონური ან ინფერნალური ურჩხული კი არა, თავისი სამეფოს (ლიბიის) ეროვნული გმირია, რომელიც წინ აღუდგა დორიელთა (ჰერაკლეს) პოლიტიკურ ექსპანსიას. მწერალმა დაანგრია ძველი, ტრადიციით დაკანონებული აზრი და შექმნა ანთეოსის ახალი სახე და ახალი, გათანამედროვებული პარალელით იგი თავის ჯვარცმულ სამშობლოს – საქართველოს შეუფარდა. ამით, მე ვიტყოდი დიდმა მწერალმა, ზუსტი სამედიცინო დასკვნა გამოუტანა მის თანდართულ საქართველოს პათოლოგიურ სინამდვილეს – „ანთეოსის სინდრომი“, რითაც ეკვივალენტური გახადა ანთეოსისა და საქართველოს ხვედრი. მწერლის არგუმენტირებულ მოსაზრებას, დამეთანხმებით, ვერ შეეწინააღმდეგება ვერც ერთი კრიტიკოსი, ვერც ერთი ლიტერატურათმცოდნე, ვერც ერთი მითოლოგი. ჩემი აზრით, ბატონი ხუხუტი ქუხილავა ის პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც ქართული ნოსტალგიის უმძიმესი ფორმა – „ანთეოსის სინდრომი“ შემოიტანა და წმიდა „ქართულ სინდრომად“ დაამკვიდრა ერის ცნობიერებაში, ქართულ ბიომედიცინაში...

მწერალი ამ ცნების მხოლოდ შემოტანით არ იზღუდება. იგი თავისი ინტელიგიბელურ და სენსიბელურ წიაღსვლებით აანალიზებს ამ ქართულ სინდრომს და ცდილობს გაარკვიოს მისი წარმოშობის კერა, პათოლოგიის მიზეზები, შესაძლო შედეგებით.

ავტორისეული კონცეფციით „ქართულ სინდრომს“, მის ტრანსლოკალურ თვისებას – სრულ მუტაციას თუ ქრომოსომულ რეკონსტრუქციას, – ორი ფაქტორი აპირობებს: უპირველესად, ტრანსპლანტირებული ბაცილა და შემდეგ ნიადაგი, პირობა, ხელსაყრელი ბიოგარემო. ჰერაკლე, ალბათ, ანთეოსს ვერც მოწყვეტდა საკუთარ, მშობლიურ მიწას, რომ არა მისი ფესვების სისტემის პარალიზებული, დაღრღნილი ანდა მუტანტირებული უბნები, რომლებმაც გენეტიკურ მასალაში გადააკეთა, ან სრულიად დაარღვია ორგანიზმის მემკვიდრული თვისებები. ეს უბნები კი წარმოქმნა ცალკეულ პიროვნებათა გარკვეულმა ჯგუფმა, კრემლის ე. წ. მუტ–აგენტებმა, ედუარდ შევარდნაძის თავკაცობით, რაზეც პირდაპირ და ხაზგასმით მიუთითებს ავტორი თავის სქელტანიან რომანში.

შემოქმედს პროფესიულად აქვს გაშიფრული საკუთარი ერის ფსიქოლოგია, საკუთარი ეთნოსის კოლექტიური ცნობიერი თუ ქვეცნობიერი, მისი სულიერი და მენტალური სფერო. ავტორის მიერ სივრცე–დროის მთლიანობაში დანახული ერის სულიერი და ფიზიკური ყოფიერება შემაშფოთებელი და ერთობ შემაძრწუნებელია. მოწესრიგებული სისტემა – სივრცე და დრო, როგორც ყოფითი პირობა, ენტროპიის ზღვარზეა. ქართულ „ცნობიერს“ და „განზრახვას“, როგორც სტრუქტურის მომწესრიგებელ „მექანიზმებს“, წყვდიადი შეფენია. შესაბამისად, არ არსებობს სიცხადის სურათიც, რომელიც ბნელ ლაქად აზის თვით ცხადიერ სავსეობას – სამყაროს.

ქართული სინამდვილე, თავი რომ დავანებოთ მის უსასრულო დანაწევრებულობას, ორ ძირითად ნაწილადაა გაყოფილი: იმად, რაზედაც შეგვიძლია ლაპარაკი და იმად, რაზედაც უმჯობესია არ ვილაპარაკოთ, ანუ გავჩუმდეთ, მაგრამ ეს კონცეფცია რომანის ავტორისათვის მიუღებელია. იგი შექმნილი სინამდვილის ანალიზის საფუძველზე ქმედების გზას ირჩევს. იქნებ ეს გზა საჩოთიროც იყოს, მაგრამ ეს საეჭვოობა მხოლოდ მისი დროულობის, სახელდობრ, დაგვიანებულობის გამოა გამოწვეული. იგი, თითქოს, იზიარებს ციურიხულ ლექციებში გამოთქმულ შრედინგერის მოსაზრებას – „სამყარო თავის საფუძველშივე წარმოადგენს აკაუზალურს“. ე. ი. სამყაროს, სახელდობრ ამ კერძო მოცემულობას, რომელსაც შემოქმედის თანადროული ქართული სინამდვილე ჰქვია, ყოველ შემთხვევისათვის, იმდენად მიზეზობრივი განპირობებულობა არ უნდა ჰქონდეს, რამდენადაც მიზნობრივი. ამდენად, აინშტაინისეული სადაგი მცნება – „მამაზეციერი კამათელს არ აგორებს“, – ავტორისთვისაც მიღებული მცნებაა. ამ ცნებაზე ნილს ბორის დამაინტრიგნებელ ნათქვამზე, – „მაგრამ ჩვენ ხომ არ დავისახავთ ამოცანად – ღმერთს ვუკარნახოთ, როგორ მართოს სამყარო“, – პასუხიც მზად აქვს და, რა თქმა უნდა, ეს პასუხი უარყოფითია: ჩვენ ვერ ვუკარნახებთ ღმერთს, როგორ მართოს სამყარო, თუმცა უფალმა თავად მოგვანიჭა არჩევანში თავისუფლებაც და პასუხისმგებლობაც საკუთარ ბედზე. ამდენად, ერს, როგორც სუბიექტს აქვს საკუთარი მიზანი და თავისუფლებაც არსებობის შესაძლებელი ფორმის არჩევითობაში. ამიტომ მწერალი ექსტრავერტულ მიზანს ინტროვერტულს უპირისპირებს; სხვისი განაზრახით და მიზნით განპირობებულ სინამდვილეს, ცდილობს თავისი განაზრახითა და მიზნით განპირობებული შესაძლებელი ყოფიერება შეუპირსპიროს. ამიტომ უცხოს და გარეგანის დამანგრეველ პრინციპს – „დაყავი და იბატონე!“, „გათიშე და მართე!“ – უნდა დაუპირსპირდეს, სწორედ, დაყოფილის, გათიშულის ერთიანობის პრინციპი. ასეთია რომანის ავტორის კონცეფცია, რომელიც უშუალოდ სინამდვილისგანაა ნაკარნახევი. ამ სინამდვილეს არანაირი მხატვრული ოპუსები არ განუცდია, ობეიქტურადაა გადატანილი რომანში და მისი თითქმის ყველა მთავარი პერსონაჟი რეალურად არსებული პიროვნებაა. ისინიც კი, რომლებიც წმიდა მხატვრული სახეები არიან, იმდენად რეალურნი ჩანან, მკითხველი, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე ღებულობს მათ, როგორც კარის მეზობელს, კაცს, რომელთანაც ყოველდღიური ცოცხალი ურთიერთობა აქვს. ეს მწერლის არა მხოლოდ შემოქმედებითი ოსტატობაა, არამედ ჭვრე-

გაგრძელება გვ. 12

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

კრიტიკა
„ანთეოსის სინდრომი“

ტისა და აზროვნების ვირტუოზული დონე, XX საუკუნის კაცობრიობის დილემურ პრობლემათა ანალიზის გასაოცარი უნარი, რაციონალიზმის უსაზღვრო შესაძლებლობანი მისტიკაში, აზროვნების ისეთი „თამაში“, რომელიც გვიხსნის „წმიდა კენჭისყრაზე“ არჩევითობის დილემის – მივიღოთ ან არ მივიღოთ მონაწილეობა იმ თამაშში, რომელიც ეხება ჩვენი ყოფნა–არყოფნის, ჩვენი სიკვდილ–სიცოცხლის პრობლემას, ჩვენი ყოფიერების შესაძლებელ ფორმას. პროგნოზირება მკითხველის, ე. წ. დამკვირვებლის ყურადღებისა და აზროვნების დონეზეა დამოკიდებული. ვერანაირ პროგნოზს ვერ გავაკეთებთ პროცესებზე, თუ არ გავითვალისწინეთ „დამკვირვებელი“ და დაკვირვების საშუალება, მაგრამ... დამკვირვებელი და თვით პროცესის ფიზიკური ვითარებაც ხასიათდება, როგორც სუბიექტური ისე ობიექტური ნიშან–თვისებებით. ამიტომ სინამდვილესთან მიმართებაში წარმოქმნილი თანხმობაც და წინააღმდეგობაც ორივე ასპექტში უნდა განვიხილოთ – სუბიექტურშიც და ობიექტურშიც. ეს საანალიზო რომანის კრედოა, ავტორისეული რელიგიაა და როგორც ბიბლიის, ისე ამ რელიგიის ჭეშმარიტ არსსაც ვერ ჩავწვდებით, თუ არ გვესმის მისი სიმბოლური, მეტაფორული და იგავური ენა. ამ დიდებული ნაწარმოების ავტორის სიმბოლური, მეტაფორული და იგავური ენა ოდენ მხატვრული სამკაულები არაა. თუ ვერ მოვახდენთ მათ დეშიფრირებას – ვერ გავხსნით რომანის დედაარსს, ვერ ჩავიხედავთ გმირთა სულში, მთელი ნაწარმოები მრავალუცნობიან განტოლებად და რებუსად შეგვრჩება. ამ ნაწარმოებს ინტელექტუალი მკითხველი სჭირდება, რომელიც სიტყვის იქით მიმალულ საკითხავს გადაგვიშლის. ცნობილია, მათემატიკაში გასაანგარიშებლად შემოღებულია წარმოსახვითი ერთეული კვადრატული ფესვით 1–დან და რომლისთვისაც შემოღებულია ასო ი. მიუხედავად იმისა, რომ, ნატურალურ რიცხვთა შორის არ არსებობს რიცხვი ი, მათემატიკის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა, მაგალითად, ანალიზური ფუნქციების მთელი თეორია, ამ წარმოსახვითი ერთეულის შემოტანას ეყრდნობა. ეს ნიშნავს იმას, რომ დამატებითად მაინც არსებობს. წინადადება, – „არსებობს“, – ნიშნავს „არსებობენ მრავალმნიშვნელოვანი მათემატიკური კავშირები, რომლებსაც უმარტივესად გამოვხატავთ ცნება შემოტანით“, მაგრამ ეს კავშირები ამ შემოტანის გარეშეც არსებობენ. ფუნქციონალურ თეორიაში გადამწყვეტია მნიშვნელოვან მათემატიკურ კანონზომიერებათა არსებობა, რომლებიც უწყვეტად დაკავშირებულია ცვალებად სიდიდეთა წყვილებთან. ეს კავშირები უფრო ადვილი გასაგები რომ გახდეს, ამიტომ შემოაქვთ აბსტრაქტული ცნება და მას ნატურალურ რიცხვებს შორისაც არ ეძებნება კორელატი. ასეთივეა თანამედროვე მათემატიკაში უსასრულოს ცნება. რაც უფრო მაღლა და მაღლა ავდივართ აბსტრაქტულ საფეხურებზე, მით უფრო დიდი სფეროების ერთიან გაგებასაც მოვიპოვებთ.

რომანი, – „ანთეოსის სინდრომი“, – აბსტრაქტული ენით უნდა წავიკითხოთ, რათა მოვახდინოთ წესრიგთა ფორმულირება. თუ კი ამ წესრიგთა აღწერას ჩვეულებრივი ენით შევეცდებით, იძულებული გავხდებით გადავიდეთ კომპლემენტარულ დაკვირვებაზე და იმ მოჩვენებით წინააღმდეგობებსა და პარადოქსებსაც შევურიგდეთ, რომელსაც რომანში წავაწყდებით.

ხუტიას მღვიმის ორაკულის სიტყვებში კოდირებულია რომანის ცენტრალური სტრუქტურის კონცეპტუალურობა, აფხაზეთისა და საქართველოს მთელი სინამდვილე. თუ კი გავშიფრავთ ამ მისტიკურ და საკრალურ კოდს, ვიხილავთ ჩვენი დისკრეტული სივრცისა და დროის მთლიანობას, სამივე ინტერვალის – წარსულის, აწმყოსა და შესაძლებელი მომავლის მთელ სინერგეტიკულობას, ჩვენს „ახლას“ რომელიც ლიმინალურ ფაზაშია შესული და გზაჯვარედინზე დგას. წინ ორი გზაა – გზა სინათლისკენ და გზა სიბნელისკენ, გზა რაობისკენ და გზა არარაობისკენ. ყველაფერი პირველ ნაბიჯზეა დამოკიდებული. ეთნოსი „ან–ან“–ის სტადიაშია გაჭედილი. სტაგნაცია ბურიდანის ვირის ბედს გვარგუნებს. უნდა ვიმოძრაოთ, მაგრამ საით? არანაირი ტოპოგრაფიული რუკა! ჭეშმარიტი ორიენტირი დაკარგულია. ქვეყანასაც ვესტიბულატორული აპარატი მორღვევია. ერთსახოვან ტეგიმენს უკან რა იმალება არავინ უწყის... სად არის ნაღდი და ჭეშმარიტი? სად ყალბი და სუროგატი? ლეტაში მობანავე დიოსკურებს, არც ესმით ჭაში ცოცხლად დამარხულთა გოდება. ყველაფერი სასაკლაო ველისკენ მიექანება...

ასეთია ქართული სინამდვილე!

ჩვენი, თვითეული ჩვენგანის გაგება და გაგებათა სისტემები მხოლოდ იმდენადაა გამართლებული, რამდენადაც ემსახურება იგი ჩვენს შეგრძნებათა კომპლექსების გამოხატვას. მის იქით და მიღმა – ყველაფერი არაკანონზომიერებადაა გამოცხადებული.

დიახ! ასეთია ქართული სინამდვილე, სინამდვილე, რომელიც ჩვენივე ხელებით გამოვიკოდეთ.

ასეთია ერთი თვალით გადანავლები რომანის სინამდვილეც!

დასასრულს, ერთ საგანგებო ფაქტზე მინდა მკითხველს ყურადღება მივაპყრობინო. რომანში ერთი ფრიად საინტერესო და საანალიზო თავია შესული – „მეხუთე სახარება“. უდავო ფაქტია, რომ მთელი რომანი მაღალი ინტელექტითაა შექმნილი, მაგრამ, „მეხუთე სახარებამ“ შეიძლება დააბნიოს მკითხველი და რაღაც არასრულყოფილის განცდაში ჩააგდოს. ამ თავს, მართლაც, აკლია დასრულებულობა. მკითხველი გრძნობს, რომ მსჯელობა, რომელიც ბოლო, მთავარ, სათქმელისკენ მიდის, მოულოდნელად წყდება და მკითხველიც საყრდენგამოცლილივით ჰაერში გამოკიდული რჩება.

მე, ამ სტრიქონების ავტორი, ამ დიდებული რომანის მთავარი რედაქტორი გახლავართ, ამდენად ამ თავის შესახებ უფრო დაზუსტებული ცნობის მიწოდება შემიძლია. ამ თავს, მართლაც აკლია ბოლო ხუთი–ექვსი გვერდი. როგორც მაცნობეს, რამდენიმე საეკლესიო პირს, ბატონ ზურაბ ქუხილავასთვის ურჩევია ამ გვერდების ამოღება. სიმართლე გითხრათ, შემაცბუნა ამ გადაწყვეტილებამ, მაგრამ რედაქტორს უფლება არ მქონდა უფრო გადაწყვეტილად მემოქმედა. თავად ბატონმა ზურაბმაც შეიკავა თავი. რაღას ვიზამდი, გადამწყვეტი სიტყვის უფლება ავტორისგან ანდერძით ჰქონდა მიღებული. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ძალზე დასანანია მთავარი სათქმელის ამოღება, იმ ფრიად საინტერესო მოსაზრების გაქრობა, რომელსაც კულისებს მიღმა ჩურჩულებენ და სამზეოზე გამოტანას ერიდებიან/.

მიუხედავად ამ დიდი დანაკარგისა, რომანი მაინც დიდი ფასეულობისაა ქართულ და არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში. ამდენად, თავს ვალდებულად ვთვლი, მადლობა მოვახსენო ყველას, ვისაც კი ოდნავი წვლილიც კი შეუტანია მის მზის სინათლეზე გამოსატანად, უპირველესად კი ბატონებს ზურაბ და ავთანდილ ქუხილავებს, რომანის კონსულტანტს, თადარიგის გენერალ–ლეინტენანტს, ბატონ სერგო წურწუმიას, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“, რომლის გრიფითაც ეს შესანიშნავი წიგნი გამოიცა.

ალეკო გაგელაია

გელა ჩალათაშვილის ლექსები

ცის სარეცელზე ლომივით წევხარ

თინათინ მღვდლიაშვილს

ქალი კი არა, – აგვისტოს მზე ხარ,
რა გრძნეულებით მოგვაჯადოვე?!
ცის სარეცელზე ლომივით წევხარ,
ამ ცის გვირგვინი რატომ დატოვე?..
შენ გააღვიძე მთელი სამყარო,
შექმენი საღმრთო საგალობლები,
შენი სიჩუმით აღარ დაგვღალო,
მარტის მზესავით ნუ გამოჩნდები.
შენ უნდა იდგე ერის წინამძღვრად,
შენთვის ჩვეული სამეფო კვერთხით,
ჩამოაქცევდე ლექსის ნიაღვარს,
მიწას აცლიდე მომხდურსაც ფეხთით!
ქალი კი არა, – სალოცავი ხარ,
რა მოგერია დიდხანს მარტოხელს?!
დიდ ტახტრევანზე ლომივით წევხარ,
ლომი მეფობას, როგორ დატოვებს?!

ზღვის კანონი

საშიშ ღელვაში მივაპობდი, მივსდევდი ტალღებს,
უკან გამოსვლა, მობრუნება, არც მიფიქრია...
გამოვექეცი, დავუძვერი ნაპირზე დამრჩენთ
და არავისთვის საყვედურიც კი არ მითქვია.
ვიცი, ოდესმე გამიგებენ, ეს ლექსი გამცემს,
შეუპოვარმა ჩემმა რწმენამ ეს გზა მირჩია,
ზღვა სად ჩამძირავს, ჯერ არ ვიცი, ბედი სად დამცემს,
მაინც არ ვნანობ, თუ მეტოქედ ამომირჩია.
სხივი შორს ჩემგან მოკიაფე, სხვა იმედს მაძლევს,
მოდუნება და შეჩერება არ შემიძლია,
გამოყოლილი ნაპირიდან ფიქრი ვერ დამძლევს,
ამორჩეული გზა და მრწამსი არ შემიცვლია.
და ზღვის ტალღები, ვით აკვანში, ჯერ ისევ მარწევს,
და ბოლო ტყვიაც ჯერ თოფში მაქვს, არ გამისვრია...
განახლებული ჩემი ნავი მარად წინ გასწევს,
თუმც მერამდენედ დამილეწა და დამიმსხვრია.
ამ ჩემს ნიჩაბსაც, მე ვურჩევდი, – ერთგული დარჩეს,
რა გზაც მოძებნა და სიმართლედ რაც მიიჩნია...
ჩუმად დავცურავთ თავჩახრილნი, ვერავინ გვამჩნევს,
ერთად შევუტევთ, მტაცებელმა თუ მიგვიმწყვდია.
დიდ ნებისყოფას, ვით ხმელ ფოთოლს, ნიავი არხევს,
ყელამდე წყალშიც მინახიან, როგორ იწვიან...
მოქცევის დროსაც გზის მძებნელი ვერასდროს მნახეს,
ალბათ ნაპირზეც დამივიწყეს, აღარ მიცდიან.
და ზღვის კანონი გამომიტანს ალბათ განაჩენს,
და ვერ გავიგებ, სად დასრულდა ჩემი მისია,
არჩევანისთვის თუ მომივლენს ეპოქა სასჯელს,
ვერას გავხდები! არჩევანი ბოლო მისია!..

ჩემი ვალია

ჩემი ვალია, ოფლი ვღვარო თავის სარჩენად,
ვთესდე, ვიმკიდე, სავარგულებს ვხნავდე, ვბარავდე...
გლეხკაცის ჯაფა არ მიმაჩნდეს ბედის სასჯელად,
ალალ მარჯვენით ვემსახურო მიწას დაღლამდე.

ჩემი ვალია, კალამს ვუხმო აზრის სათქმელად,
ქართულ ჩუქურთმას სტრიქონებით ვწნავდე, ვქარგავდე
და პოეტების მძიმე ხვედრით ვპოვო ამქვეყნად
გზა ჭეშმარტი! გზა, რომელიც მივა ტაძრამდე.

ჩემი ვალია, საქართველოს ვედგე დამცველად,
ხელთ მეპყრას ხმალი და სიცოცხლის ბოლო წამამდე
მძიმე აბჯარში მოვიხარშო, მოვკვდე ქართველად,
მეომრის ტვირთი მივიტანო კუბოს კარამდე.

ჩემი ვალია, რომ ვიფხიზლო მტერთა სამხელად,
ვიდგე მოლბერტთან და მტრედისფერ ზეცას ვხატავდე...
ქართული სულის და ღირსების საწრთობ– საჭედად
შემწევდეს ძალა, რომ მშობლიურ მიწას დავაკვდე!

ავტობიოგრაფიულ-ალეგორიული ზღაპარი პატარა უშიშარი, ხუთოსანი ბიჭისა

„რუსეთი არის ძველი ბიჭი უბნის ყოჩი კრიმინალური ავტორიტეტია მისი ხელმძღვანელობა.

საქართველო რო გაჩდა, უცებ ეს ხუთოსანი ბიჭი, თუ გოგო, არ ვიცი, პოსტაბჭოთა სივრცეზე იღებს კარგ ნიშნებს, ყველას მოწონს, ყველა თავზე ხელს უსვამს, ყველას უნდა რო დაეხმაროს, ყველას უნდა რო გზა გაუხსნას, რა თქმა უნდა და არც მაინცდამაინც ამ ძველ ბიჭს არ ეპუება. ერთხელ წამოარტყა იმან თავზე, მეორეთ წამოარტყა, მესამეთ რაღაც მოუწყო, ხელი გაკრა, შეაგინა, შეაფურთხა. ბოლოს გადაწყვიტა რო ეხლა დროა, რო კარგად მისცხოს და ამ ხუთოსანმა შეუბრუნა ხელი და კარგი მაგარი პანღურიც ამოარტყა ამ ძველ ბიჭს. ამასობაში უბანში შემოიხედა პოლიციელმა, ამ შემთხვევაში მსოფლიო თანამეგობრობამ და ყველა გააჩერა ,მაგრამ ძველმა ბიჭმა ხო იცის რო მდგომარეობა გაუფუჭდა, ეგრეთ წოდებული „პალაჟენია,,,, მათი სიტყვით რო ვილაპარაკოთ იმიტო რო ყველა ხედავს, რო ეს ხუთოსანი ბიჭი, მართალია ხელი და ფეხი შეიძლება გაბინტული ჰქონდეს, მაგრამ ისევ დადის სკოლაში, ისევ გამოვიდა და ისევ არ ეშინია, ისევ კარგ ნიშნებს იღებს, ისევ აგრძელებს ზრდას და ისევ აგრძელებს განვითარებას და ამასობაში დანარჩენებიც ამ ძველ ბიჭს აღარ ეპუებიან, ფიქრობენ, თუ ამან, თუ ესთუ გადაურჩა, თუ ამას კისერი არ მოტეხა ეხლა, ჩვენ მითუმეტეს რას გვიზამს, ეს ჩვენ ხო უფრო გაზრდლიები ვართ და სულ უფრო ეს დროა, რაც დრო გადის, ის დრო შეუქცევადი ხდება, იმიტო რო ეს პატარა ბიჭი იზრდება და ვაჟკაცდება, ძალაც ემატება, რა თქმა უნდა, ძველი ბიჭის მენტალიტეტიდან გამომდინარე ეს არის სრულიად მიუღებელი სიტუაცია.

რა უნდა ვქნათ ჩვენ, გავაგრძელოთ ყველაფერი იგივე, იმიტო რო იმ წუთში, როგორც იმას აჩვენებ ზურგს, იმ წუთში, როდესაც ძველ ბიჭს, კრიმინალს, კანონიერ ქურდს აჩვენებ რო იმის პატარაზე გეშინია ,აი მაშინ არის შენი საქმე წასული! მაშინვე რო დამთავრებულია შენი არსებობაც და საერთოდ მთელი ცხოვრება უნდა იყო იმის ქვეშ. ამიტო ჩვენ ამას არასდროს მათ ამ საჩუქარს, არასდროს ჩვენ მათ არ გავუკეთებთ,, (ტელეკომპანია რუსთავი 2-ის რეპორტაჟი, ანაკლიაში უმრავლესობასთან შეხვედრა, 04. 09. 10. 12:20, სტილი დაცულია).

ამ სიტყვების ავტორი ჰყვება ალეგორიულ ზღაპარს, სადაც საკუთარ „ლომგულოვან,, სპას მოუთხრობს გულისამაჩუყებელ ეპიზოდებს საკუთარი ბავშვობიდან. ამ ზღაპარში მთავარ მოქმედ პირს საკუთარი თავი, ჩვენდა საუბედუროდ თუ საავალალოდ, საქართველოსთან ჰყავს გაიგივებული, მაგრამ თავად მაინც არ სცოდნია, ეს ხუთოსანი, ბიჭია თუ გოგო.

ანდრესენი რომ ცოცხალი იყოს, ამის წამკითხავი, კალამს ხელს აღარ მოჰკიდებდა და ამ გაზრდილ, მაგრამ მაინც მოუმთავრებელ-დაუმთავრებელ ხუთოსან ბიჭს გადაულოცავდა თავის ჯადოსნურ კალამს.

ლომგული მეზღაპრის მომსმენს, ჩემი ბავშვობის დროინდელი ნახატი ფილმი „მკვეხარა წრუწუნა,, მახსენდება – პატარა თაგუნა, რომელმაც უშიშრად გახდომა მოისურვა, მაგრამ საბრალოს მაინც არაფერი გამოუვიდა... „არა შეჯდა მწყერი ხეზე, არა იყო გვარი მისი“...

საქართველოს მიუნჰაუზენს სალაყბოს უმრავლესობა დიდი გულისყურითა და მონდომებით უსმენდა, ყლაპავდნენ მის თითოეულ სიტყვას, მის სიბრძნეს და უმატებდნენ საკუთარ „ბაგაჟს“.

რაღა დაგიმალოთ, უნდა გამოგიტყდეთ, ამ რეპორტაჟის დროს ბოროტმა ფიქრმა გამიელვა, ზღვის პირას არიან, იქ ანაკლიაში მოზრდილი გედებიც მინახავს, ერთიც ვნახოთ და ახლა რომელიმე მათგანმა თავზე რომ გადაუფრინოს, ნეტავ რა მოხდება-თქო? აი, სანახავს მაშინ ვნახავდით, თუმცა რა, არ გვინახავს, თუ რა?!მიწაზე მფორთხავი და ჰალსტუხღეჭია უშიშარი ლომგული ხუთოსანი ბიჭი!

ჩვენი მეზღაპრე, რომელმაც საკუთარი თავი საქართველოს შეუპირწონა, ამ თავის მორიგ ზღაპარში ბევრ, მართლაც და, ზღაპრისათვის შეუფერებელ და დაუჯერებელ ამბებს ჰყვება:

„საქართველო რო გაჩდა, უცებ, ეს ხუთოსანი ბიჭი თუ გოგო, არ ვიცი, პოსტსაბჭოთა სივრცეზე იღებს კარგ ნიშნებს, ყველას მოწონს, ყველა თავზე ხელს უსვამს, ყველას უნდა რო დაეხმაროს, ყველას უნდა რო გზა გაუხსნას,,

საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში უცებ არ გაჩენილა, საქართველო რამდენიმე ათასწლეულის წინ გაჩნდა და ბევრი პოსტ სივრცე გამოუვლია და ბევრჯერ, მართლაც, კაი ნიშანი მიუღია, იმიტომ რომ კაი პატრონის ხელში ყოფილა და ნიშნებიც ნაღდი იყო, ისტორიის ჟამთასვლის მიერ დასმული და განმტკიცებული...

„იღებს კარგ ნიშნებს,, - ამბობს მეზღაპრე, მაგრამ ახლა ვნახოთ, ამ პატარა ბიჭის, თუ გოგოს მიჩუმათებული ცუდი ნიშნებიც, რომლებიც მსოფლიო თანამეგობრობის წარმომადგენლებმა დაუწერეს და რომელთაც საგულდაგულოდ გვიმალავენ: საქართველო კვლავ „ნაწილობრივ თავისუფალი,,, ამავე დროს - „არაარჩევითი დემოკრატიის,, ქვეყანაა

საქართველო „ნაწილობრივ თავისუფალ,, და „არაარჩევით დემოკრატიად,, რჩება - ნათქვამია Freedom House-ის ყოველწლიურ კვლევაში „თავისუფლება მსოფლიოში“, რომელიც 12 იანვარს გამოქვეყნდა და რომელიც 2009 წელს მომხდარ მოვლენებს მოიცავს.

სტატუსის განსაზღვრა „თავისუფალ,,, „ნაწილობრივ თავისუფალ,, ან „არათავისუფალ,, ქვეყნებად ხდება პოლიტიკური უფლებების და სამოქალაქო თავისუფლებების კატეგორიების საფუძველზე. საქართველოს ქულამ ამ ორივე კატეგორიაში 2008 წლის მსგავსად, 2009-შიც 4 შეადგინა.

პოლიტიკური უფლებების და სამოქალაქო თავისუფლებების ქულები გაანგარიშებულია 1-დან 7-მდე შკალაზე, სადაც 1 თავისუფლების ყველაზე მაღალი დონის მაჩვენებელია, ხოლო 7 - ყველაზე დაბალის.

საქართველოს მაჩვენებელი, ამ ორივე კატეგორიაში, 2007 წლის ამსახველ მოხსენებაში გაუარესდა 3 ქულიდან 4-მდე, რაც 2007 წლის ნოემბერში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა.

Freedom House-მა საქართველო არჩევითი დემოკრატიის მქონე ქვეყანათა სიიდან 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ამოიღო, რის შესახებაც ორგანიზაციის იმ მოხსენებაშია საუბარი, რომელიც 2008 წელს განვითარებულ მოვლენებს მოიცავს.

Freedom House-მა თავის კვლევაში ასევე შეიყვანა სეპარატისტული სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი „სადავო ტერიტორიების“ კატეგორიაში. წინა წლის კვლევის მსგავსად, აფხაზეთს კვლავაც „ნახევრად თავისუფალი“, ხოლო სამხრეთ ოსეთს „არათავისუფალი“ სტატუსი აქვთ მინიჭებული.

„ლომგული რაინდი“

საქართველო - არშემდგარი ქვეყანა

ალექსი გეჟანიშვილი

ამერიკულმა ორგანიზაცია „მშვიდობის ფონდმა“ ,ყოველწლიური მეხუთე ანგარიში წარმოადგინა. ეს არის არშემდგარი ქვეყნების ინდექსი (FSI) 2009 წლისთვის, რომელშიც საქართველომ 33-ე ადგილი დაიკავა ყველაზე საგანგაშო კატეგორიაში სომალის, ზიმბაბვეს, სუდანის, კონგოს, ავღანეთის, ირანისა და სხვა მსგავს ქვეყნებს შორის. მეტი სიზუსტისათვის, საგანგაშო კატეგორიაში სულ 38 ქვეყანაა, შემდეგი რიგითობით:

33. საქართველო; 34. ლიბერია; 35. ბურკინა ფასო; 36. ერითრეა; 37. ტაჯიკეთი; 38. ირანი.

მშვიდობის ფონდის არშემდგარი ქვეყნების ინდექსი ეყრდნობა ამა თუ იმ ქვეყნებში არსებული რისკების მაჩვენებელს, რაც თავის მხრივ, მშვიდობის ფონდის პროგრამული უზრუნველყოფით დაფუძნებულია ათასობით სტატიასა და მოხსენებაზე, ელექტრონული წყაროების საშუალებით.

მშვიდობის ფონდი განსაკუთრებით ფოკუსირებულია სუსტი და არშემდგარი სახელმწიფოების პრობლემებზე. წელს, ორგანიზაციამ, არშემდგარი ქვეყნების ინდექსის მეხუთე ანგარიში წარმოადგინა.

მატყუარა მეზღაპრე კი უსირცხვილოდ გვიმტკიცებს „ისევ აგრძელებს ზრდას და ისევ აგრძელებს განვითარებას“...ო.

ვენეციის კომისიამ ხელისუფლებას ყური აუწია

ალექსი გეჟანიშვილი

ვენეციის კომისია საქართველოს ხელისუფლებას მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებების დროული განხორციელებისკენ მოუწოდებს. ვენეციის კომისიის თავმჯდომარის, ჯანი ბუკიკოს აზრით, აუცილებელია, საქართველოს სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსი დროულად აღდგეს, საქართველოს პრეზიდენტს უფლებები შეეზღუდოს, პარლამენტს, პირიქით - გაეზარდოს და ამავდროულად, ქვეყანამ ნორმალური სასამართლო ხელისუფლება მიიღოს.

ამის შესახებ ბუკიკიომ 4 თებერვალს თბილისში ევროსაბჭოს ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა და აქვე დასძინა, რომ „ვარდების რევოლუციის,, შემდეგ სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსის ნაკლებობა აშკარად შეინიშნება“.

„მე ვაღიარებ, რომ თქვენ მკაცრი კონტროლი გჭირდებოდათ სახელმწიფო პოლიტიკაში, მაგრამ ახლა ამ პოლიტიკის შერბილება და ძალთა გადანაწილებაა საჭირო. ბალანსი უნდა დაიცვათ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის. პრეზიდენტის უფლებები უნდა შეიზღუდოს, რის ხარჯზეც გაიზრდება პარლამენტის უფლებამოსილება. თქვენ ნამდვილი დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა გჭირდებათ. რისთვისაც კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილებების დროულად გატარებაა საჭირო,,, - განაცხადა ბუკიკიომ.

ჯანი ბუკიკიომ არჩევნების თემასაც ვერ აუარა გვერდი. მის შენიშვნებში ხელისუფლების მისამართით ამ თემაზეც კრიტიკული ინტონაციები გაისმა. „სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად კანონთან ერთად პოლიტიკური ნებაც არის საჭირო,,, - განაცხადა მან და დასძინა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ უფრო უნდა გაიზარდოს, ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა იყოს უფრო ძლიერი, სასამართლო უნდა იყოს უფრო დამოუკიდებელი, ხოლო რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, ისინი ყველა პოლიტიკური ძალისთვის უნდა იყოს მისაღები და არა ერთი რომელიმე პარტიისათვის.

ვენეციის კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს კონსტიტუციაში ძალიან ბევრი ხარვეზია, რაც კონსენსუსის გზით უნდა აღმოიფხვრას. როგორც ბუკიკიომ საკონსტიტუციო კომისიაში ექსპერტებთან და არასამთავრობო სექტორთან მიმდინარე შეხვედრაზე განაცხადა, არსებული კონსტიტუცია არ აკმაყოფილებს თანამედროვე და დასავლურ მოთხოვნებს.

„საქართველომ კონსტიტუციაზე მუშაობა დამოუკიდებლობის დღიდან დაიწყო და ძალიან სამწუხაროა, რომ თითქმის 20 წლის განმავლობაში ქვეყანამ გამართული კონსტიტუცია ვერ შეიმუშავა,,, – აღნიშნა ვენეციის კომისიის თავჯდომარემ.

ბუკიკოს განცხადებით, ყველაზე მეტი ხარვეზი აღინიშნება სახელმწიფო მოწყობის საკითხებში. მისივე აზრით, ახალ კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელისუფლებო გამიჯვნას და მეტი ავტონომია უნდა მიეცეს ადგილობრივ თვითმმართველობებს.

„ამოცანა და ხარვეზი ბევრია და მათზე ყველამ ერთად უნდა იმუშაოს. აუცილებელია, კონსტიტუცია თანხმობისა და კონსენსუსის საფუძველზე იყოს მიღებული და ამაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ სამოქალაქო საზოგადოებამ და პოლიტიკურმა პარტიებმა“, – განაცხადა ბუკიკიომ.

უფრო სამწუხაროც, ამ ხუთოსანი მოწაფის იმედიც კი გაცრუებიათ: „ევროკავშირმა საქართველოს მიმართ იმედგაცრუება ღიად გამოხატა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ევროკავშირის ხელმძღვანელებმა მკაფიოდ მიანიშნეს, რომ დემოკრატიული რეფორმების განხორციელება აუცილებელია, თუკი თბილისს ბრიუსელთან თანამშრომლობა სურს.

ამის შესახებ რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი კობა ლიკლიკაძე პრაღიდან იუწყება. წერილში, რომელიც „რადიო თავისუფლების“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა (http://www.tavisupleba.org/content/article/1987706.html), ლიკლიკაძე წერს, რომ ეს გაფრთხილება საქართველოში „იმედის“ ყალბი საინფორმაციო გამოშვებით გამოწვეულ სკანდალს დაემთხვა, რის გამოც განმარტების გაკეთება ბრიუსელში თავად საქართველოს პრემიერ-მინისტრს მოუხდა.

„ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ევროკავშირმა ღიად გამოხატა საქართველოს მიმართ იმედგაცრუება. ადრე ევროკავშირი მხოლოდ მინიშნებით საუბრობდა იმედგაცრუებაზე, რასაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იწვევდა საქართველოში განხორციელებული დემოკრატიული რეფორმები. მაგრამ 17 მარტს, როდესაც სამხრეთ კავკასიის არასტაბილური ქვეყნის მიზნებსა და რეალობას შორის არსებულ დეფიციტზე საუბრობდა, ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ ახალი, უფრო მკვეთრი ტონი შეარჩია“, - ნათქვამია წერილში.

აქვე მოყვანილია ჟოზე მანუელ ბაროზუს გამოსვლიდან ციტატა, სადაც ევროკომისიის პრეზიდეტი ამბობს: „ევროკავშირი იმედოვნებს, რომ გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციისათვის, რათა შეიქმნას ინკლუზიური პოლიტიკური კულტურა და უზრუნველყოფილ იქნეს მედიის სრული თავისუფლება. საქართველოსათვის ამ მიზნების მისაღწევად პროგრესი აუცილებელია, თუკი ამ ქვეყანას ევროკავშირთან დაახლოება სურს,,.

„ევროკავშირის ოფიციალური პირები, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში მალავდნენ იმედგაცრუებას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მზარდი ავტორიტარიზმისა და არასტაბილური მმართველობის გამო. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ 17 მარტს ამ მისტიფიკაციას „აღმაშფოთებელი,, უწოდა. თუმცა, ბრიუსელში მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა უარყო აზრი, თითქოს ტელეკომპანია „იმედს,, საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდეს,,, - ნათქვამია სტატიაში.

.,,საქართველოსათვის მნიშვნელოვანია მის ტერიტორიაზე ევროკაშირის სადამკვირვებლო მისიის არსებობა, თუმცა ეს არ არის ერთმიშვნელოვნად პოპულარული საკითხი ბლოკის შიგნით. საფრანგეთი და გერმანია შიშობენ, რომ შესაძლოა, ევროკავშირის ურთიერთობა რუსეთთან გართულდეს, თუკი მოსკოვსა და თბილისს შორის კვლავ იფეთქებს კონფლიქტი. ამასთან, თუ საქართველოს დემოკრატიული მახასიათებლები შემდგომში კვლავ გაუარესდება, მაშინ, შესაძლოა, მისიის გაგრძელების საკითხი ამ შემოდგომაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს“, - ნათქვამია კობა ლიკლიკაძის სტატიაში.

ამაზე მეტიც, ეს ხუთოსანი მოწაფე, თურმე კანონით აკრძალულ რამე – რუმეებსაც სჩადის, რაშიც საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ ამხილა:

„საერთაშორისო ამნისტია“ საქართველოს წამების იარაღების შესყიდვაში ამხელს

ევროპული ქვეყნები მონაწილეობას იღ-

გაგრძელება მე-14 გვ.

დასაწყისი გვ. 13

ებენ ისეთი აღჭურვილობის გლობალურ ვაჭრობაში, რომელსაც ფართოდ იყენებენ წამების ან სხვა სასტიკი მოპყრობის დროს; ამის შესახებ მტკიცებულებები წარმოადგინა „ამნესტი ინთერნეშენალმა„ („საერთაშორისო ამნისტიამ„) და ომეგას კვლევითმა ფონდმა ახალ ანგარიშში, რომელიც 16 მარტს გავრცელდა. ამ დოკუმენტის სრულ ვერსიაში საქართველოც არის მოხსენიებული. კერძოდ, აღნიშნულია, რომ საქართველო წამების იარაღებს გერმანიიდან და ჩეხეთიდან ყიდულობდა.

კედელზე მისაბმელები, რკინის ხელბორკილები და ელექტროშოკის „მკლავები“ და „ბორკილები“ რომლებიც ატარებენ 50 000 ვოლტს... წამების ეს იარაღები ჩამოთვლილია ანგარიშში „სიტყვებიდან საქმეებამდე“.

ანგარიშის თანახმად, მსგავსი საქმიანობები კვლავ გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს ევროპის მასშტაბით მიიღეს კანონი, რითაც აიკრძალა საერთაშორისო მასშტაბით წამებისა და სასტიკი მოპყრობისათვის განკუთვნილი პოლიციური და უსაფრთხოების აღჭურვილობით ვაჭრობა.

„ჩვენი კვლევა ცხადყოფს, რომ მიუხედავად ახალი კონტროლის მექანიზმებისა, რამდენიმე წევრი სახელმწიფო, მათ შორის - გერმანია და ჩეხეთის რესპუბლიკა, 2006 წლის შემდეგაც ყიდის პოლიციურ იარაღებს და ბორკილებს სულ ცოტა ცხრა ქვეყანაში, სადაც ამნესტი ინთერნეშენლმა დაადგინა ამ იარაღების წამების დროს გამოყენების ფაქტები„„ - განაცხადა ამნესტი ინთერნეშენალის სამხედრო უსაფრთხოებისა და პოლიციის მენეჯერმა ბრაიან ვუდმა.

• 2006 წლიდან 2009 წლამდე ჩეხეთმა გასცა ლიცენზია, იარაღი მიეყიდათ 6 ქვეყანისთვის — ბულგარეთისთვის, რუმინეთისთვის, მექსიკისთვის, აშშ-სთვის, მონღოლეთისთვის და საქართველოსთვის. საუბარია ბორკილებზე, ელექტროშოკის იარაღებსა და ქიმიურ შესასხურებლებზე; ამ ქვეყნებში პოლიცია და უშიშროების სამსახურები ადრე იყენებდნენ მსგავს იარაღს წამებისა და სასტიკი მოპყრობის დროს.

საბაჟოს მოხელეებმა დაადასტურეს გერმანიის პარლამენტის წევრებთან საუბრის დროს, რომ მათ აღმოაჩინეს ელექტროშოკების აპარატურის უკანონო გადაზიდვები გერმანიიდან საქართველოში, ბანგლადეშში, რუმინეთსა და ირანში.

ვისთვის და რისთვის უნდა ხუთოსანსა და სანიმუშო ყოფაქცევის, თვით „ხელ-ფეხ გაბინტულ“ მოწაფეს წამების იარაღები?

„ჩვენი ქვეყნის წინაშე რეალური გამოწვევები არსებობს“, – ხაზგასმით აღნიშნა საკაშვილმა ამასწინანდელ შეხვედრაზე თბილისის სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან, რაც ტელევიზიით გადაიცა. მან საქართველო ისრაელს შეადარა – ქვეყანას, რომელიც ყველა მხრიდან მტრებითაა გარშემორტყმული და სრულად მილიტარიზებულია. ნუ იტყვით და, თურმე, ისრაელში, ადამიანები „სარაკეტო თავდასხმებისთვის მზად არიან“.

საკაშვილისთვის საუბედურად, მისი მმართველობისთვის ძირითად საფრთხეს, არა რუსეთის მხრიდან რაკეტებით თავდასხმის საფრთხე წარმოადგენს, არამედ, სინამდვილეში, მის შეშფოთებას სხვა საფუძველი აქვს – საკუთარი ხალხის პოლიტიკური უკმაყოფილება — ხალხის, რომელიც გაღატაკებულია, ომისგან დაღლილი, ილუზიების გარეშე დარჩენილი, სასოწარკვეთილი და გაღიზიანებული.

ბიუჯეტის გამჭვირვალობით საქართველო ნახევრად ღია ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება

გელა მთივლიშვილი

ორგანიზაციამ „საერთაშორისო ბიუჯეტის პარტნიორობა“ (International Budget Partnership) სახელმწიფო ბიუჯეტების ღიაობის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. 85 ქვეყანას შორის საქართველომ 53 ქულა მიიღო. საქართველო ჩამორჩება კორეას, პერუს, რუსეთს, უკრაინას, მაკედონიას და ა.შ.

„საერთაშორისო ბიუჯეტის პარტნიორობა“ ბიუჯეტების გამჭვირვალობის კვლევას და შეფასებას 2006 წლიდან, 85 ქვეყანაში, ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ახორციელებს. კითხვარი ბიუჯეტის გამჭვირვალობის თემაზე ასზე მეტი შეკითხვისგან შედგება. კითხვარს ქვეყნიდან ერთი ექსპერტი ავსებს და ორი ესქპერტი ამოწმებს. საქართველოში კითხვარს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ დირექტორი თამარ ქაროსანიძე ავსებს. www.humanrighhst.ge

მეზღაპრემ ისიც დაგვიმალა, რომ ეს გაბინტული ხუთოსანი მოწაფე პასუხს აგებს პანღურისთვის:

ჰუმან რაითს უოთჩმა საქართველოს ხელისუფლებას შეახსენა, რომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში პასუხს ისიც აგებს „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ გთავაზობთ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის „ჰუმან რაითს უოთჩის“ 2009 წლის ანგარიშის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს ეხება. ანგარიშში მკაცრად არის გაკრიტიკებული საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც არ გამოიძია 2007 წლის 7 ნოემბერსა და 2009 წლის აპრილ-ივნისში თბილისში დემონსტრანტების კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ფაქტები. ორგანიზაცია ასევე ეხება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს და აცხადებს, რომ საქართველომ უნდა გამოიძიოს ის დარღვევები, რომელიც მის წილ პასუხისმგებლობას ეხება ცხინვალში მშიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ სარაკეტო და სხვა სახის სამხედრო იერიშის გამო.

2009 წლის აპრილში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი პოლიტიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, როცა ათასობით ოპოზიციონერი გამოვიდა ქალაქ თბილისის ქუჩებში მისი გადადგომისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით. პროტესტი გაგრძელდა 2 თვე. საპროტესტო აქციების დროს, ადამიანთა უფლებების ჯგუფმა აღწერა ის საეჭვო თავდასხმის ფაქტები,რომელიც ოპოზიციონერ აქტივისტებზე ხორციელდებოდა უცნობი თავდამსხმელების მიერ. პოლიციამ გადაჭარბებული ძალა გამოიყენა, დააპატიმრა აქციის მონაწილეები და თავს დაესხა ჟურნალისტებს.

ერთ წელზე მეტი გავიდა სამხრეთ ოსეთში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ. ხელისუფლებას კი დეტალურად არ გამოუძიებია საქართველოს მიერ საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები.

რუსეთი კვლავ აგრძელებდა კონტროლს სამხრეთ ოსეთსა და სხვა დაკარგულ ტერიტორიაზე — აფხაზეთზე. მან არ შეუშვა საერთაშორისო დამკვირვებლები ამ ტერიტორიაზე და ვეტო დაადო საერთაშორისო მისიის მუშაობას. ევროკავშირმა 2008 წლის კონფლიქტის საერთაშორისო გამოძიება ჩაატარა, რამაც წინა პლანზე წამოსწია პასუხისმგებლობის დრამატული ნაკლებობა.

შეკრების თავისუფლება და პოლიციის ძალადობა

ათასობით ადამიანი ითხოვდა საკაშვილის გადადგომას. მათ გადაკეტეს თბილისის ქუჩები აპრილიდან ივნისამდე. ხელისუფლება იომენდა გაგრძელებულ საპროტესტო აქციებს, რა დროსაც პოლიცია იყენებდა გადაჭარბებულ ძალებს დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ. უამრავი აქტივისტი დაპატიმრეს. ზოგიერთი მკურნალობდა კიდეც. ამას გარდა, უამრავი შეტაკების დროს აპრილსა და მაისში, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა უცნობებმა, რომლებიც შეიარაღებულები იყვნენ რეზინის ჯოხებით და ატარებდნენ ნიღბებს, სცემეს და დაემუქრნენ დემონსტრანტების გარკვეულ ნაწილს, რომელიც ღამით ტოვებდა საპროტესტო აქციას.

სამოქალაქო საზოგადოებრივმა ჯგუფებმა და ომბუდსმენმა აღწერეს უამრავი ასეთი ინციდენტი. ხელისუფლებამ გახსნა დაახლოებით 50 ასეთი საქმე, მაგრამ არც ერთი არ გამოუძიებია — უსიტყვოდ დათანხმდა ან მხარი დაუჭირა ასეთ თავდასხმებს.

15 ივნისს პოლიცია თავს დაესხა ოპოზიციის დაახლოებით 50 მხარდამჭერს, რომლებიც შეიკრიბნენ პოლიციის განყოფილებასთან და აპროტესტებდნენ წინა დღით ახალგაზრდა აქტივისტების დაკავებას. პოლიციამ გაუფრთხილებლად დაარბია დემონსტრანტები რეზინის ხელკეტებით, რა დროსაც 17 დემონსტრანტი დაზარალდა. პოლიცია ამტკიცებს, რომ ოპოზიციის მხარდამჭერებმა მთავარი შესასვლელისა და გზის ბლოკირება მოახდინეს. დაკავებული 38 დემონსტრანტიდან 33 გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც დააკისრეს ჯარიმები და 5-დან 30 დღემდე ადმინისტრაციული სასჯელი. გათავისუფლებულთა უმეტესობა აცხადებს, რომ პოლიციის საპატიმროში შეურაცხყოფას აყენებდნენ.

პოლიციამ, აგრეთვე, შეურაცხყოფა მიაყენა რამდენიმე ჟურნალისტს და ჩამოართვა კამერები. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით პოლიციამ დაუბრუნა მათ მოწყობილობა, რამდენიმე ჟურნალისტი აცხადებს, რომ ვიდეო და ფოტო მასალა წაშლილია. პოლიციამ ბოდიში მოიხადა, რომ ხელი შეუშალა მედიის მუშაობას 15 ივნისის ინციდენტის დროს. თუმცა, არ ჩაუტარებია დამოუკიდებელი გამოძიება. რამდენიმე პოლიციელმა (მათი ვინაობა არ იყო გამჟღავნებული) მიიღო საყვედური მხოლოდ შიდა გამოძიების შემდეგ. არც ერთი მნიშვნელოვანი გამოძიება არ ჩატარებულა პოლიციის მიერ უკიდურესი ზომების გამოყენების თაობაზე.

საპროტესტო აქციის მონაწილეთა საპასუხოდ, ივლისში პარლამენტმა შეიტანა რეგრესული ცვლილებები ადმინისტრაციულ კოდექსში, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანთა ხულიგნობისა და პოლიციის დაუმორჩილებლობისთვის, ადმინისტრაციული სასჯელი გაიზარდა 30-დან 90 დღემდე.

მიღებული ზომები გადაჭარბებულია, რადგანაც კრიმინალური დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის ვადა არის მხოლოდ 60 დღე. ივლისის ცვლილებებმა, რომელიც შეტანილია „შეკრებისა და მანიფესტაციის“ შესახებ კანონში, აკრძალა აქციების დროს გზების სრული ან ნახევრად ბლოკირება, თუ აქციის მონაწილეების რაოდენობა კანონით განსაზღვრულზე ნაკლებია.

წამყვანი საერთაშორისო პირების განუწყვეტელი მოთხოვნის მიუხედავად, მთავრობამ უარი თქვა დაწვრილებითი გამოძიების დაწყებაზე 2007 წლის 7 ნოემბრის ინციდენტთან დაკავშირებით, როცა პოლიციამ გამოიყენა უკიდურესი ზომები მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ თბილისში, რა დროსაც 500 ადამიანი დაშავდა.

ვითარება ციხეებში

მიუხედავად ახალი ციხეების მშენებლობისა, საპრეზიდენტო შეწყალებებისა და ამინისტიებისა, კვლავ პრობლემად რჩება სისხლის სამართლის დამნაშავეთა საპატიმრო სისტემა, რომელიც პატიმრებითაა გადაჭედილი და უმძიმეს პირობებში იმყოფებიან.

მიუხედავად ოფიციალური სტატისტიკისა, რომელიც გვიჩვენებს წინასწარი პატიმრობის რიცხვის შემცირებას, პატიმრების საერთო რაოდენობა 2009 წლის ივნისისთვის 19 504-მდე გაიზარდა. ეს არის 50 პროცენტით მატება 2006 წლის შემდეგ. თბილისის ახლოს აშენებულ ახალ საპატიმროშიც კი არ წყდება პატიმრების განცხადებები, რომ მათ განზრახ ცუდად ეპყრობიან.

მთავრობამ ვერ შეძლო, ჩაეტარებინა 2006 წლის მარტის ოპერაციის სრული გამოძიება, როცა თბილისის №5 საპყრობილეში მომხდარი აჯანყების ჩახშობისას, 7 პატიმარი დაიღუპა და უამრავი დაშავდა.

მთავრობა ინარჩუნებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს — 12 წელს, მიუხედავად 2008 წლის ივნისის გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციისა, რომ განესაზღვრა ეს ზღვარი 14 წლით. მიუხედავად ამისა, მთავრობამ გააგრძელა 14 წლამდე არასრულწლოვნების კრიმინალური ბრალდებულების მორატორიუმი, ვიდრე არ შეიქმნებოდა არასრულწლოვანთა სამართლის სისტემა, რაც დაგეგმილი იყო 2008 წლისთვის, მაგრამ ვერ დასრულდა.

მედიის თავისუფლება

მედია სივრცე კვლავ შერეული რჩება; არსებობს უამრავი ბეჭდვითი მედიასაშუალებები, მაგრამ ეროვნული სატელევიზიო მაუწყებლობა მოიცავს მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ და სამთავრობო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ ტელევიზიებს. მედიასაშუალებების მფლობელების გამჭვირვალეობა რჩება საეჭვო. 2009 წლის 15 ივნისს თბილისის ორმა პრო-ოპოზიციურმა სატელევიზიო სადგურმა „მაესტრომ“ და „კავკასიამ“ შეწყვიტა მაუწყებლობა მას შემდეგ, რაც მათ ჟურნალისტებს თავს დაესხნენ და ჩამოართვეს აღჭურვილობა პოლიციის განყოფილებასთან მომხდარი კონფლიქტის დროს. 30 მაისს ადგილობრივმა საკაბელო ქსელმა რუსთავში, თბილისის მახლობლად ადგილობრივი ხელისუფლების ზეწოლის შედეგად „მაესტრო“ მოხსნა სამაუწყებლო სიიდან. ოქტომბერში, ადგილობრივმა სასამართლომ, 166 000 ამერიკული დოლარის გადახდა დააკისრა „25-ე არხს“, რომელიც ერთადერთი დამოუკიდებელი ტელევიზიაა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ტელევიზიის მფლობელები დავობენ ჯარიმაზე და ამტკიცებენ, რომ ამ ყველაფრის მიზანია სატელევიზიო სადგურის დახურვა.

ბეჭდვითი მედიაწყაროების მდგომარეობა მერყევია. ისინი დამოკიდებულები არიან საგაზეთო ჯიხურების გაყიდვებზე და სარეკლამო შემოსავლებზე. სექტემბერში თბილისის მუნიციპალური ხელმძღვანელების მოთხოვნებმა, რომ საგაზეთო ჯიხურები ამახინჯებენ თბილისის სახეს, წარმოშვა საგაზეთო ჯიხურების შესაძლო აღების საშიშროება. ეს საფრთხე შეუქმნიდა ბევრი ბეჭდვითი საშუალების არსებობას.

რამდენიმე ჟურნალისტი აცხადებდა, რომ ისინი განიცდიდნენ ზეწოლას და მათზე ხდებოდა თავდასხმა. 10 ივნისს დასავლეთ საქართველოში, ჩოხატაურის რაიონის პოლიციაში რეგიონალური გაზეთის „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს, ნატო გეგელიას შეურაცხყოფა მიაყენეს, როცა იგი იძიებდა ოპოზიციონერი აქტივისტების დაკავების საქმეს.

ძველი ბიჭების მიერ შევიწროებული და დატერორებული, თავში წამორტყმეული ხუთოსანი მოწაფე მთლად ანგელოზი ვერ ყოფილა და მსგავს საქციელს ის სხვების მიმართაც სჩადის და თურმე ბევრიც უკანონოდ გამოუმწყვდევია სარდაფებში და მათ უპირობო გათავისუფლებასაც მოითხოვს უბანში შემოხედილი პოლიცია –საერთაშორისო თანამეგობრობა, მაგრამ ნურას უკაცრავად.!..

ამერიკელი კონგრესმენი ფრენკ ვოლფი საქართველოს ხელისუფლებას პოლიტპატიმრების განთავისუფლებისკენ მოუწოდებს

ამერიკელი კონგრესმენი ფრენკ ვოლფი საქართველოს იუსტიციის მინისტრს ზურაბ ადეიშვილს უგზავნის წერილს, სადაც ხელისუფლებას პოლიტპატიმრების გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.

კონგრესმენს მოჰყავს ციტატა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშიდან ადამიანის უფლებების შესახებ, სადაც სხვა დარღვევებთან ერთად საუბარია პატიმართა დაშინების და აბუჩად აგდების, საპატიმრო და წინასწარი დაკავების ადგილებში ცუდი პირობების, პოლიციის დაუსჯელობის, ადვოკატის ხელმიუწვდომლობის, პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებების შესახებ მოხსენებების და სასამართლო სისტემაზე ხელისუფლებაზე ზეწოლის ფაქტების შესახებ.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის უახლესი ანგარიში ადამიანის უფლებების შესახებ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) აგვისტოს ანგარიში პოლიტპატიმრების შესახებ და ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში, რომელიც მხარდაჭერილია „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ მიერ, მოიხსენიებენ ამ საქმეს საქართველოში სხვა საქმეებთან ერთად.

ბოლო დროს საქართველოს თავზე განვითარებული მოვლენები მეზღაპრის შემდგომ გამონათქვამსაც აბათილებს: „ყველას მოწონს, ყველა თავზე ხელს უსვამს, ყველას უნდა რო დაეხმაროს, ყველას უნდა რო გზა გაუხსნას“ – რეალობა კი საპირისპიროა – გვტუქსავენ და გვამუნათებენ.

აი, ამგვარ სიცრუით აღვსილ ზღაპრებს უყვება მეზღაპრე თავის ჩასუქებულ-გაზულუქებული უმრავლესობის აუდიტორიას, ამ უმრავლესობის გაბრწყინებული თვალებიდან მონური მორჩილება გამოსჭვივის, ხოლო ამგვარი ზღაპრების ლათაიებისთვის კი გაღლეტილ-გაპროლეტარებული უმრავლესობის გმირი წარმომადგენელი, უკანასკნელ თავის ფეხსაცმელსაც კი ესვრის ცრუ მეზღაპრეს (სამწუხაროდ სურათი ვერ მოვიხელთეთ)...

ასეთი საზღაპრო სეანსები, სალაყბოს უმრავლესობასთან, არც თუ იშვიათია, წარმოიდგინეთ, როგორი პოლიტიკური და ინტელექტუალური დონე უნდა ჰქონდეს სალაყბოს უმრავლესობას, რომელიც იტანს და უსმენს ამ სამარცხვინო და ღირსების შეურაცხმყოფელ ბოდვებს?!

გლახო კარგარეთელი

დასაწყისი გვ. 9

გაღებითაა შესაძლებელი, ასეთი არსებობაა წილდებული უფალთან, როცა ეძიებ მთავარს, სისხლიც ბობოქრობს, თუნდაც შესდგეს შენს ძარღვებში, არ გეშინია, მხოლოდ ამ სისხლის გაქვავება–გაყინვას უფრთხი და ის მხოლოდ ხორცის მექანიზმად არ გჭირდება, სულსაც აკვებინებ და ყოველ ცუდ მოვლენაზე წვეთ–წვეთად კარგავ მას; მხვერპლადაც იღებ როცა საჭიროა, მთავარის დათმობას ხომ მისი გაღება სჯობს ისევ და ისევ... მარტოობაში აღმოჩენილ სამყაროსაც ვერაფერი შეედრება. მარტოობა პროტესტის გამოხატულებაცაა! თითოეული ასეთი ტკივილი ერთით მეტი ნაბიჯია სიკვდილისაკენ, ხან კი ნახტომიც! სააუგო წახდომისგან ეს თუ გვიფარავს. მათი გულია სხვათა მოქნეულს რომ მახვილივით უხვდება წინ ფარადქცეული ზნეობით!

„მარტოობის ორდენის კავალრობა“ – ეს არის მომავალი ერთიანობა მრავალთან, მათი მარტოგზა დიდ გზას უერთდება. საქართველოც ხომ მარტოქვეყანაა – უფლის ნაპატრონები ვენახია, რომელსაც ყველა საწამლავი მხოლოდ შაბიამნად გამოადგება, რათა უფრო კარგი მტევნები მოისხას!

ერთხელ თელავის თეატრის რეჟისორმა – ნოდარ დეისაძემ საინტერესო რამ გვიამბო. ბებია მუშაობდა თელავის თეატრში და სოხუმში შევხვდით ნოდარს, ვაჟკაცური გამბედაობა იყო კომუნისტური რეჟიმის ზეობის ხანაში ამის გამხელა. ბევრი ანტისაბჭოთა მოსაზრება გაგვიზიარა და უცებ ეს ამბავიც მოაყოლა – ზუგდიდში „მთვარის მოტაცება“ დაუდგამს, პრემიერაზე მწერალიც მიუწვევია. გამართულა ბანკეტი, რომელსაც „საგანგებო პირებიც“ ესწრებოდნენ მაღალი ეშელონებიდან. დიდმა კონსტანტინემ მოულოდნელად შესვა თურმე საქართველოს თავისუფლების სადღეგრძელო. გაფითრდნენ კომუნისტი მუშაკები. ერთი გენერალი უშნოდ წამომართულა, მწერალს კი ირონიით უთქვამს – „ერთმა გენერალმა რა უნდა მიყოს, თავის დროზე ბერიასი არ მეშინოდაო“. შემდეგ ასეთი გულისტკივილი მოუყოლებია ამ სადღეგრძელოსთვის: „მე ერთხანს მჟავანაძის კაცს მეძახდნენ, სინამდვილეში მასთან გამუდმებით თითქმის სულ ერთი და იმავე სათხოვარით შევდიოდი – თუ სხვაგან არსად, ჩემივე ეზოში, ჩემივე სახსრებით მაინც მომცენ უფლება დავდგა აღმაშენებლის ძეგლი. რუსთ ხელმწიფეაო უარზე, ვინ ეკითხებაო მას...“ ასე ბედავდა კონსტანტინე იმას, რასაც მრავალი უფრთხოდა. ის რაინდის სიფიცხით მოქმედებდა და ხიფათს არად აგდებდა. ეს მონათხრობი ღრმა შთაბეჭდილებად გამომყვა (თვითონ ბებია რეპრესირებული ოჯახიდან იყო, მამამისი – ვასილ ავგაროზიშვილი, 24–ში დახვრიტეს ქაქუცას თანამებრძოლობის გამო).

მსურს აქვე მცირე ანალიზი „დიდოსტატის მარჯვენასაც“ დავუთმო. ჩემი აზრით, ის პოლიტიკური აქტია (თუნდაც იმ მნიშვნელოვანი ასპექტებით, რაც მკვლევარებს აღუნიშნავთ – ლაზების თანამონაწილეობა, ეკლესიის მშენებლობაზე წერო ათეისტურ ხანაში, „ერთმორწმუნე“ ბერძენი კი რუსის ალეგორიაა). აქ კიდევ საინტერესოა ხელოვნების ორი გზა – არსაკიძე. ნათელთან ზიარებული, ფარსმანი – შავი სულის, ამიტომაც ვერ ააგო სვეტიცხოველი. სიბნელე სიდიადეს ვერ შექმნის, დღეს სწორედ ფარსმანის სულისკვეთების ხელოვნებაა მოძალებულ–აღზევებული, როგორც ერთგან მიწერია – „ხელოვნებაში ტახტი იდგა თვით ფარსმან სპარსმა“.

ნამდვილი ხელოვანის მარტმყოფობისა და განწირულობის უსაშველო პრობლემა დგას აქ. ასეთი დრო თავისთავადაა კრიზისული, დამარცხებული. საინტერესოა მეფე გიორგის გარემოცვა, რაც სისტემის მხილებას წარმოადგენს მწერლის მხრიდან. გიორგი ხილულ მტერს აშკარად სძლევს, ლაგმავს, მაგრამ თავის გარემოცვაშია, პირველ რიგში, სნებოვანება. დავაკვირდეთ – მწერლის ეპოქა დასმენების ეპოქაა! ვინ არიან ხელისუფალის ირგვლივ რომანში – ეზოსმოძღვარი, ჭორიკანა, მოენე, ფარსმანი – უჯიშო, ღვარძლიანი, საეჭვო წარსულის ავსული, ზოგიც კეისრისადმი ქედმოხრილნი – აი, მის გარშემო მოფუსფუსეთა არაჯანსაღი სახე. ასეთი ხელისუფლება საფრთხეს ვერ აიცდენს. მარტოსულია გიორგი და უჩვეულოდაც იღუპება, არა სასახლეში, არა საკუთარ სარეცელზე... მთელი რომანი კლასიკური სურათია იმ განწირულობის, მიუსაფრობის, რაც მთელი ეპოქის დამღაა! ეს არის ისეთი დროის გამოსახვა, როცა მოშლილია სიყვარულიც, დარღვეულია ადამიანობაც, იდევნება პატიოსნება. მომავალიც (ბაგრატი) სხვა ძალის აღზევებას ემსახურება. მწერლის დროის სიმახინჯე აისახა. აქ ყველა გმირი ტკივილის მატარებელია და ტრაგიკული. ასეთ „ფარსმანებსა“ და „ეზოსმოძღვრებს“ როდი უნდა ჰქონდეთ გასაქანი ნორმალურ, ზნეობრივ სახელმწიფოში?! ეს დაკნინებაა სახელმწიფოებრივი არსისა და მნიშვნელობის, მისი სიძლიერისა. საეჭვონი წყვეტენ სხვათა ბედს, მათია ხელმწიფის კარის უფლებები. როგორ შეიძლება ასეთნი იყვნენ აღზევებულნი და ყოველგვარ საქმეს ძირი არ გამოეთხაროს...

ზნეობრივი გაბედულებით წერდა მწერალი. დამოკლეს მახვილქვეშ ყოფნას უდრიდა ეს. თავადაც მუდამ ალესილი ჰქონდა სიმართლის სატევარი. ამ დიდმა ადამიანებმა ყველაფერი საქართველოსთან ერთად გადაიტანეს.

გენიოსები მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არ აღმოჩნდნენ ამ ბედში. არც ევროპას აკლდა სულიერების კრიზისი. ღირებულებების და ზნეობის ერთგულება ყველგან მარტოობის მანტიას წამოასხამს რჩეულებს. შეუგუებლობის ტვირთი ყველგან ერთნაირად მძიმედ მოქმედებს. სხვაა ძე დროისა და სხვა – ძე მარადისა... ინტერესმოკლებული არაა მკითხველს კონსტანტინე გამსახურდიას ერთი ჩანაწერი მივაწოდო – „ბალზაკს დახატული ჰქონდა სუფრაზე სხვადასხვა ზომის თეფშები, რომელთაც მისი სანუკველი კერძების სახელები ზედ ეწერა და ასეთ იმაჟინირებულ სადილს მიირთმევდა ხმელი პურისა და შავი ყავის ამარა“. რა ტრაგედიაა! ერთგანაც დაკვირვებით შენიშნავს იგი – „ვაჭრობა და ფული ეს არის ორი პოსტულატი ევროპელთა ცხოვრებისა... ფული ეს არის მათთვის კოეფიციენტი ადამიანის ღირსებისა... მიღწევებიც ფულისაგანაა დამოკიდებული“. ამ უბედურებამ ჩვენი საზღვარიც მარჯვედ გამოარღვია!

მატერიალური სატყუარა არ ჭრის გენიოსებზე! ცხადია, „როდესაც კაცი დათვია, იმას, ჩვეულებრივ, დიდი ქონება აქვს“ (ჩარლზ დიკენსი). ხშირად ზნეობრივი სიმდიდრე მატერიალურ სიმწირეს განაპირობებს. სიხარბეს არა აქვს სამანი, გონება და ზნეობა კი მისი მტრები არიან! გენიოსებს ბუნების ძალა სხვა ამტანობას უბოძებს!

ხელოვანის ტრაგედიასა და მარტოსულობაზე გამოკვეთილად წერს თომას მანი, (საყვარელი მწერალი კონსტანტინე გამსახურდიასი), შემოქმედი შეურიგებელია მათ მიმართ, ვინც ზნეობით ვაჭრობს, ვინც ღირსებისაგან თავისუფალია. მისი ერთ–ერთი პერსონაჟი მოექცა ბიწიერ დროში, სადაც „შიმშილი ხელოვნებისა“ ყველაფერს ატყვია. უნებურად ის წააწყდება უხამსად გამოსახულ სიწმინდეს. ამხედრდა ამ მკრეხელობის გამო და მიეჭრა მაღაზიის მეპატრონეს, რომელსაც მკვახედ შეუძახებს – „მე სახელმწიფოებრივი არც თანამდებობა გამაჩნია და არც ჩინი. კანონის ძალა მე არ მიჭერს მხარს... მხოლოდ ჩემმა სინდისმა მომიყვანა აქ“. აქვეა ის ვინც უნდა იყოს ასეთ ადგილას – „წვერცანცარა უცხოელი“, „მცირეხელფასიანი“ ქვეშევრდომი. ამ ბილწ ადამიანებს არ აღელვებთ „ბშვენიერების ურცხვად წარყვნა“. გამაოგნებელია პასუხი – სახელმწიფომ შეისყიდაო. ამან კიდევ უფრო ააღელვა მოსული, რომ სახელმწიფოსგანაა წახალისებული ეს სიმდარე, ბოლოს დასძენს – „ასე ცოდვისკენ ვუბიძგებთ ახალგაზრდებს, რომლებიც ისედაც შორს არიან ტანჯვისაგან და უფრო შორს ხსნისაგან! შემეცნება უმძიმესი ტვირთია ამა ქვეყნისა, მაგრამ განმასპეტაკებელიც არის... წყეულიმც იყავით! ამ ქვეყნის ტანჯვა–ვარამის მიჩქმალვას ჭრელი ფერებით ხომ არ აპირებთ?... ვიცი მარტო ვარ და არავინ გამომესარჩლება, მაგრამ არ გავჩუმდები... სამკალი მომწიფებულია და მომკელის ცელს ელის. ჩვენი დროის უსინდისობამ ყველა ჯებირი წალეკა“. უხმეს ძალღონის კაცს, გამოჩნდა „უცნაური რაღაც, ადამიანის მაგვარი ხორცის ზვინი“, რომელმაც კინწისკვრით გააძევა ზნეობის ქომაგი. ასეა ხშირად დაჯაბნილი კაიკაცობა და სიმართლე. დამარცხებული ჭეშმარიტება კი საკრალური ხილვითაა განსპეტაკებული, სადაც უკვე თავად უფალი მონაწილეობს ქვეყნიურ სიმდაბლეთა დასჯაში.

კიდევ უფრო ტრაგიკულია განცდა ხელოვანი პერსონაჟისა მოთხრობაში – „დამშეულნი“. ასეთია მისი თვითგანაჩენი – „ჩვენ, მარტოობისთვის განწირულნი ცხოვრების გულჩათხრობილი გერები ვართ და წუთისოფელს გამოგონილ, ცივ, მკვდარ სამყაროში ვატარებთ“, დიდია განცდა ადამანებთან ზედმეტად თავმიჩნევისა, უფრო მეტიც, მათ თავიდან იცილებენ. რატომ? – „ყოვლისმომცველი მძიმე მზერით მხიარულების წუთები რომ არ მოვუშხამოთო“. მაგრამ უპირატესობის გრძნობაც არ აყოვნებს – „ და მაინც თქვენზე მაღლა ვდგავარ, თქვენ მე მეკუთვნით. მინდა შევქმნა თქვენი ორეულები, საქვეყნოდ გამოვამზეურო თქვენი ბრიყვული ბედნიერება“. ძნელია მცირე ბედნიერებით განზავებულ, შემსუბუქებულ ადამიანებს უთხრა ეს, მაგრამ ღირსების მაღალი საფეხური იძლევა ამის საშუალებას.

სადღესასწაულო დარბაზიც ცხოვრების სახე–სიმბოლოა, სადაც ხელოვანი ექცევა უჩვეულო გარემოში, თავბრუდამხვევ წრეში, სადაც კიდევ უფრო სჭირდება ადამიანს საღი აზრი, ტოვებს იქაურობას, ზურგს აქცევს და ზღურბლზე ხვდება ღატაკ უპოვარს, როგორც ცოცხალ საყვედურს ამ „ამაო სულებისას“ და გამთანგავი ცხოვრებისა. ზიზღმოძალებულია მისი მზერა მდიდრულად გამოწყობილისადმი. იდგა ის, ვითარცა უგულო ყოფის მხილება და სრული ერთიანობა მასთან – გარემოს ტანჯულ, მოძულებულ შვილთან – „რამხელა გაუგებრობაა, ღმერთო, ეს რა თავზარდამცემი შეცდომაა! როგორ ცდები მეგობარო... შენი ტანჯული ყოფით უცნობი სამყარო კი არ გადამიშალე, რომ შევნამუსებულიყავ და დავშინებულიყავი. ჩვენ ხომ ძმები ვართ... რისთვის მოხვედი გაჩახჩახებულ სარკმელქვეშ, რომლის იქით მუსიკა გუგუნებს და სიცოცხლე ხარხარებს. განა მე არ ვიცი ის ავადმყოფური მოთხოვნილება რამაც აქ მოგვიყვანა... რომელსაც კაცმა სიყვარულიც შეიძლება უწოდოს და ზიზღიც? რაც ახლა შენში ბობოქრობს და გაწვალებს, ყვეაფერი გადამიტანია. შენ კი ჩემი დარცხვენა გინდოდა!.. ჰო, მე და შენ ერთი სამყაროს შვილები ვართ, მოტყუებულთა, დამშეულთა, ბრალმდებელთა და უარისმყოფელთა ქვეყნისა. როცა ცხოვრების ბრიყვული ბედნიერების სიყვარული მოგვერევა ხოლმე და თავს ზიზღით უარვყოფთ მოღალატურად ასეთი გამცემლური საათებიც საერთო გვაქვს. შენ კი ვერც მიცანი! იქნება ამ ქვეყნად ყოველგვარი სევდა და ნაღველი ერთი დიდი შეცდომაა, – პირველ რიგში კი ჩემი სევდა, რომელსაც უდარდელი, უნაღვლო ადამიანები მგვრიან და ის ბლაგვი ცხოვრება აღმიძრავს, რომლისთვისაც სევდითა და ხელოვნებით განწმენდა, სიტყვით შვება უცხო ხილია? ძმები ვართ და ერთმანეთი კი ვერ გვიცვნია. სულ სხვა სიყვარული გვჭირდება, სხვა“. აქ იგულისხმება ის, რაც მხოლოდ მიწიერ კატეგორიას არ განეკუთვნება, რასაც ადამიანში ღვთაებრივი სახის სიყვარული და დანახვა ჰქვია. წაიშალა სულიერ-ფიზიკური დისტანცია უცებ, რომელიც მხოლოდ მჩატე ბედნიერებისაგან იცავს თავს და არა ტანჯვისაგან... უფლისმიერი ჭრილობები გვაახლოვებს ღმერთთან! ნაიარევი სული სხვის იარებსაც კარგადა გრძნობს...

ეს ყოველივე ყურადსაღებია იმათთვის, ვისაც დასავლეთის სიმდიდრე თვალს ჭრის და ჰგონია, იქ კი ყველაფერი რიგიანადაა. ცხოვრება ყველგან ერთნაირად ატარებს დაღს, რათა ადამიანებსაც დაასვას დამღა მტკიცე ხელით. განსხვავებს ის არის, ამის შედეგად ვინ მახინჯდება და ვინ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის...

თომას მანი ყველგან ხედავს ადამიანის მსგავს არსებებს, „სოლიდურ საშუალებას“ ერთი დასკვნაც გამოაქვს – „მწერალი რომ გახდე, საჭიროა რომელიმე გამასწორებელ სახლს საფუძვლიანად იცნობდე“. მანკიერი წრე დაძლეულია, ადამიანური მოთხოვნილება – დათრგუნული, არც ამის შეგრძნებაა იოლი – „თავს იმით ინუგეშებდე, რომ ზნეობრივად მაღლა დგახარ ამ ამაზრზენ გამონაგონზე, რომელსაც ყოფიერება ეწოდება... განა ყველაფრის გაგება ყველაფრის შენდობას ნიშნავს? არა მგონია. არის კიდევ რაღაც, რასაც მე შემეცნებით აღძრულ ზიზღს ვუწოდებ“... სინდისი კი ასე განსაზღვრა – „ო ჩვენი მტკივნეული ადგილი,.. ერთი უმტკივნეულო ადგილი არ დაგვრჩენია სულში“.

აი, ყოფიერებისაგან გაკიდეგანების მიზეზიც – „ჩვენ, უჩვეულო ადამიანებს, ცხოვრება წარმოგვიდგება არა როგორც უჩვეულო რამ არამედ როგორც ისეთი რამ, რაც მარად უპირისპირდება სულსა და ხელოვნებას“. ცხოვრება არასოდეს პასუხობს ადამიანთა სურვილებს, მით უმეტეს შემოქმედისას. ის ძალზე არაპოეტურია იმისთვის, რომ ძალიან შევიყვაროთ.

ყველა გენიოსი თვითდადგენილ საზღვრებში ცხოვრობს! ერთგან საყურადღებო და მტკივნეული შენიშვნაა – „ზოგნი აუცილებლობის გამო ცდებიან გზას, ვინაიდან მათთვის სწორი გზა საერთოდ არ არსებობს“. ხოლო ირონიულად ერთ–ერთ პერსონაჟზე ასეთ რამეს ამბობს – „უჰ. ამას ნამდვილად ლიტერატურა არ უზის გვამში“. საინტერესო მინიშნებაა!

საერთოა, მართლაც, ხელოვანთა უიღბლობა. ჩვენს ყოფაში კი ამ ყველაფერს – მიწიერ გაუსაძლისობას, გამორჩეულობის პრობლემას, ეროვნული სატკივარიც ემატებოდა. ხელოვანი ხომ იდეოლოგიცაა, ამიტომაც ჩაანაცვლეს მას ფსევდოხელოვნება, რის გამოც მივიღეთ ფსევდოიდეოლოგიაც. ასე შემოიჭრა შეცვლილი გარემო, შეცვლილი ადამიანით.

საერთო ღირებულების მქონეთა ტკივილი ერთია! სიჭკვიანე გარკვეულ ზღუდეს უქმნის ადამიანს. ეს ზნეობრივი გმირები მრავალ რამეს ხდიან ასატანს... გონება ყველაფერს უკეთებს კონტროლს, მისი აუწონავი არაფერია!

ჩვენც ამ ზნეობრივ ორიენტირებს უნდა გავყვეთ. მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ მთავარი, რასაც ადამიანის ღირსება ჰქვია! „თუ შემოქმედება ღვთაებრივი რამ არის, მაშინ შემეცნება გმირობაა, ხოლო ღმერთსა და გმირს თავის თავში ის აერთიანებს, ვინც შეიმეცნებს და ისე ქმნის“ – ამასაც თომას მანი იტყვის და დაგვანახებს შემოქმედის რეალურ სახეს. მათგან გამათრახებული დრო დღეს წელშია გასწორებული, რადგან გაიშვიათდა სრულქმნილთა რიცხვი. შემოქმედებითი წარმატებაც მხოლოდ „შოუებზე“ დავიდა, „მარტოობის ორდენის კავალრებს“ კი კვლავ უხმობს დამშრალი ზნეობრივი სამყარო, რათა განიწმინდოს დედამიწის სნეულება მათი კალმით, რათა არ გამარტივდეს სული და არ დარჩეს ცარიელი სივრცე ჭეშმარიტი აზროვნებისა და მშვენიერების წილ!

მათ მიერ შემოკრული ზარები დღეს ობლად დუმან! მწარედ ნაღალატევი, განძარცული ადამიანობა დღეს-დღეობით კიდევ უფრო ითხოვს შველას!

ანტისულიერება ყველგან იმკვიდრებს თავს. გმირთა, გენიოსთა შინაგანი მოთხოვნილება აღარ ჩნდება. ტლანქი გართობა გვეძალება, მაგრამ ასე იაფად ვერ მოიპოვებენ მომავლის რეალობას. აღსდგება ჯიში, გამთელდება ძარღვი, გაიფხიზლებს გონება, გაიბრძოლებს გული... დარდი მარტოხელა და უნაპირო ისევ გაგვახედებს გენიოსთა სანახებიდან,. ამაოდ როდი ცდილობენ ღვთაებრივი პირისახიდან ჭუჭყი ჩამორეცხონ კაცობრიობას. მათი ნაიარევი სული ჩვენშიაც გააჩენს ტკივილს და შობს ადამიანურ სასწაულს – თავგანწირვას. სულშემუსვრილობაც მოიშორებს ტანჯვის საფანელს. გაქრება ყველა დარდის ნიშანი და ადამიანი დაუბრუნდება ღმერთს, მანამდე კი სული ისევ თავკაცთა სიბრძნეს შეხიზნებია და მათი გამძლეობის იმედით ცოცხლობს. ეს პატიოსანი სამყარო ჩვენც გვაერთიანებს, გვაქცევს თავის თავში, ვისაც ღირსება არც ოქროზე დაგვიწონია და არც ლაფში გაგვისვრია, ვინც ამ შეშლილ დროშიც ვუერთდებით სხვა განდეგილებს!

ადამიანს უსაზღვროებიდან ღმერთი იცავს, მიწაზე – გენიოსები; მათ განამტკიცეს ის საზღვრები, რომლის იქითაც აღარ უნდა წახვიდე!

ლალი ბარძიმაშვილი,
ფილოლოგი, მკვლევარი

კინოხელოვნება

გლობალიზაციის ადგილობრივი ნაირსახეობა – „ფარაჯანირება“

ლიანა ელიავა

სიტყვა „ფარაჯანირებას“ ვერ იპოვით ვერც ერთ ლექსიკონსა, თუ სიტყვის კონაში, რადგან ახალი შექმნილია. იგი ეკუთვნის ფოტოხელოვან იური ძეჩითოვს, რომელმაც ეს სიტყვა პირველად გააჟღერა ცნობილი კინორეჟისორის — სერგო ფარაჯანოვის დაბადების დღისადმი მიძღვნილ გადაცემაში ქართული ტელევიზიით. ფარაჯანოვის გავლენას უკვე ისე გაედგა ფესვები ხელოვნებასა და ცხოვრებაში, რომ ნათლიამაც არ დააყოვნა და სახელიც მოუგონა.

„ფარაჯანირება“ ზუსტად მიესადაგება ქართულ კინოში, ტელევიზიაში, სახვით ხელოვნებაში, საერთოდ ქალაქურ ყოფაში მიმდინარე პროცესებს და გულისხმობს ფარაჯანოვის იდეების, მოტივების, შემოქმედებითი მანერის, ცხოვრების წესის მიბაძვა-გადმოღებას. სანამ ამ თემას შევეხებოდე, მინდა ყველა ჩემი მომავალი ოპონენტის გასაგონად განვაცხადო, არც მსოფლმხედველობითა და არც ბიოგრაფიით არ გახლავართ კარჩაკეტილი, აგრესიული ქართველი შოვინისტი. აქეთ არ შემეცილონ და იქით არაფერი მაქვს გასაყოფი მომძე სომხებთან. დიდად ვაფასებ მათ სულიერ კულტურას. ქართველებს მისაბაძ მაგალითად ვუსახავ სომეხთა დაუღალავ ძალისხმევას, თავიანთი კულტურის მსოფლიოში გასატანად რომ იჩენენ. ასევე, მომწონს, თუ არ მომწონს, ჩემი მიზანი არ არის ფარაჯანოვის ხელოვნების შეფასება. არც მის პიროვნებას შევეხებოდი, რადგან მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, ფარაჯანოვის ფენომენი რომ არ განზოგადებულიყო მრავლისმომცველ „ფარაჯანირებამდე“, რომელიც თამაშ-თამაშ ამღვრევს ქართულ სულიერებას.

მოდით, ერთად გავერკვეთ, რა ფარული შრეები იგულისხმება ამ ცნებაში და როგორი შორს მიმავალი მიზნებია მასში ჩადებული. პირველად, ამ საკითხზე ხმის ამოღება, მხოლოდ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს შევძელი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. სტატია ეძღვნებოდა საფრანგეთში ქართული კინოს რეტროსპექტივასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მაშინ „ფარაჯანირების“, ეს ჯერ კიდევ უსახელო პროცესი, მხოლოდ ისახებოდა: ფარაჯანოვის ფილმით გაიხსნა ქართული კინოს რეტროსპექტივა, ფარაჯანოვის მიერ იყო შესრულებული ამ რეტროსპექტივის აფიშა, რეტროსპექტივის შემდეგ, ფარაჯანოვი და კინომცოდნე გიორგი გვახარია კიდევ დარჩნენ ერთი კვირით საფრანგეთში ქართულ კინოზე ლექციების წასაკითხად. რეტროსპექტივისადმი მიძღვნილ ბუკლეტში ავტორები სცდავდნენ გაუგონარი სუბიექტურობით, არა მარტო ქართულ კინოსთან, არამედ საერთოდ ქართულ კულტურასთან მიმართებაში. დამცრობილ იქნა ჩვენი კულტურის თვითმყოფადობა. რაღაც მოგონილი მიზეზებით, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და კრიტიკოსის აკაკი ბაქრაძის სტატია, ქართულ სულიერებაზე საერთოდ ვერ ჩაეწერა ამ „ფარაჯანიადაში“.

— რატომ გახდა ქართული კინოს მედროშე, სახე, სიმბოლო ფარაჯანოვი? — ამაოდ მივმართავდი ამ კითხვით მაშინ გაზეთიდან რეტროსპექტივაზე პასუხისმგებელ, ქართული კინოკავშირის ერთ-ერთ მარადიულ მესვეურს. შემდგომ ეს კითხვა გავუმეორე გამოჩენილ ქართველ კინორეჟისორს — თენგიზ აბულაძესაც, რომელიც ამ რეტროსპექტივის დროს ფარაჯანოვის ჩრდილში მოექცა. იქვე ჩემი ვარაუდი გამოვთქვი:

— ალბათ, მთელ მსოფლიოში მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორის გავლენით-შეთქი.

— სომხურთან ერთად, მეორე, უფრო ძლიერი ძალაც მოქმედებსო, — მორიდებით ამიხსნა ბატონმა თენგიზმა. მივხვდი, რა ძალასაც გულისხმობდა, მაგრამ იმდენად ტაბუდადებული იყო ეს თემა მაშინ საზოგადოებაში, რომ ღიად, მით უმეტეს, ვინმეს მისამართით, ამის შესახებ არ საუბრობდნენ. ტაბუ ადევს მას კინომცოდნე კორა წერეთლის წინასიტყვაობით, კომენტარებითა და რედაქციით რუსულ ენაზე გამოცემულ ფარაჯანოვის წიგნშიც „აღსარება“ (სანკტ-პეტერბურგი, გამომცემლობა „აზბუკა“, 2001 წელი). ფარაჯანოვის ბუნდოვანი მინიშნება თავის, რაღაც „ჰათოლოგიაზე“, „ცოდვაზე“ ბევრს არაფერს ეუბნება საქმეში ჩაუხედავ მკითხველს. ალბათ მეც მოვერიდებოდი მის გახმოვანებას, ჩემი ყურით რომ არ მომესმინა თავად ფარაჯანოვისაგან მოსკოვის კინოსახლის სცენიდან, კინოსტუდია „ქართულ-ფილმში“ გადაღებული მისი ფილმის „აშუღ ქერიბის“ პრემიერისას:

— მე გახლავართ პირველი საბჭოთა მამათმავალი რეჟისორი, რომელიც ამის შესახებ ხმამაღლა აცხადებსო. იყო მის გამოსვლაში სხვა სკანდალური გამოხდომებიც, რომლებსაც შეგნებულად წავუყრეს, რადგან მე ჩემმა საწუხარმა ამაღლებინა კალამი ხელში და არა სეირობის სურვილმა. ბოლოს ფარაჯანოვმა მაყურებელს წარუდგინა თანმხლები ქურთი ყმაწვილი, მთავარი როლის შემსრულებელი ამ ფილმში. სწორედ ეს ყმაწვილი გამახსენდა, როცა ფარაჯანოვის ზემოთ ნახსენებ წიგნში წავაწყდი წერილს, სადაც პატიმარი სერგო უშლიდა ყოფილ მეუღლე სვეტლანას მათი შვილის – სურენის მოყვანას ციხეში მამის სანახავად. „რაც უფრო შორს იქნება ჩემგან, მით უფრო უკეთესი, ბრძნული, პედაგოგიურია“ (გვ. 470). ციხიდან გამოგზავნილ, სხვა მრავალ ღირებულ ნაწარმოებთა შორის, იყო მისი საიდუმლო ყოველდღიურობის ამსახველი, დაუფარავად ცინიკური ნახატებიც, რომლებზეც ასევე აფრთხილებდა მეუღლეს, შვილს არ აჩვენოო, რადგან საამისოდ თავისი ნაშიერი არ ემეტებოდა. მაშინ რა დააშავა იმ ქურთის ბიჭმა, რომელსაც რეჟისორად, ცხოვრების მასწავლებლად, მახლობელ ადამიანად გამოუჩნდა ფარაჯანოვი?! არ გამოვედევნები კიდევ რამდენი გაცნობიერებული ცოდვა მიჩუმათდა ამ კაცის გარშემო.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქრისტიანული თვალსაზრისითაც არ იყო გამართლებული, უმთავრესად განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო (სხვა ბრალდებებით სასჯელს აფორმებდნენ), ორჯერ ნასამართლევი და ციხიდან ახალგამოსული ადამიანის დამკვიდრება ქართულ კინოსამყაროში. თუნდაც ის მითოლოგიზირებული რეჟისორი — ფარაჯანოვი ყოფილიყო. აგერ, ჩვენზე გაცილებით უფრო დემოკრატიულმა ამერიკელებმა, ლეგენდარულ მაიკლ ჯეკსონს, ყმაწვილებთან უფრო უწყინარი თამაშებისთვის, სამშობლო დაატოვებინეს. შემაძრწუნებელია ქართველების „ფარაჯანირება“, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ნიშნით. ქვეყანაში, სადაც დემოგრაფიული მონაცემებით ერთ კაცზე თორმეტი ქალი მოდის, ის ერთიც თუ არ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, რამდენად არგია ეს გადაშენების პირას მყოფ (სიკვდილიანობა ჭარბობს შობადობას) მცირერიცხოვან ერს?! გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება უკვდავთა სახელები ლიტერატურიდან, მუსიკიდან, სახვითი ხელოვნებიდან, კინოდან. სხვა ფუფუნებაა დიდი ერის შვილობა და სხვა ტვირთი — მცირე ერისა! ფარაჯანოვმა პირადი მაგალითით დაგვანახა, როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ სიტუაციაში. ისევე როგორც იგი იფარავდა საკუთარ შვილს, უნდა ავარიდოთ ჩვენს მომავალ თაობას თავის მსგავსთაგან გაკერპებულ ხელოვანთა პათოლოგიური ზეგავლენა.

რაც არ უნდა ზღაპრები შეთხზან ფარაჯანოვის დამცველებმა, დრომაც დაადასტურა, რომ სწორედ ეს სოდომური ცოდვა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც მოიკვეთა საქვეყნოდ აღიარებული უკრაინული ფილმის: „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილების“ შემქმნელი ფარაჯანოვი მრავალმილიონიანმა უკრაინამ, ხელწერილიც კი დაადებინეს, რომ არასდროს დაბრუნდებოდა იქ. კარგა ხანი გასაქანს არ აძლევდნენ, ასევე არანაკლებ ცნობილი სომხური ფილმის, „ბროწეულის ფერის“ („საიათ-ნოვა“) გადაღებს, მომძე სომხებიც. გაუგებარია, ასეთ ვითარებაში რაღა მაინცდამაინც ქართველებმა გაიგიჟეს თავი, გამოიჩინეს ყოველმხრივ წინგაუხედავი ტოლერანტობა, აამოქმედეს ძმაკაცურ-კლანური მექანიზმი, ჩართეს საქმეში ამ მექანიზმის წარმმართველი ძალა — ხელმწიფისტოლა ქართველი, რის შედეგადაც ყველასგან მოძულებული ფარაჯანოვი, ქართული ელიტის საყვარელი „სერჟიკა“, კინოსტუდია „ქართულ-ფილმს“ მოევლინა დამდგმელ რეჟისორად. თავს ზემოთ ძალა არ იყო, ხელისუფალთა და ქართული კინოს გავლენიან რეჟისორთა პროტეჟეს, თან უკვე მთელ მსოფლიოში სკანდალურად სახელმოხვეჭილს, წინ ვინ აღუდგებოდა! დანიელ ჭონქაძე და მიხაილ ლერმონტოვი, რომელთა ნაწარმოებები, ერთმანეთის მიყოლებაზე „გააფარაჯანირა“ მუშაობას მოწყურებულმა რეჟისორმა, ცოცხლები არ იყვნენ.

მაშინ ყველა რესპუბლიკას განსაზღვრული ჰქონდა წელიწადში ფილმების რაოდენობა. საქართველოს გეგმა, მგონი, რვა ერთეულით (ფილმით) შემოიფარგლებოდა. ორ წელიწადში ორი ერთეული დაიკარგა ქართველებისთვის. „სურამის ციხეში“ ფარაჯანოვთან ვითომ თანადამდგმელად შეამხანაგებული დევი აბაშიძე მხოლოდ ფორმალურად, ქაღალდზე არსებობდა. ამას დაუმატეთ კიდევ ორი ერთეული საკავშირო კინოკომიტეტის მაშინდელი დიდმოხელის, სახელად არმენის (იმდენად მეტყველი სახელია, რომ გვარს აღარა აქვს მნიშვნელობა) მიერ ჩვენი სტუდიისთვის „შემოტენილი“, ორსერიანი რუსული სცენარისთვის, რომელიც ურიგოდ მიერთვა, ამ საქმეში თანამონაწილე, ერთ არაპროფესიონალ ქართველ კინორეჟისორს და მიხვდებით, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა თავისი რიგის მომლოდინე, „უჩინო“ პროფესიონალთა მთელი დასი. ზნეობრივისა და მატერიალურის გარდა, ზიანი მიადგა ქართულ სულიერებასაც. „არმენოლოგიური“ ხრიკებით გაკეთებული რუსულ-ქართული სუროგატი დაავიწყა საზოგადოებას ფარაჯანოვის არაორდინალურმა ქმნილებებმა. ფარაჯანოვმა ამავე დროს კორა წერეთლის სცენარით, დოკუმენტურ სტუდიაშიც მოახერხა ფიროსმანზე ფილმის გადაღება. ამ ვითომ ქართული ფილმების არაქართულ ცნობიერებაზე იმდენი დაიწერა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რომ მე მასზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ. როგორც ილია ჭავჭავაძემ იხსნა თავის დროზე ბედოვლათი ქართველი თავად-აზნაურობა არაქართული კაპიტალის შემოტევისაგან, ისე გამსახურდიას მოსვლამ ხელისუფლებაში შეაჩერა ქართული სულიერების ამღვრევა-განადგურების პროცესი. თვალსაჩინოებისთვის გამოვარჩევდი პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლის „შუშანიკის წამება“ გადარჩენას გარდუვალი „ფარაჯანირებისაგან“. ამ გარემოებით აღშფოთებული, თვითონაც არაქართული ცნობიერების — კორა წერეთელი ქართველი ხალხის ეროვნულ გმირს — ზვიად გამსახურდიას, მისი პარტიის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ ნაციონალ-სოციალისტებთან გაიგივებით, ირიბად ფაშისტობას სწამებს.

მიუხედავად იმისა, იცვალნენ დრონი, ამ ქალბატონის გავლენა ქართულ კინოაზროვნებაზე დღესაც ძლიერია. უშუალოდ, თუ შენიღბულად კინოპროცესებს საქართველოში წარმართავს ისევ იგივე ხალხი, კალმით თავმოქონილი რომ დატოვა კორა წერეთელმა, სანამ მოსკოვში გადაბარგდებოდა ახალშეუღლებულ სომეხ მეუღლესთან საცხოვრებლად. თავის დროზე პროფესორ გიორგი დოლიძეს მრავალი ბრძოლა გარდახდა, სანამ უსამართლოდ მივიწყებულ კინორეჟისორ ვასილ ამაშუკელს, ავტორს პირველი ქართული დოკუმენტური ფილმისა „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, ღირსეულად, როგორც სახალხო არტისტს, დაამკვიდრებდა ქართული კინოს სათავეში, სადაც მანამდე ერთპიროვნულად ლიდერობდა ალექსანდრე დიღმელოვი. საქმე იმაშია, რომ მაშინ კინოოფიციოზის ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგი გახლდათ კორა წერეთელი. მის რუსულად დაწერილ სტატიებს ეყრდნობოდა ქართული კინოს ისტორია სხვადასხვა ენციკლოპედიებსა და კინოლექსიკონებში. მათში კი ვასილ ამაშუკელი ან გამქრალი იყო საერთოდ, ან არსებობდა, როგორც ერთი უსახური ნარკვევის ავტორი. ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ, შემოგთავაზებთ მცირე ამონარიდს კორა წერეთლის კომენტარიდან, ფარაჯანოვის ჩაშლილ გეგმებთან დაკავშირებით: „საქართველოში, სადაც ხელისუფლებაში მოდიან ზ. გამსახურდია და ნაციონალ-სოციალისტური პარტია, ფარაჯანოვი და მისი შემოქმედება ხელსაყრელი მასალა აღმოჩნდა… ურაპატრიოტული თვითდამკვიდრებისათვის. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ თანმიმდევრულად სდებს ბრალს ფარაჯანოვს ეროვნული ტრადიციების ბოროტ დამახინჯებაში (ფილმი „ლეგენდა სურამის ციხეზე“), ფიროსმანის შემოქმედების დაუშვებელ მანიპულაციებში („არაბესკები ფიროსმანის თემაზე“). ამ ფონზე ვრცელდება ხმები ფარაჯანოვის ახალ „დივერსიაზე“ ეროვნული სიწმინდეების სფეროში — საქმე ეხება მის სცენარს ცურტაველის ქრონიკის („შუშანიკის წამება“) მოტივებზე“ (ს. ფარაჯანოვი, „აღსარება“, გვ. 306, კ. წერეთელი, სცენარ „შუშანიკის წამების“ წინასიტყვაობა). ……

კორა წერეთელი ასე გაათამამა ერთმა გარემოებამ. მე რომ წეღან ხელმწიფისტოლა კაცი ვახსენე, მისი პირით ეროვნული ხელისუფლების იდეოლოგია „პროვინციულ ფაშიზმად“ გამოცხადდა. მაშინ რას იფიქრებდა ამ ტერმინის ავტორი, რომ სულ მოკლე დროში ბნელი ძალებით დამხობილ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს — ზვიად გამსახურდიას, ქართველი ხალხი დიდი პატივით აასვენებდა მთაწმინდაზე?!

საქართველოში ფარაჯანოვის დამკვიდრება თვით ფარაჯანოვის თვალსაზრისითაც არ იყო სწორი ნაბიჯი. ახლავე აგიხსნით, რატომ. უკრაინაში ხანგრძლივი პატიმრობისას, ფარაჯანოვი მიხვდა, რომ ეროვნებით სომეხს, არა უკრაინაში, არამედ სომხეთში, უნდა დაეწყო მოღვაწეობა. გენიალური ფილმის შექმნისათვის სამშობლოში შეიძლება მიუტევებელიც მიეტევებინათ. „რატომ უნდა მეკეთებინა მე უკრაინული კინო“, — წერდა სინანულით ციხიდან (გვ. 477). ციხეშივე გადაწყვიტა სომხეთში დაფუძნებულიყო, ფსიქოლოგიურად ემზადებოდა კიდეც ამისთვის. „ვმეგობრობ ადამიანებთან, რომლებმაც სომხური იციან“ (გვ. 539). სამშობლოში გამგზავრებას ურჩევს სწავლის გასაგრძელებლად თბილისში სკოლადამთავრებულ დისშვილს — გარიკას, რომელიც თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში აპირებდა ჩაბარებას. მოვიტან ნაწყვეტს წერილიდან: „გარიკ-ჯან, პირადად მე ვთვლი… უნდა წახვიდე ერევანში — იქ სომხებია და შენ თბილისში არაფერი გესაქმება. უნდა იცხოვრო შენს სამშობლოში“ (გვ. 516).

ყმაწვილმა კაცმა ყურად არ იღო ბიძის რჩევა და მოინდომა მაინცდამაინც თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობოზე მოწყობა. ძმისშვილის საპასუხო წერილმა შინაარსზე მეტად, დაშვებული შეცდომების რაოდენობით გადარია ფარაჯანოვი: „ეროცე საუკუნეში რომელი მსახიობი წერს ამდენი შეცდომებით?! საკმარისია შენ დაწერო განცხადება ინსტიტუტისთვის, რომ მაშინვე გაგაგდონ“ (გვ. 493). უფრო მკვახე და მოურიდებელია მეორე წერილი, რომლის ციტირებისაგან თავს შევიკავებ.

დროს ოდნავ გავუსწრებ და გეტყვით, რომ ეს ყმაწვილი მაინც მოხვდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. უკრაინის ციხიდან ძლივს თავდაღწეულმა ფარაჯანოვმა კი მის გამო ისევ ციხეში, ოღონდ ამჯერად ორთაჭალის ციხეში, ამოჰყო თავი. სასამართლოს დასკვნით, გარიკას მიერ წერით გამოცდაზე დაშვებული შეცდომების რაოდენობამ ისეთ ასტრონომიულ ციფრს (142, თუ არ ვცდები) მიაღწია, რომ მხოლოდ გაღებულმა ქრთამმა – ბრილიანტის ბეჭედმა იხსნა ყმაწვილი აშკარა ჩაჭრისაგან. სამაგიეროდ, საქმის ჩამწყობი — ბიძა ჩააგდო ისევ სამართალდამცველთა კლანჭებში. ფარაჯანოვის მუდმივი ქომაგი ქართველი რეჟისორები შეცდომების არსებობას, რომელსაც თვით ფარაჯანოვის წერილიც ადასტურებს წინასწარმეტყველურად, სუკის მონაჭორად მიიჩნევენ და იგივე ხელმწიფისტოლა კაცის მეშვეობით, ფარაჯანოვს პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან ათავისუფლებენ. ერთ-ერთი ქომაგთაგანი მოგვიანებით თავის ინტერვიუში გაოცებული კითხულობდა, ფარაჯანოვს ქრთამის მიცემა რაში სჭირდებოდა, ჩემი ძმა აქ არ იყოო?! კანონის დარღვევა სასამართლოს გასარკვევია, მე ამ საქმეში მაშფოთებს, უღირსთა მხარდაჭერის უზნეობა, რომელიც ნორმად ქცეულა ქართულ კინოსაზოგადოებაში.

ის ფაქტი, რომ გენეტიკურ სომეხს სამშობლოდ სომხეთი მიაჩნდა, უყვარდა და ამაყობდა მისით, მხოლოდ ფარაჯანოვის სასარგებლოდ მეტყველებს. ცნობილი რუსი მწერალ-ემიგრანტის, ვლადიმერ ნაბოკოვის აზრით, ადამიანი რაც უფრო ნიჭიერია, მით უფრო მძაფრად გრძნობს უსამშობლობას. ამის დასტურია ფარაჯანოვის მრავალრიცხოვანი წერილები, თუ ზეპირი გამოსვლები. „მე ვიყავი ბედნიერი ის ერთი-ორი წელი, როცა ვცხოვრობდი და ვქმნიდი სამშობლოში“ (წერილი „საიათ-ნოვაზე“ მისი სომეხი ასისტენტის, რუბიკასადმი, გვ. 433). „სომხეთი უდიდესი ქვეყანაა თავისი განსაცვიფრებელი კულტურით. იგი ჩემი სამშობლოა… მინდოდა მეგრძნო სომხურობის ანტიური ფესვები“ (საჯარო გამოსვლა მინსკის სამეცნიერო და შემოქმედებითი ახალგაზრდობის წინაშე, გვ. 608)

მსგავსი გამოთქმები უხვადაა გაბნეული

გაგრძელება მე-17 გვ.

კინოხელოვნება

გლობალიზაციის ადგილობრივი ნაირსახეობა – „ფარაჯანირება“

დასაწყისი გვ. 16

წიგნში. ავტობიოგრაფიულ სცენარში „აღსარება“, სადაც მოქმედების ადგილი ძველი თბილისია, უცებ შემოიჭრება სომხური სოფელი „ბენი“, თავისი არქიტექტურული შედეგრით — მეცხრე საუკუნის სომხური მონასტრითურთ. განა საქართველოში, იგივე თბილისში არ მოიძებნებოდა უფრო ძველი შედეგრებიც კი?! მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, როცა ავტორს მაღალ სულიერებაზე უნდა მინიშნება, სომხური ძეგლი აგონდება და არა — ქართული. მე ეს ამბავი სრულებით არ მიკვირს. მხოლოდ ის გამიკვირდა ცოტათი, რომ ვერ აღმოვაჩინე საქართველოს მიმართ რამე თბილი დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები ფარაჯანოვის 650 გვერდიან წიგნში. მით უმეტეს, რომ ავტორი თბილისში იყო დაბადებული, გაზრდილი და რამდენიმე ფილმიც ჰქონდა ქართულ კინოსტუდიებში გადაღებული. ის კი არადა, რომ მეგონა, თავისი მუზის — ცხონებული სოფიკო ჭიაურელის გავლენით, ქართველი მსახიობი ქალებისადმი მაინც იყო კეთილგანწყობილი, თვალებს არ დავუჯერე, როცა ასეთი გამოთქმა წავიკითხე: „ნუთუ არ იყიდება ქართველი მსახიობების (კეკელკეების) ღია ბარათები?!“ (წერილი გარიკასადმი, გვ. 576). სხვათაშორის, არც მის კეთილისმყოფელ ქართველ კოლეგებზე იყო მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა. უბრალოდ იყენებდა მათ, გადაუგდებდა რაღაც სატყუარას და ისინი ვერც კი გრძნობდნენ, ისე ეგებოდნენ მის ანკესზე. ოღონდ თავისიანი არ ეღიარებინათ და მზად იყვნენ სხვისთვის ეკმაათ გუნდრუკი. მე გემოვნებაზე არ ვდაობ. ეს მათი ნებაა, ვის მიჩნევენ გენიოსად, ან ვის დაამდაბლებენ, მაგრამ ქართული კინოხელოვნება ხომ არ არის მათი პირადი საუფლო, რომელსაც, როგორც მოეგუნებებათ, ისე მოექცევიან, ვისაც უნდათ, იმას დაამკვიდრებენ, სხვის ხარჯზე. ოღონდ თვითონ გაისწორონ ხასიათი და ყველას დაუმტკიცონ, მე ვარ და ჩემი ნაბადიო! საბოლოო ჯამში, ფარაჯანოვისადმი თავგამოდებამ მოსალოდნელი შედეგიც გამოიღო. სიკვდილის შემდეგ მას იმდენი სომეხი პატრონი გამოუჩნდა, რომ გამოვიდა, ქართველები თავის გენიოსში ვეცილებით სომხებს, როგორც ისინი გვედავებიან გამუდმებით ხან ვის, ხან რას. მართალი უთქვამთ, ცუდი მაგალითი გადამდებიაო.

თემას არ გადავუხვევ ისე, ცოტათი რომ გაგახალისოთ, მოგიყვებით ერთ კურიოზულ შემთხვევას, რომლის მოწმე მე თვითონ გახლდით. საბჭოთა პერიოდში მოვხვდი ერთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ ღონისძიებაზე სომხეთში, ექსკურსიაზე წაგვიყვანეს რომელიღაც პატარა ქალაქში და იქაურმა დამხვდურმა სტუმრად ჩამოსულ მწერლებთან თავი მოიწონა: თუმცა მაიაკოვსკი საქართველოში დაიბადა, მაგრამ ჩვენთან ჩაისახაო. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გამოაცოცხლა ამ აღმოჩენამ საზოგადოება! მაიაკოვსკისთან მიმართებით არავის აგონდება მისი ჩასახვის ადგილი, ახსენებენ საქართველოს, სადაც იგი დაიბადა, გაიზარდა და რომელსაც მან უკვდავი სტრიქონები უძღვნა. ფარაჯანოვის შემთხვევაში, თვით ქართველების გარდა, იშვიათად ვინმემ ახსენოს საქართველოს სახელი, განსაკუთრებით საზღვარგარეთ. ფარაჯანოვის ქართველ გულშემატკივრებს, შორსმჭვრეტელობა რომ ჰყოფნოდათ, ჰირიქით, ხელს შეუწყობდნენ „გზააბნეულ შვილს“, დაბრუნებოდა დედა-სამშობლოს. ხომ გახდა ეს შესაძლებელი ბოლოსდაბოლოს, უფრო უხერხულ სიტუაციაში, როცა სომხეთის სტუდიიდან თბილისში მივლინებით უწევდა ქართული სიუჟეტის გადაღება?! ხომ ასცდებოდა თვით ფარაჯანოვს ზედმეტი სტრესი? იქ ვერ აუმხედრდებოდნენ არაეროვნული ცნობიერებისათვის. სომხურ კინოსაც შეემატებოდა ახალი შედევრები და არც ქართველები დარჩებოდნენ, კორა წერეთლის თქმისა არ იყოს, მისი „დიევრსიით“ დაზარალებულები.

სერგო ფარაჯანოვმა სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ბუნებრივია, სომხეთში ინება გარდაცვალება და იქვე დაიკრძალა. მისივე ანდერძით, სომხეთს გადაეცა წლების მანძილზე საქართველოში მოხვეჭილი მთელი ავლა-დიდება, რომელიც მის მუზეუმს ამშვენებს ერევანში. როგორც ამბობენ, კოლექციის რაოდენობით ეს მუზეუმი ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში. გასაგებია, რომ ამ სიმდიდრის პატრონმა არჩევანი თავისი ნამდვილი სამშობლოს — სომხეთის სასარგებლოდ გააკეთა.

გაუგებარია მხოლოდ ის, რად არ ეშვება საქართველოს შემოქმედებითი ელიტა ფარაჯანოვს გარდაცვალების შემდეგ მაინც. პირიქით, უფრო მომრავლდნენ მისი კინემატოგრაფიული მანერის მიმბაძველები, ცხოვრების წესის მიმდევრები, თაყვანისმცემლები, შეგირდები. ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილ ოჯახში თავი მოსწონთ ფარაჯანოვის დიდი, თუ მცირე სახსოვრით: ავტორისეული კოლაჟით, ვარდ-პეპლებიანი აფიშით, სამკაულებით, უხამსი ნახატით დამშვენებული წერილითაც კი. კომისიონერი მამის შვილმა, თვითონაც სახვით (გამოყენებით) ხელოვნებაში თვალ-ხელგაწაფულმა ფარაჯანოვმა კარგად იცოდა ნივთების ყადრი, არც აღებ-მიცემობაში ეშლებოდა რამე. დროდადრო ტელევიზია ამზეურებს ამ რელიქვიას.

მაშინ, როცა სერგო (სერჟიკა) ფარაჯანოვის სახელი ყველას პირზე აკერია, იშვიათად ვინმემ ახსენოს თვითნაბადი ქართველი მწერალი, კინორეჟისორი — გოდერძი ჩოხელი, შემოქმედებითი სიმწიფისა და ოსტატობის ასაკში, უსახსრობის გამო, თავის საყვარელ საქმეს ჩამოცილებული, მრავალწლიანი უმუშევრობით დათრგუნული. მისმა გარდაცვალებამაც ისე უკვალოდ ჩაიარა, ბევრს არც კი გაუგია. მეც გვიან გავიგე, თუმცა რეალურ სამშობლოს მოწყვეტილი, მუდმივად მიჯაჭვული ვარ ვირტუალურ ეკრანს. იმ ხანებში, მახსოვს, თბილისიდან ელექტრონული ფოსტით დამიკავშირდა ერთი ნაცნობი ჟურნალისტი და მკითხა, რომელი ფილმების ჩვენება აჯობებდა საზღვარგარეთ. გოდერძი ჩოხელის ფილმები ვურჩიე დაუფიქრებლად და არამც და არამც ისინი, ზეპირად რომ ასწავლეს ყველა ჯურის მაყურებელს მათმა გავლენიანმა ავტორებმა. ალბათ არ იცოდა, არაფერი უთქვამს გოდერძის გარდაცვალებაზე. მაშინ ეს წერილი შავად უკვე დაწერილი მქონდა და გოდერძიზე, როგორც ცოცხალზე ვწერდი, ვიცოდი, რა მძიმე მდგომარეობაც ჰქონდა და მინდოდა სიტყვით მაინც შევწეოდი. „ჩიფსების თაობას“ ალბათ არც უნახავს მისი ფილმები: „აგდილის დედა“, „აღდგომა“, „ადამიანთა სევდა“, „სამოთხის გვრიტები“... უცხო სერიალებითა და სანახაობებით დაბინძურებულ ქართულ ტელესივრცეს საოცრად აკლია გოდერძი ჩოხელის კეთილშობილი სევდა, მისი მთის ოზონიანი ჰაერი და გაუკვალავი თოვლის სისპეტაკე. ეკრანის ფავორიტობა ყოველთვის არ ნიშნავს ფილმის მხატვრულ ღირსებას. უამრავი შედევრია უცნობი, რადგან მათ ფეხზე მდგარი პატრონები არა ჰყავთ. ცოცხალი არსებებივით, მენატრებიან ისინი და მწყურია მათთან შეხვედრა!

გოდერძი ჩოხელის ღვთიური ნიჭით ცხებული სული მისივე ზღაპრის გმირს — „ცასწავალას“ მაგონებს, პატარა ჩიტს, რომელსაც „ზეცაში აჭრილს, უკანასკნელი ამოსუნთქვისთვისღა ეყო ღონე და გული გაუსკდა“. ასეთი სათუთი სულის ადამიანი ხომ ვერ მოირგებდა ქურდულ ნიღაბს, ვერც ყაჩაღის ტყავში გაეხვეოდა, ან მიჰყიდდა სულს ეშმაკს. აბა, სხვანაირად, ჯუნგლების კანონებით მცხოვრებ, თანამედროვე ქართულ კინოსამყაროში როგორ უნდა ეშოვა მილიონები ფილმის გადასაღებად?! მას ხომ შედევრების გადაღება მხოლოდ თავის სამშობლოში და მხოლოდ ქართულად ეხერხებოდა?! თუ შესაბამისი სახელმწიფო უწყება, ან გაგებული ფულიანი ქველმოქმედი არ იზრუნებდა მასზე, იმთავითვე განწირული იყო დასაღუპად. საუბედუროდ, ასეც მოხდა, უღვთოდ გაიწირა. ფარაჯანოვსა და მის ხსოვნას გადაყოლილ ქართველ კინომოღვაწეებს, რომლებიც სხვადასხვა წყაროებიდან მილიონებს განკარგავენ უნიჭო ჩანაფიქრებისა, უზნეო ზეიმებისა და უაზრო ვოიაჟებისათვის, რაღა გოდერძი ჩოხელის გადასარჩენად გაუჭირდათ რამდენიმე ათასი?! მათ სინდისს უპატიებელ ცოდვად აწევს გოდერძი ჩოხელის ადრე შეწყვეტილი შემოქმედება, მისი ჩაკლული სული. ცოცხალი ვერ შეიშნეს, მიცვალებულს, მის დანატოვარს მაინც მიხედონ, ოჯახაშენებულებმა! იმედია, გამგები გამიგებს, „რა ნესტარითაც ვარ ნაჩხვლეტი“.

ფიქრთა დინებამ უფრო შორს რომ არ წაგვიყვანოს, მივუბრუნდეთ მთავარ თემას. ფარაჯანოვზე უფრო სუფთად მოქართულე, იური მეჩითოვი იმავე გადაცემაში იხსენებს, უცხოელები როცა ეროვნებას ეკითხებოდნენ, ფარაჯანოვი პასუხობდა, თბილისელიო. ფარაჯანოვი რომ თავს ქართველად არ თვლიდა, არავისთვის საიდუმლო არ არის. ესე იგი, თბილისი მიაჩნდა სომხურ ქალაქად, სხვანაირად როგორ უნდა აეხსნათ სომხის ეროვნება — თბილისელი?! ამიტომაც დასცინიან „ეროვნებით თბილისელები“ აფხაზეთიდან დევნილი მეგრელების კილოს. აბა, ჰკითხეთ დევნილებს, ვინ უფრო მეტი სასტიკე გამოიჩინა მათ მიმართ? ბაგრამიანის სახელობის სომეხთა ბატალიონს დაგისახელებენ პირველ რიგში. მართალია, თითო-ოროლა სომეხი ქართველების მხარეზეც იბრძოდა, მაგრამ მათ არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ საქმის ვითარებაზე. ბაგრამიანელებმა კი სათავისო ამინდი შექმნეს. ჯიუტად, თანმიმდევრულად ამ ამინდის შენარჩუნებაზე ზრუნავს რუსეთის ნასომხარი საგარეო საქმეთა მინისტრიც. მიზანი მიღწეულია. ამჟამად ძირძველი მოსახლეობისგან გაწმენდილ აფხაზეთში მოსახლეობის უმრავლესობა სომეხია. საქართველოში გამეფებული ქაოსი და განუკითხაობა, რაც ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და ძმათამკვლელ ომს მოჰყვა, ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა „ფარაჯანირების“, როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთი ადგილობრივი ნაირსახეობის, გაჯეჯილებისათვის.

ფარაჯანოვის ფილმები განთავსებულია კომპიუტერულ სივრცეში (ამ უსასრულობაში სანთლით საძებარია ჭეშმარიტად ღირებული ქართული კინონაწარმოებები). ქართული კინოფესტივალები იხსნება, ან იხურება მისი ფილმებით. პრესტიჟულ არხზე მომგებიან დროს მას ეძღვნება გადაცემა. მეტსაც გეტყვით, უმაღლეს სასწავლებლების პროგრამებშიც კი მოიკიდა ფეხი. მოსკოვიდან საგანგებოდ მოწვეული კორა წერეთელი სადღესასწაულო ჩვენებებზე ძველებურად ყელყელაობს ფარაჯანოვის თემით, დაწესებულია ფარაჯანოვის პრიზი. ეს იმ დროს, როცა მასში იშვიათად გაკრთება მეტ-ნაკლებად ნიჭიერი ახალი ქართული ფილმი, რადგან უსახსრობის გამო განუხორციელებელი იდეების სასაფლაოდ ქცეულა მოწოდებით შემოქმედთა საეკრანო ასპარეზი (გოდერძი ჩოხელის მაგალითიც კმარა), შიმშილით სული სძერებათ კინოს ღვაწლმოსილ მუშაკებს! მაშ, რას ემსახურება, ვის სჭირდება ასეთი ზეიმი?!

თბილისის ძველ უბანში, სადაც ადრე ცოცხალი ფარაჯანოვი დაიარებოდა, კი არ დგას, ჰაერში ჰკიდია მისი ძეგლი. კაბინეტის კედელს, ფესტივალის ბუკლეტს, წიგნის თაროს, თუ საიუბილეო ალბომს ამშვენებს ისევ და ისევ ჰაერში გამოკიდებული ფარაჯანოვის ფოტო. ამ დროს ყველას ახსოვს და მის წიგნშიც იპოვით სურათს, სადაც აშკარად ჩანს, როგორ ოფლის ღვარამდე ამძიმებდა ამ ადამიანს სხეული. მე ისიც კარგად მახსოვს, როგორ შემოეძარცვა შესანიშნავ ქართველ კინორეჟისორს — თენგიზ აბულაძეს ხორცი და დარჩა მართლაც გასაფრენად გამზადებული, ცარიელა სულის ამარა. ძეგლი კი არავის აუგია!

ჩვენს საყვარელ სამშობლოში ზოგჯერ იმასაც ვერ გაიგებ ვინ, ვის, საიდან, რატომ უდგამს, ან არ უდგამს ძეგლს. მოგეხსენებათ, იუნესკოს მიხედვით, ძეგლი უნდა დაედგას განსვენებულს 50 წლის შემდეგ. ესე იგი, დრომ უნდა დაადასტუროს ძეგლის აუცილებლობა.

ჩემი წერილის მიზანი არ ყოფილა, კიდევ ერთხელ მომეცხო ჩირქი ფარაჯანოვისათვის, ამ უაღრესად წინააღმდეგობრივი, ტრაგიკული ბედის არაქართველი ხელოვანისათვის. მე მხოლოდ იმ საკითხებს შევეხე, რომლებიც ყველასათვის ცნობილია და რომლებსაც არც თვითონ მალავდა. ეტყობა, მისთვისაც უცხო იყო სირაქლემას პოზა. უფრო მეტიც, მე წერილს მიღმა დავტოვე, ხალხში ჭორად მოარული, უფრო დიდი ბრალდებები, რომელთა ჩხრეკა-ძიება ჩემი საქმე არ არის. მე მხოლოდ ქართველური ჯიშის გადაშენებასა და „ქართული სულის აკაფვას“(გოდერძი ჩოხელი) შევეწინააღმდეგე. სხვათაშორის, ვენახის აკაფვაც ამ რიგის მოვლენაა...

ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2008. 11.

ამ წერილის გადმობეჭდვა მიზანშეწონილად ვცანით პრობლემის აქტუალობის გამო და სტატიის პროპაგანდირების მიზნით *(რედ.)*.

საპატიო ჯილდოთა ჯილსფარები

ლევან ჩოლოყაშვილი

დავით ამირეჯიბი

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია და რადიო თავისუფლება — რუსეთის შპიონაჟის ბუდე

კგბ-ს გენერალი კალუგინი

კგბ გენერალ-მაიორმა ო. კალუგინმა, რომელმაც აირჩია თავისუფლება 1990 წელს და გადავიდა აშშ-ში და დაუსწრებლად მიესაჯა გულაგის 15 წელი, ინტერვიუ მისცა ნიკა კრასტევს, რადიო თავისუფლების ანალიტიკური გამყოფილების თანამშრომელს, RFE/RL ინგლისურ ენაზე (გასაგები მიზეზების გამო ეს ინტერვიუ რუსულ ენაზე არ არსებობს), რომელშიც მოუთხრო აშშ-ში რუსული შპიონაჟის შესახებ.

როცა სსრკ ინგრეოდა, აშშ-ში ჩაიშალა რუსეთის შპიონაჟი, იმიტომ რომ მაშინ ადამიანთა მთელი მასა წავიდა ემიგრაციაში. ახლა, რუსეთის მუხლებიდან წამოდგომისას, ეს საქმიანობაც იქნა აღდგენილი.

რუსეთი საზრდოობს საზღვარგარეთ მცხოვრები მილიონობით რუსის პატრიოტული გრძნობებით. გრძელდება ფსბ-ს მიერ რუსი ემიგრანტების „დავერბოვკება“, რომლითაც ჩემს დროს — 1956-1990 წლებში დაკავებული იყო სუკ-ი, ერთია რომ იმ დროისათვის ჩვენ ევროპასა და აშშ-ში გაგვაჩნდა სოლიდური ადგილობრივი წყაროები, ამიტომ ისე ძლიერ, როგორც პუტინის რუსეთი, ემიგრანტების რიგებიდან შპიონებს არ ვსაჭიროებდით.

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის თამაშობდა მნიშვნელოვან როლს რუსეთის შპიონაჟის საქმეში, დღეს მისი როლი ამ სფეროში კიდევ უფრო გაიზარდა.

სსრკ ეყრდნობოდა სამ ბოძს:

კომუნისტური პარტია

კგბ

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი

თანამედროვე რუსეთი ეყრდნობა, აგრეთვე სამ სვეტს:

კგბ

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია

რუსული ბიზნესი

ჩემი ყოფილი კოლეგები, კგბ-ს ოფიცრები, ამჟამად დაკავებულნი არიან ბიზნესით, რომელიც გამოიხატება ფულის გათეთრებით, ან სადაზვერვო საქმიანობით.

კგბ-ს უმთავრესი ამოცანა ყოველთვის იყო რადიო „თავისუფლების“ ინფილტრაცია. კონტრდაზვერვის განყოფილებაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, იყო სპეციალური რუსული ემიგრაციის ქვეგანყოფილება პრესისა და რადიოსადგურებისათვის.

რადიო „თავისუფლება“ დასაწყისში ცრუ-ს მიერ ფინანსდებოდა, ყოველთვის იყო უპირატესი სამიზნე, აგრეთვე ძველი ემიგრანტული გაზეთები და ჟურნალებიც., მაგრამ ნაკლები ხარისხით. ჩვენ გვყავდა რამოდენიმე ინფორმატორი რადიო „თავისუფლებაში“. მთავარი,მათს შორის, იყო მისი დირექტორი ოლეგ თუმანოვი, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ის უკვე დიდი ხანია ცხოვრობს მოსკოვში.

პროფესორი ხომიაკოვი: მხოლოდ რუსეთის დემონტაჟს შუძლია განადგურებისაგან რუსების ხსნა.

ცნობილმა პროფესორმა პეტრე ხომიაკოვმა, რომელმაც, თავისი შეხედულებების გამო, შინაპატმრობიდან ფსბ-ს ტერბანდებისაგან პოლიტიკურ დევნას უკრაინაში გაქცევით დააღწია თავი, დაწერა ვრეცელი გამოკვლევა (გამოქვეყნდა რამოდენიმე ბლოგის რუნეტზე) რუსეთში ანტიფეოდალური რევოლუციის აუცილებლობის შესახებ.

პორფესორი მიუთითებს, რომ რუსული ნაციონალიზმი აყვანილი იქნა ჩეკისტური ხუნტის შეაირაღებაზე, ამიტომ ახლა მოძველდა და უდნა იქნეს საბოლოოდ უარყოფილი. კერძოდ კი, აღნიშნავს პროფესორი:

„რუსები 2050 წლისათვის გაქრებიან გენოციდის შედეგად, რომელიც გაჩაღებულია რუსი ხალხის წინააღმდეგ „საყვარელი“ მოსკოვის ფეოდალური სახელმწიფოს მიერ, ან კიდევ, ისინი გაანადგურებენ ამ სახელმწიფოს.

მაგრამ, როგორ უნდა განადგურდეს ჩეკისტური იმპერია ხალხის ძალებით? ხალხი დასუსტებული, დაქსაქსული, დემორალიზებული და გამოთაყვანებულია. პუტინის ჯალათები კი მილიონობითაა. ეს შესანიშნავად დაასაბუთა ცნობილმა მწერალმა ვიქტორ სუვოროვმა.

მან რუსეთში ხალხის მდგომარეობა შეადარა ალყაშემორტყმული და საბრძოლო მასალისაგან დაცლილ დივიზიას. დიახ, ფეოდალურმა იმპერიამ ალყა შემოარტყა ხალხს. ყველას ვერ მოუწევს გადარჩენა. ალყიდან პატარა ჯგუფებად უნდა დავძვრეთ. რუსეთში, ანტიფეოდალური რევოლუციის სიტუაციაში, ეს ნიშნავს ჩეკისტური ფეოდალური წრის მარწუხებიდან ცალკეული რეგიონებით თავის დაღწევას იქ, სადაც ეს შესაძლებელია. მთლიანობაში „დივიზია“ განწირულია. ასე კი არის შანსი მრავალთა შველისა. ერთი, ორი, სამი რუსული რეგიონის გასვლა მოსკოვის ჩეკისტური ფეოდალური წრიდან წამსვე გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას. ერთბაშად აღსდგება ჩრდილოეთ კავკასია, სათათრეთი და ბაშკირეთი. მოსკოვი უძლური იქნება რაიმე მოიმოქმედოს ასეთ სიტუაციაში. და მაშინ იძლევა ეს ჯაჭვური რეაქცია შანსს სხვების განთავისუფლებისა.

იქნება კი ეს ყველა რეგიონისა და სოციალური ფენისათვის კარგი? ყველასთვის, სხვადასხვაგვარად! თვით მოსკოვისათვის კი ეს ნამდვილად არ იქნება კარგი, ვერავისგან აიღებს აურაცხელ ხარკს. ნამდვილად უკეთესად იქნება ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი.

ცენტრალური რუსეთი?

აქ ყველაფერი დამოკიდებული იქნება ხალხის რეაქციაზე. არ არის რესურსები? ბელორუსსაც არ აქვს რესურსები, მაგრამ უბრალო ადამიანები ცხოვრობენ უკეთესად, ვიდრე მაგალითად ცენტრალური და შიდა რუსეთის მაცხოვრებლები.

ჩვენ ვსაუბრობთ რეგიონებზე, მაგრამ კიდევ არის არაერთგვაროვანი სოციალური ჯგუფების მომავალი. რა თქმა უნდა, მენტები და პუტინის სხვა ძაღლები, უარესად იცხოვრებენ. დაუცველი მოსახლეობის დაუსჯელი ძარცვა დასრულდება. და თვით მოსახლეობაც გაუხსენებს რაღაცეებს ამ „ბატონებს“, რომლებიც თავიანთ თავს ახალ კეთილშობილებად წარმოისახავენ.

სხვა თანასწორთა შორის ხალხის დიდი ნაწილი უკეთესად იქნება. თუ უმალვე მაძღარი არა, — როგორც მინიმუმი, ბევრად თავისუფალი და ღირსეული.

უკეთესად გახდება მრავალი, და არა ოლიგარქები და ელიტა. არამედ სწორედ მასების მრავალი ფენა. აბსოლუტურ უმრავლესობას მიეცემა შანსი თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისა. ეს გაცილებით უკეთესია პუტინის ჩლუნგ, ჩეკისტურ ფეოდალურ თავდაუღწევლობაზე.

თანამედროვე რუსული ნაციონალიზმი უარყოფს ასეთ გზას, მაგრამ ამგვარად ნამდვილად ეშველება ყველას, რათა ყველა უკეთესად გახდეს.

მაგრამ თუ არ უნდა ყველას გადარჩენა? სიმხდალის ან სისულელის გამო? მაშ, სხვები, რომლებიც მზად არიან საკუთარი მომავლისათვის იბრძოლონ, უნდა დაიღუპნონ „კამპანიისათვის“?

პრიმორიის პარტიზანებმა უჩვენეს გამარჯვების შესაძლებლობა შორეულ აღმოსავლეთში, თავიანთი სიცოცხლის მსხვერპლის ფასად განახორციელეს ტრაგიკული, მაგრამ წარმატებული ბუნებრივი ექსპერიმენტი. ამ ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ „დანაკარგების – ეფექტურობის“ კრიტერიუმის მსოფლმხედველობიდან, კრიტერიუმისა, რომელიც დამუშავებულია სწორედ სამხედრო პრობლემების შესაფასებლად, შორეულ აღმოსავლეთში წინააღმდეგობის გამარჯვება შესაძლებელია.

ხუთი პარტიზანის წინააღმდეგ იბრძოდა დაახლოებით 2 ათასი, ვეტმფრენებისა და ჯავშანტექნიკის დახმარებით. ხუთასის წინააღმდეგ საჭირო იქნებოდა 200 000. არმია, მცოდნეთა შეფასებით, რბილად რომ ვთქვათ, სულ მცირე „რაიმის შემთხვევაში“ „ხელისუფლებას მხარს არ დაუჭერდა“, ეს როგორც მინიმუმი, მაგრამ მაქსიმუმი?

გაძლიერება რუსეთიდან? მაგრამ ეს გაძნელდება და გადაყვანას დიდი ხანი დასჭირდება, ერთადერთი დაზიანებული გზით.

შორეული აღმოსავლეთი გამოყოფისათვის მზადაა. მზადაა მენტალურად (პრიმორიის პარტიზანებით აღფრთოვანებული იყვნენ მთელს რუსეთში, მაგრამ შორეულ აღმოსავლეთში, განსაკუთრებულად). მზადაა სამხედრო-სტრატეგიული თვალთახედვითაც, რამეთუ არაფერს ღებულობს რუსეთისაგან, არამედ ამაოდ გასცემს. მზადაა პოლიტიკურად, რამეთუ მთელი ელიტა ადგილობრივია და ხსოვნა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკისა ცოცხალია.

და რაღას უბრძანებთ შორეულ აღმოსავლეთს, რომელმაც თავისი თავი გაინთავისუფლა, შემდეგ მთელი რუსეთი იხსნა მოსკოვის უღლისაგან? არაფერიც, თვით, თვით განისარჯენით.

მაგრამ შორეულ აღმოსავლეთს შეუძლია დარტყმა მიაყენოს რეჟიმს. რეჟიმი აღესრულება. და მაშინ ვიღაცა, ვინც აღმოჩნდება ანტიფეოდალური რევოლუციის პერსპექტივის თვალთახედვით უარეს ყოფაში, შეუძლია ისარგებლოს რეჟიმის დასუსტებითა და დაიწყოს საკუთარი ბრძოლა.

და აქ ძალზედ მთავარია რევოლუციური წინააღმდეგობის კოალიციური პოტენციალი. თუ პრიმორიელები და კალინინგრადელები, რუსები შეძლებენ თათრებთან, ბაშკირებთან და ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებთან შეთანხმებას, ჩეკისტური უღლის მარწუხებქვეშ გმნინვა რუს ხალხს დიდხანს არ მოუწევთ.

სახალხო-განმათავისუფლებელი ანტიფეოდალური რევოლუციის წარმატებისათვის საჭიროა მეგობრობის ცოდნა. „ეს როგორ, კავკასიელებთან მეგობრობა?!“

მაშ, როგორ, მხარი დავუჭიროთ პუტინს, მძინარე თანამოქალაქეების ამფეთქებელს, მხოლოდ იმისათვის, რომ ხელისუფლებაში მოვიყვანოთ? მათთან და მათ მკვლელებთან მძინარეების „შეგობრობა“ შეიძლება, თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიელებთან კი არ შეიძლება?!

გონს მოეგეთ! კავკასიის წიანაღმდეგობის მებრძოლები არ იბრძვიან თავიანთი საკუთრების მიღმა რუსეთში, არამედ იბრძვიან თავიანთ მიწაზე, კავკასიაში, იცხოვრონ ისე, როგორც მათ ესურვილებათ.

რუსები კი, რისთვის იბრძვიან? განა იმისათვის არა, მოსკოვისაგან თავისუფლად, ციმბირში ცხოვრების უფლებისათვის? განა იმისათვის არა, რათა განაგონ პრიმორიის დოვლათი პრიმორელების სასიკეთოდ? ან იქნებ თქვენ, ნაციონალისტებო, უპირატესობას ანიჭებთ ხელი გაუწოდოთ მას, ვინც თქვა „რუსეთი რუსებისთვის?“ ასე, რომ თქვენ, ნაციონალისტები არ ხართ! თქვენ მაზოხისტები ხართ!

ან კიდევ, რატომ არ შეუძლია ევროპელ ოლიგარქს საერთო ენის გამონახვა, რომელიც გამუდმებით ცახცახებს, რამეთუ მას პიტერელი ჩეკისტების რომელიმე ვიცე-პრემიერი გაძარცვავს და პროვინციაში, რომელიმე პატარა მაღაზიის რუს მფლობელს, რომელსაც არეკეტებს თანატომელი, ადგილობრივი მენტების მეთაური? მათ საერთო ინტერესები აქვთ. შეიგნეთ ეს ხილული ჭეშმარიტება!

ყველა რუსი მზად არ არის ამისათვის. რეგიონალური ანტიფეოდალური რევოლუცია შესაძლებელს გახდის ცივილიზებული „განქორწინების“ განხორციელებას. დაე, ის რეგიონები, რომელთა მოსახლეობაც მზად არ არის მოვლენების განვითარებისათვის, მიემხრონ მოსკოვს.

მაგრამ ამ რეგიონებიდან სხვა მენტალიტეტის ხალხი წავა პოსტრუსული სივრცის ახალ თავისუფალ ქვეყნებში. განხორციელდება არა მარტო რეგიონალური, არამედ მსოფლმხედველობრივი სეპარაცია. თითოეულ რეგიონში თავს მოიყრიან თანამოაზრენი. ისინი, ვინც ეთანხმებიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოდელებს, რომლებიც მოცემულ რეგიონში ბატონობს.

მაგრამ თუ მოსკოვი შენარჩუნდება, ცოტას დაყოვნდება და მოინდომებს ძალით დაიბრუნოს იმპერიას ჩამოშორებული ნაჭრები?

პირველყოვლისა, ეს კიდევ საკითხავია, შენარჩუნდება კი? ის ხომ ისედაც კვამლით სუნთქავს. თუმც რეალურად არვინ ეხება (ჯერ არ ეხება). თვით ჩაინთქმება ცხოვრების უზრუნველყოფის საკობბსა და პრობლემებში. ასე რომ შეეხე – დაიმსხვრევა! დაიმსხვრევა ფიზიკურად. ხანძრებისა და გვალვებისაგან, როგორც ახლა, ან კიდევ ელსადგურებზე კასკადური ავარიებისას.

და თუ მანიც შენარჩუნდება მოსკოვი, რა! დამცრობილი, დაუძლურებული რუსეთი შეძლებს ერთდროულად აწარმოოს დაპყრობითი ომები მისგან განთავისუფლებული რეგიონების წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, ვერა! ის ერთ ჩრდილოეთ კავკასიასთანაც ვერ შეძლებს გამკლავებას! და უკვე ჩრდილოეთ-კავკასიასთან და ერთდროულად რამოდენიმე რეგიონთან, ძითუმეტეს, სათათრეთსა და ბაშკირეთს, საერთოდ ვერ აუვა.

და თუ მსწრაფულ არ დაიმხსვრევა, მაშინ თანდათანობით დაემხობა. განაპირა მხარეებიდან, თვით მოსკოვამდის“.

სულ უფრო მეტი რუსი უბრუნდება თავის ფინო-უგორულ ფესვებს მოსკოველი პოლიტოლოგ „კალაშნიკოვის“ დამოწმებით, უკვე მრავალმა მილიონმა რუსმა შეწყვიტა თავის-თავის ჩათვლა რუსად და დაუბრუნდა თავის ჭეშმარიტ ფინო-უგორულ ფესვებს.

თანამედროვე მეცნიერებს აღიზიანებთ მე-18 –ე საუკუნის გერმანელი მასონების გამონაგონი „სამერთა სლავიანური რუსი ხალხის“ შესახებ. რუსი, უკრაინელისა და ბელორუსის ძმა არ არის, არამედ უბოროტესი საუკუნო გენეტიკური მტერი.

ერთიანი რუსი ხალხი არ არსებობს, არამედ არის მრავალი ათეული ფინო-უგორული ტომი, რომლებსაც ფარულად ეზიზღებათ ერთურთი, რაც ხსნის საუკუნოვან ბოროტებას, რუსების სიძულვილსა და სისასტიკეს ერთმანეთთან ძმამრთებაში.

ინტერნეტ ქსელში გამოქვეყნდა ცნობილი ისტორიკოსის ნადეჟდა კორნევას სტატია, რომელშიც ის ძირითადად აღნიშნავს:

„რატომ ეგუებიან რუსები გამუდმებულ პრობლემებს პოლონელებთან ან დასავლეთ უკრაინელებთან, მაგრამ შესანიშნავად ცხოვრობენ ერზიანებთან და კარელებთან? ამ ზამთარს რატომ გამოვიდა ქუჩებში კარელებთან, ფინებთან და ვეპებთან ერთად ასეულობით რუსი სორტავალში და ლახდენპოხიეში ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების — კარელიის დამოუკიდებლობა და მის ფინეთთან შეერთების მხარდასაჭერად?

სკოლის მერხიდანვე ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ რუსების ისტორიული სამშობლო კიევის რუსეთია, საიდანაც ხალხი განიბნა უფრო შორს აღმოსავლეთით. ერთია კი, რომ იმდროინდელი გზების და გადაადგილების საშუალებების არქონის პირობებში, უგზოობით, ჭაობებითა და გაუვალი ტყეებით, ვერ ცერთ აღმოსავლელ სლავს თანამედროვე ცენტრალური რუსეთის საზღვრებში ეთნიკური მნიშვნელობის მასშტაბებში, თავიანთი მრავალრიცხოვანი ოჯახებით, საქონლით და საოჯახო აღჭურვილობით ფიზიკურად არ შეეძლო ამ ადგილებში გადასახლება.

რუსეთის უძველესი ქალაქებიდან ერთ-ერთის სახელწოდება – კოსტრომა – შეიძლება აიხსნას არა მარტო ბალტურ-ფინურად „კოსტო მაა“ – „შურისძიების მიწა“, არამედ მერაჟანულადაც „კოსტრუ ომა“ – „ქალაქთა დედა“.

ჩვენს მხარეებში ყველა გეოგერფიული სახელწოდება ლამაზი და ღრმა შინაარსისაა: ვოლგა – ნათელი, ამავე დროს „წმინდა“ მდინარე, შუნგა – მომღერალი მდინარე, ვეტლუგა – მდინარე ტირიფების ტევრში, ტებზა – ჩიტების საგალობელი, შაჩა – ლამაზი, ნეია –ღრუბლიანი, ჭაობიანი, მეზა – მცირე, პოკშა — წყალუხვი, ანდომა – მარჩენალი დედა, ვოსტოშშა – შეხვედრების მიწა.

ისეთი დეგგმირები, როგორც ილია ბრძენი, ალიოშა პოპოვიჩი და დობრინია ნიკიტიჩი, პოლონელებსა და ჩეხებს არ ჰყავთ. ფინებთან „კალევალაში“ ისინი არიან – ილმარინენი, ვაინიამეინენი და ლემინკაინენი. რზიანებს ჰყავთ თავიანთი დეგგმირები „მასტორავაში“. ილია ბრძენი წარმოშობით სოფელ კარაჩაროვოდანაა, რომელიც მორომთანაა. დობრინია ნიკიტიჩი – რიაზანიდანაა (ერზიანი), ალიოშა პოპოვიჩი კი – როსტოვიდან (იაროსლავის), სადაც ლეგენდარულ დროში და არც შემდეგ არავითარი სლავი მოსულები დნეპრისპირეთიდან არ იყვნენ, არამედ ცხოვრობდნენ ვოლგისპირელი ფინები – მურომები, ერზია და მერია.

სიტყვა „რასკე“ თანამედროვე ერზიანულიდან თარგმანში „ნათესავები“, ან უბრალოდ, „ჩვენი ხალხი“.

უცებ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულად, ელვისებური სისწრაფით გაქრნენ მთელი რიგი ხალხები, რომლებიც ითვლიდნენ მილიონობით ადამიანს – მერიას, მურომას და მეშვიორებს. ერთ საათში რატომ შეწყვიტა ადგილობრივმა მოსახლეობამ ფინო-ვოლგურ ენებზე საუბარი?

ეს ყველაფერი ხდება XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც პატრიარქ ნიკონის საკლესიო რეფორმის შემდეგ, რუსეთის ტახტს იკავებს პეტრე I, რომლის დროსაც რუსეთი ხდება იმპერიად. ქვეყანა იძირება სისხლში. იწყება სტაროობრიადცების დევნა. ინერგება ახალი რელიგია – ნიკონიანობა, რომელსაც აღიარებენ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დღევანდელი ადეპტები. ახლადგაჩენილი მეცნიერებათა აკადემიის კაბინეტების სიჩუმეში ევროპელი პროფესურა თხზავს რუსეთის ისტორიის ახალ ვარიანტს.

ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებსაც არ უნდოდა მიეღო ნიკონიანობა, თავს აფარებს ძნელად მისაწვდომ ტყეებს იმიერ ვოლგისპირეთში – დღევანდელი მარი-ეპის ტერიტორიაზე, აგრეთვე მოკშისა და სურის შუამდინარეთში.

რუსული ღმერთების სახელების – პერუნი, ველესი, მაკოჟი – ახსნა თანამედროვე რუსული ენის თვალთახედვით ძნელდება. თანამედროვე ერზიანულ ენაში კი არსებობს ჟღერადობითა და წერილობით გამაოგნებლად მსგავსი სიტყვები: „ველე“ – სოფელი, „მაკოსოზ“ – გათხოვილი ქალი, „პერიამს“ – მკითხაობა.

ამას გარდა, ერზიას ხალხის თვითდასახელება წარმოსდგება „ერიცა“-დან – ცხოვრება, „ერი“ კი აღნიშნავს უბრალოდ, მაცხოვრებელს.

ნადეჟდა კორნევა

რუსულიდან თარგმნა ძეთევან ჭანტურიამ

დიდსულოვანი და დიდბუნებოვანი

ქალბატონ ლია ანდღულაძესთან ჩემი პირველი შეხვედრა 1985 წელს შედგა. მისი, როგორც მეცნიერისა და ლიტერატორის სახელი და გვარი ჩემთვის უცნობი არ იყო, მაგრამ ახლოს, არასოდეს მენახა.

ზაფხულის ერთ ღამეს, ბატონი ზვიადი, მორიგი საიდუმლო ვიზიტით მეწვია შინ და მთხოვა: ხვალ ლიტერატურის ინსტიტუტში მიდი, ლია ანდღულაძე ნახე, ჩვენი არალეგალური ჟურნალისათვის მასალებს გამოგატანსო.

ლიტერატურის ინსტიტუტში, ზუსტად ზვიადის მიერ დასახელებულ დროს მივედი. მეორე სართულის კიბეზე ასულმა, დერეფანში, ფრთხილი ნაბიჯებით მოარული მომცრო ტანის ქალბატონი დავინახე. ერთმანეთს დავაკვირდით. მიახლოებულს კი დაბალი ხმით მკითხა: „ლეილა ხარ“ო? მე მდუმარედ დავუქნიე თავი. მან აქეთ-იქით მიმოიხედა და შეფარული მღელვარებით, დერეფნის, შედარებით მყუდრო ადგილისკენ გამიძღვა, უბიდან დაკეცილი ქაღალდები ამოაძვრინა და გაწვდილ ხელჩანთაში ჩამიდო. ერთმანეთს თვალებით გამოვემშვიდობეთ და ის იყო სწრაფად დავეშვი კიბეზე, რომ ზურგიდან, ვიღაც ადმინისტრაციული მუშაკის (შეიძლება, პარტკომის) მკაცრი ხმა წამომეწია (ასეთები ყველგან და მუდამ კიბე -დერეფნებს ზვერავდნენ და, როგორ-თუ უცხო გამოვეპარე!): „თქვენ, ვინ გნებავდათ?!“ არც შემიხედავს (რომ არ დავემახსოვრებინე), ისე მივუგე: „აქ, არავინ, სადარბაზო შემეშალა“-მეთქი და თავაუწევლად, სწრაფადვე ჩავთავე კიბე (ინსტიტუტის გვერდითა სადარბაზო საცხოვრებელი იყო და ამ შემთხვევით უმალ ვისარგებლე). ზვიადს, მასალების გადაცემისას, რადგან არაფერი უკითხავს, მეც ზედმეტის თქმას მოვერიდე და ამ ეპიზოდის შესახებ მისთვის არ მითქვამს. ქალბატონ ლიასაგან კი მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობა გამომყვა და ღრმად ჩამეჭედა გულში. პატივისცემისა, ასაკობრივი ცენზის გამო, რომელსაც პირწმინდად წაეშალა ასაკობრივი ზღვარი პატრიოტიზმთან და იდეურ ფასეულობებთან მიმართებაში.

სამშობლოს სიყვარულში, ჩვენ, სამი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, თანატოლები ვიყავით! იმ მყისიერი აღმოჩენის სურათ-ხატი, დღესაც, ზებუნებრივი სიყვარულით მითბობს გულს.

აგრეთვე, მინდა გავიხსენო, ქ-ნ ლიას არაორდინალურობაზე მეტყველი, ერთი მეტად შთამბეჭდავი ეპიზოდი; როდესაც პავლე ინგოროყვა გამოასვენეს, ქ-ნ ლიამ, ზვიადს, მოკრძალებით თხოვა, მიეცა მისთვის უფლება, თავადაც მხრებით შედგომოდა კუბოს. ზვიადმა, თხოვნა (წეს-ჩვეულებიდან გამომდინარე) აშკარად იუხერხულა, მაგრამ წუთიერად მაინც დაუკმაყოფილა გულითადი სურვილი და მერმე თავადვე გამოარიდა იგი ქალისთვის შეუფერებელ საპატიო ტვირთს და კვლავ თვითონვე რაინდულად შეენაცვლა; ქალბატონმა ლიამ კი, ამ არაორდინალური ჟესტით, ხაზგასმით გამოხატა ღრმა პატივისცემა, მე-20 საუკუნის ამ ეროვნული და ჭეშმარიტი მეცნიერისადმი, რომელსაც არა და არ წყალობდა და არ ცნობდა საბჭოთა ხელისუფლება.

მიუხედავად ხანდაზმულობის და სერიოზული ავადმყოფობისა, ქ-ნ ლია, უკანასკნელ დრომდე, შრომისმოყვარე და ნაყოფიერი მეცნიერ-ლიტერატორი იყო; მან, სწორედ, ცხოვრების მიმწუხრს გამოსცა ათამდე წიგნი, რომლებსაც იგი ხელების კანკალით ქმნიდა.

ჩემსა და ქ-ნ ლიას შორის ჰარმონიული ურთიერთობა პოზიციურმა კონფლიქტმა შეარყია; ვერაფრით ვეგუებოდი ქ-ნ ლიას ხოტბას სააკაშვილისადმი, რაშიც კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი და ჩვენს გაზეთშიც ვრცელი წერილი მივუძღვენით მის კრიტიკას (იხ. „განმათავისუფლებელი“, 2008, №16, გვ. 8-9). გაზეთ „ასავალ-დასავალშიც“ მოურიდებლად გავაკრიტიკეთ, რის გამოც ერთხელ დამირეკა და მისაყვედურა: „ლეილა, ძალიან მესხმით თავს, არ მინდობთ, ცოდვა ვარ“-ო. ხოლო თავის სიმპატიებს სააკაშვილის მიმართ, უმთავრესად, ოპოზიციისადმი სრული უნდობლობით ხსნიდა. ამ ნაწილში მეც ვეთანხმებოდი.

მიუხედავად, ჩვენი საჯარო კრიტიკით მიყენებული გულის ტკივილისა, მას ჩვენი გაზეთის დაფინანსება არ შეუწყვეტია (თავისი პენსიიდან, 20 ლარს, ყოველთვის წირავდა ჩვენს გამოცემას), რაც, უდავოდ, მის პიროვნულ დიდბუნებოვნებასა და დიდსულოვნებაზე მეტყველებს. ქ-ნ ლია, არათუ შეძლებისდაგვარად აფინანსებდა, არამედ ყიდულობდა-კიდეც გაზეთს. ამ უკანასკნელის აღნიშვნა უცილობლად იმიტომ მივიჩნიეთ, რომ ეროვნული მოძრაობის სახელით გამომავალ ამ ერთადერთ გაზეთს, თითქოს მკითხველ-მყიდველი არ უნდა აკლდეს, მაგრამ ეროვნული მოძრაობის არმიიდან, ამდენადაც აღარ გვიდგანან მხარში, ხოლო ქალბატონ ლია ანდღულაძეში კი, სანაქებოდ მაღალი იყო ეროვნული თვითშეგნება.

ლია ანდღულაძემ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ზვიადს „ზვიად გამსახურდიას ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიის“ შედგენით, რომელიც საბჭოთა დროიდან შემორჩენილ 12-ფურცლიან, ცალხაზიან „тетрадь“-ზე დაუწერია და ასე, ხელნაწერის სახით მე გადმომცა: „შენ უპატრონე“ო. ქ-ნ ლიამ, აგრეთვე გადმომცა საკუთარი ლექსების ხელნაწერები. გარდაცვალებამდე, ერთი თვით ადრე, მან მაჩუქა თავისი ორი უკანასკნელი წიგნი, მათ შორის, ერთი ლექსებისა. წინამდებარე გამოსათხოვარის დაწერამდე, ლექსების წიგნი გადავათვალიერე და მასში შეტანილი არ აღმოჩნდა ის ლექსები, რომელიც მე ხელნაწერის სახით მისახსოვრა. მართალია, ქ-ნ ლიას ლექსები პოეტურ შედევრებს არ წარმოადგენენ (რაც, თავადაც, ჩვენზე უკეთ უწყოდა), მაგრამ იმის დასტურად, რომ იგი მრავალმხრივი შემოქმედი იყო, ვბეჭდავ მის ერთ-ერთ ხელნაწერ ლექსს და ამით ვემშვიდობები ამ ჭეშმარიტად დიდბუნებოვან და დიდსულოვან ქალბატონს.

ლეილა ცომაია

დასაფიცარი ქალბატონი

ჩვენში მხოლოდ დედ–მამას იფიცებენ, ტრადიციულად... იშვიათად, – დედ–მამიშვილსაც...

ლია ანდღულაძეს, თანამებრძოლი, უსათუოდ დაიფიცებდა, მაგრამ ჩვევაში არა გვაქვს.

ქალურზე – ქალური არსება, მუდამ შენკიპული იყო საქართველოს მტრების წინააღმდეგ.

ამის ურყევი მიზეზიც ჰქონდა: სამშობლო მისი, საუკუნოვან მონობაში ჰყავდა რუსეთის იმპერიას, ხოლო მშობელი მამა – სამშობლოს სიყვარულისთვის გადასახლებიდან აღარ დაბრუნებულა.

პირმშვენიერი და ხმატკბილი...

ერთხელ სუფრასთან უმღერია ქ–ნ ლიას. სტუმარს უკითხავს, რა გვარისაარ? – ანდღულაძეო, მიუგეს... თუმცა ხმა თავად არ მეტყველებს მის გვარზეო? მოუბოდიშებიასავით შემკითხველს...

იატაკქვეშეთიდან გამოვიდა თუ არა ეროვნული მოძრაობა, ქ–ნი ლია, მის რიგებში გაჩნდა.

პირველი მიტინგი ძველი ვერის პარკში (კიროვის ბაღი) ჩატარდა, 50–მდე აქტივისტი ვესწრებოდით, აგრეთვე ქ–ნი ლია. ვიდექით ხის ჩრდილში. ზვიადი დავით გარეჯის პრობლემებზე საუბრობდა, მერაბის ნათქვამიდან მახსოვს, ამ პარკს "Hait park"-ი უნდა დაერქვას, სადაც თავისუფალ აზრს გამოხატავს ადამიანიო. მიტინგზე ქ–ნი ლია საბრძოლო ცნობიერებით მოვიდა.

მის მზადყოფნაზე მიუთითებს ქ–ნის ჩანაწერი, როცა იგი თანამოაზრეთა ჯგუფით აბაშაში, კონსტანტინე გამსახურდიას მშობლიურ კერას ეწვია: "ეზოს გვერდით პატარა მდინარე ზანა მოედინება. ალბათ აქ ბანდა ბატონი კონსტანტინე ცხენს, როცა გაიგო ილიას მკვლელობის ამბავი და დაიფიცა, მთელ თავის ცხოვრებას მიუძღვნიდა ილიას მკვლელების წინააღმდეგ ბრძოლას"...

ჭეშმარიტად აღასრულა დიდოსტატმა თავისი ნაფიცი. ამ გზით იარა სულმნათმა ზვიად გამსახურდიამ, ეროვნულმა მოძრაობამ.

ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო, აღსრულდა რჩეულ მამულიშვილთა საუკუნოვანი ოცნება. სულმნათმა ზვიად გამსახურდიამ, ქვეყნიერებას აუწყა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა!

პირველმა პრეზიდენტმა, განათლების მინისტრის მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე მიიწვია ქ–ნი ლია. არც ერთი წუთით არ გამდგარა გვერდით. დევნილობაშიც კი საქართველოს უზენაესი საბჭო მტკიცედ მოღვაწეობდა.

იყო ამ ქვეყნად ქალბატონი და სიცოცხლემ მის გვერდით ჩაიარა. იგი ქვეყნისთვის ცხოვრობდა. უხვად გასცემდა ნიჭსა და შესაძლებლობებს.

ადრე დაობლდა და ადრე დაქვრივდა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მრავალი საინტერესო ნაშრომის ავტორია რუსთველოლოგიაში. პავლე ინგოროყვა და კონსტანტინე ბალმონტი. სხვადასხვა თარგმანთა მიმოხილვა ეკუთვნის ქ–ნ ლიას კალამს.

უამრავი მასალა დაუგროვდა მკვლევარსა და მოღვაწეს, მრავალი უნიკალური წყარო აღმოჩნდა ქ–ნის ხელში. მან წესრიგში მოყვანილი მრავალი საინტერესო წერილობითი დოკუმენტი გადასცა სიძველეთა მუზეუმს.

დატოვა ათზე მეტი წიგნი, 200–ზე მეტი საგაზეთო წერილი.

ერთხელ ქ–ნმა ლიამ მითხრა: – მამიდას თუ რომელიღაც ახლო ნათესავს ვსტუმრობდი სოფელ ბახვში, გამომშვიდობებისას გულდაწყვეტით მითხრა: – შენს მოსვლაზე უფრო, წასვლა მწყინსო,

ჩვენს განწყობას ეხმიანება ეს ნათქვამი. მეტად მძიმეა ჩვენთვის მისი სამუდამო წასვლა!

ღმერთმა გაანათოს ქ–ნი ლიას დაუვიწყარი სახე და სახელი!

რევაზ ურუშაძე

1992 წლის მარტის ღამის შემზარავი სურათები კოლხურ კოშკში

უშნეობა დაღლილიყო რუსთაველზე თარეშით
და გაზაფხულს გვპირდებოდა იმედების გარეშე.
მარტი მაინც კვირტს ნასკვავდა, უნებართვო მდგმურივით,
და კოლხურ კოშკს შესცქეროდა იმედის სადგურივით,
ღამე იყო – დრო ავსულთა: იუდას და სატანის,
მზადდებოდა ცეცხლის ცელით მოწეული სამკალი.
ამ ჭიშკართან მოწიწება უკვე წამებს ითვლიდა,
რადგან ეშმა სიმართლეზე აღზევებას იმკიდა.
როცა ისრით მიაწვდინეს ცეცხლი კოშკის ქანდარას –
მასპინძლები, საფლავიდან ჯვრებით ხელში ამდგარან.
თავად ალიც, ასხლეტილი, მოგიზგიზე სარკმლიდან,
გაქცეულა: რუსთაველთან, ბოსიმესთან, დავითთან,
როცა ჩარჩოს ჩამოშორდა სათნო დედის ხატება –
ცეცხლსაც მუხლი მოუყრია მისი სულის ნათელთან.
"მოტაცებულ მთვარის" ყდიდან ამომწვარი ფურცლები,
ტრილოგიის ქართველ გმირებს ცრემლით უბეს უვსებდნენ.
როცა ცეცხლი მოეკიდა წიგნებს – სულის საუნჯეს,
გაზაფხულის ვარსკვლავებმა სიმწრით თვალი დახუჭეს.
იწვებოდა სახელები 18 წლის აქტიდან...
გრძელდებოდა რექვიემი შეწყვეტილი ტაქტიდან.
კონტრასტული სურათები – ვნება დროით აჭრილი:
სვეტიცხოვლის ტაძარი და ცეცხლი აღვირახსნილი.
ერთმანეთში ჩაფერფლილი ფარსმანი და თარაში,
ანგელოზთა გოდება და იქედნეთა პარპაში.
ამ აშკარა ვანდალიზმთან დამარცხებულ კულტურას,
გოეთემ და არსაკიძემ თვალში ცრემლით უყურა.
დაისიცხა მარტის ნიშნად ამოსული კვირტები,
უმასპინძლო ნაკვერჩხლები თავში ხელებს იცემდნენ.
კვამლი ისე ახრჩოლებდა ღირსეულთა საცხოვრისს,
ჭიშკრიდანვე შეგზარავდათ შეკივლება მაცხოვრის,
გვკლავს სირცხვილი უმძაფრესი და ჭრილობა მარადი –
მის მადლიან მოვლინებას, როგორ ვერ ვუდარაჯეთ?!
მის ფუძეზე იძებნება ისევ თასი გრაალის.
ღვთისმშობელო, მოარიდე მის ბედს ჭირი მრავალი.
საქართველო არ იღლება მასზე ლოცვა–ვედრებით,
ვინც გვაქცია ქართველებად ბრძოლით, შემოქმედებით.
სახლი გვიცქერს დიდოსტატის უდრტვინველი სიურჩით.
ზეცა მაინც არ მოაკლებს ვარსკვლავიან სილურჯეს.
კოშკის მცველად ქონგურები დგანან წმინდა სანთლებად,
ლოდინისგან, ვედრებისგან ლოცვით ტანი აღნებათ.
კოლხურ კოშკის ღია კარი, თვალდათხრილი ფანჯრებით,
მილეწილი ქონგურებით გამოწვდილი მაჯებით.
გათელილი საფლავებით, გულგაცლილი თახჩებით,
ამომწვარი უპეებით, დაწვეტილი ძარღვებით.
ბიჭუნების ნაკვალევით, ეზოს მწვანე საფარით,
იქვე წყალით – უკვდავების და იმედის ზღაპარით.
დედა–ქალის ბასრი თვალი და ჭირთგამძლე ბუნება,
ამ გადამწვარ ნასახლარში ისევ დასაბრუნებლად.
ღმერთმა უნდა შეისმინოს ეს ვედრება ერისა –
ჩვენს რჩეულებს სამშობლოში დაბრუნება ეღირსოთ.

ლია ანდღულაძე,
1992 წლის მარტი

როგორ აკირჩიოთ მოძღვარი

(ვიწყებთ ბეჭდვას მოწამეთას დავით და კონსტანტინეს მამათა მონასტრის ფეხით მოსიარულე წმინდა ღმრთისმსახურის მამა გიორგის (გასილაძის) საღმრთო ხედვებს და წინასწარმეტყველებებს მისი წიგნიდან, რომელიც ხელმიუწვდომელია მრავალი დაინტერესებული ადამიანისათვის



კითხვა: მამა გიორგი, ადამიანთა დიდი ნაწილი, მათი არაეკლესიურად ცხოვრების მიზეზად სასულიერო პირთა მიმართ უნდობლობას ასახელებს. თქვენ რას ეტყოდით მათ?

პასუხი: გეტყვით აგერ: შენ თუ ერთგან ექიმი არ მოგწონს, რავა, მკურნალობაზე აიღებ ხელს, თუ კარგი ექიმის ძებნას დაიწყებ?! ჰოდა, ადამიანს, თუ გაცნობიერებული აქვს თავისი სულიერი უძლურებანი და სნეულებანი, და ისიც, რომ ღმერთს სულის მკურნალად მღვდლები ჰყავს დადგინებული, მაშინ ეს ადამიანი სულის მკურნალობის საქმეს არ მოეშვება და არ მოისვენებს მანამ, სანამ ნამდვილ მკურნალს არ მიაგნებს!.. ასე რომ, ვინც ნელთბილად და ზერელედ არ მიუდგება სულის გადარჩენის საქმეს, ღმერთი გამოუჩენს მას ჭეშმარიტ ღვთისმსახურს.

მეორე საკითხია, რომ სამღვდელოება არ უნდა იძლეოდეს ადამიანების დაბრკოლების საბაბს!.. ყველა ღვთისმსახური ნამდვილი უნდა იყოს. დამაბრკოლებელი და უსარგებლო „მსახურნი“ ეკლესიას არ უნდა ჰყავდეს. ქრისტე ღმერთიც მკაცრად ბრძანებს: „ვაი მას, ვისგანაც მოდის საცდური!“

დღეს, წესიერებაცა და გონებისმიერი ცოდნაც საკმარისი არ არის ღმრთიმსახურისათვის. მღვდელს სულიერი ხედვა და განსჯის უნარი უნდა გააჩნდეს; ასევე სულიერი ცხოვრების გამოცდილება, თავმდაბლობა და სიწმიდე. თუ საკუთარ ვნებათა დამარცხების გამოცდილება არა გაქვს, სხვას როგორღა დამოძღვრავ?! საშიშია, როცა სრულიად ახალგაზრდებს მოძღვრებად აკურთხებენ, და ზოგ შემთხვევაში, სასულიერო თანამდებობებზე ადგენენ. ეს დანაშაულია!.. სულიერი ხედვის გარეშე ვერავინ გახდება ნამდვილი მოძღვარი!..

„არ განიკითხო!“ – არ ნიშნავს თეთრი და შავი არ გაარჩიო, ან შავზე თქვა – თეთრიაო. წმ. მამებიც გვაფრთხილებენ: „გამოუცდელ და ვნებიან მოძღვრებს სულს ნუ ჩააბარებო!“

კითხვა: მამა გიორგი, რას ურჩევდით იმ ადამიანებს, რომელთაც სურთ ეკლესიური ცხოვრება, მაგრამ ჯერ ვერ შეურჩევიათ, ვერც ტაძარი და ვერც მოძღვარი?

პასუხი: დღეს, ღვთის მადლით, საქართველოში სალოცავები ბლომადაა, დიდება ღმერთს! ცოტა ხნის წინ სად იყო ტაძრები ასარჩევად?!..

უმჯობესია, ადამიანი თვითონ მივიდეს ტაძარში, სანამ მას ღმერთი განსაცდელებით მიიყვანდეს!.. რაც შეეხება არჩევანს, ჯერ გეტყვით, რას არ გირჩევდით, არ გირჩევთ:

1. ესა თუ ის ტაძარი მხოლოდ იმიტომ აირჩიოთ, რომ ტერიტორიულად ახლოსაა თქვენს სახლთან, ან კიდევ იმიტომ, რომ „პრესტიჟულია“. თბილისში ასეთი სიტყვაც გავიგე: „ელიტარული ფენის ტაძარი“. არ ვარგა ასე ხუმრობა! სახიფათოა უკრძალველობა!..

2. არ გირჩევთ სხვათა რჩევითა და რეკომენდაციებით აირჩიოთ ტაძარიც და მოძღვარიც.

ახლა გეტყვით, რას გირჩევდით: როგორც მოძღვარი, ისე ტაძარი, აირჩიოს თქვენმა სულმა!.. ამისთვის კი შედით და დაესწარით წირვა–ლოცვებს რამდენიმე ტაძარში და რომელ ტაძარშიც გალობა თქვენს გულს შეეხება, ან კიდევ გალობამ ლმობიერების ცრემლი მოგგვაროთ, აირჩიეთ ის ტაძარი!..

რაც შეეხება მოძღვრის არჩევას, ამ შემთხვევაში, ყურს ნუ დაუგდებთ სხვათა რჩევებს: ეს მოძღვარი ძლიერია, ის განათლებული, ის სულიერი და სხვა. ისინი შეიძლება იყვნენ ქების ღირსნიც, მაგრამ არ იყვნენ თქვენი მოძღვარნი!.. თქვენ ლოცვაში სთხოვეთ ღმერთს, რათა აგარჩევინოთ თქვენი სულის ახლობელი მოძღვარი. მერე დააკვირდით მოძღვრებს, მათ სხვადასხვა ნიჭები და თვისებები აქვთ, მაგრამ თქვენ, უპირველესად, დააკვირდით, თუ რამდენად ახლობელი და შინაურია იგი თქვენი სულისთვის. ესაა მთავარი იმისთვის, რომ შემდგომში შეძლოთ გულის გახსნა და გულწრფელი აღსარება, თუ მოძღვრიდან კრძალვა და შიშის გრძნობა უფრო ჭარბობს, იცოდეთ, მასთან გულწრფელი ვერ იქნებით. მთავარი კი მოძღვრისადმი ნდობაა, თუ ეს არ გექნათ, ვერც შეიყვარებთ და ვერც დაემორჩილებით. ასეთ შემთხვევაში რა ურთიერთობა უნდა ააწყოთ?!

ესაა ჩემი რჩევა დამწყებთათვის. სულიერებაში რომ წარემატებით, მოძღვრის მიმართ უკვე სხვა მოთხოვნები გაგიჩნდებათ და ისიც სხვა სულიერი კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს.

კითხვა: მამა გიორგი, არც ისე იშვიათია, როცა მორწმუნეს ურთულდება ერთი მოძღვრიდან სხვა მოძღვართან გადასვლა. მოძღვრები ამას ერთგვარი გაღიზიანებით, წყრომით, შეზღუდვით, „წყევის“ მაგვარი მუქარით პასუხობენ. თქვენ რას გვეტყოდით ამ საკითხთან მიმართებაში?

პასუხი: ყველაზე დიდი მოძღვარი ჩვენი ქრისტე ღმერთია!.. ქრისტე მხოლოდ მოუწოდებს!.. ის ღმერთია და მიუხედავად თავისი ძალაუფლებისა, არ მოითხოვს და არ აიძულებს ადამიანს, შეუდგეს მას. ქრისტე ღმერთმა ყველა ადამიანს მისცა არჩევანის უფლება! და თუ ქრისტე არ ზღუდავს ადამიანს, როგორ შეუძლია ქრისტეს მსახურ მღვდელს აიძულოს ან შეზღუდოს ვინმე?! ან „დააბას“ მორწმუნე ადამიანი?! ამის უფლება არა აქვს მღვდელს!..

თუ მოძღვარს აქვს რაიმე სერიოზული არგუმენტი, უნდობლობა ან კიდევ „ცოდვითი სამხილი“ იმ მოძღვრის მიმართ, რომელთანაც მისი მრევლი აპირებს გადასვლას, მან ეს პირადად უნდა უთხრას იმ მღვდელმსახურს, შემდგომ კი მხოლოდ შეგონებით, კეთილი რჩევით სცადოს მორწმუნის შეჩერება. მაგრამ, თუ მორწმუნე მაინც მტკიცედ იდგება თავის განზრახვაზე, უნდა გაუშვას ის, რა თქმა უნდა. მით უმეტეს, როცა მოძღვარს არ გააჩნია რაიმე სერიოზული მიზეზი სხვა მოძღვრის მიმართ!

მოძღვარს არა აქვს უფლება შეზღუდოს მორწმუნე, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ადამიანი პირველად მასთან მივიდა აღსარებაზე და არა რომელიმე სხვა მოძღვართან!

ასეთ ფაქტებს, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩვენს ეკლესიაში, იმაზე მეტყველებს, რომ მოძღვრებს ჯერაც აწუხებთ ამპარტავნება, პატივმოყვარეობა და სხვებზე მბრძანებლობის სურვილი, რაც ყოვლად დაუშვებელია სულიერი მოძღვრისათვის!

სულიერი მოძღვრისა და მორწმუნის ურთიერთობის ქვაკუთხედი არის სიყვარული, ნდობა და მორჩილება! ჭეშმარიტი მორჩილების არსი და მიზანი კი მდგომარეობს იმაში, რომ მორწმუნემ მოძღვრის ხელმძღვანელობით გააღწიოს ღმერთამდე და გახდეს თავისუფალი! მაცხოვარიც ხომ გვეუბნება: „მე გაგათავისუფლებთ თქვენო!.. თავისუფლებამდე კი მიგიყვანთ მხოლოდ ის, ვინც თვითონაა თავისუფალი!.. და არა ის, ვინც ბატონობის ჟინით არის შეპყრობილი!..

უნდა დაემორჩილოთ ქრისტეს სახელით იმას, ვისაც არ სურს სხვებზე ბატონობა და არა იმას, ვინც ქრისტეს სახელით, საკუთარი ვნების მონებად გაქცევთ!..

თავისუფალია მხოლოდ წმინდანი და მან იცის, როგორ მოგაპოვებინოთ თავისუფლება, როგორ გაგათავისუფლოთ ვნებებისა და წუთისოფლის ბორკილებისაგან! სხვა დანარჩენი ვერანაირად ვერ გაგათავისუფლებთ!.. მიუხედავად იმისა, შეიძლება ძალიან სურდეთ ეს მათ!..

მხოლოდ ჭეშმარიტი მოძღვრის ხელში იგემებს მორწმუნე მორჩილების ტკბილ ნაყოფს – თავისუფლებას. მხოლოდ წმიდა მოძღვრის ხელშია მორჩილება გულწრფელი, ნამდვილი და მაცხოვნებელი! ხოლო სულიერი ხედვისა და გამოცდილების არმქონე მოძღვრის ხელში გარდაუვალია მორწმუნის – თავისუფლების მაძიებლის, შინაგანი კონფლიქტი!.. რადგან, ამ შემთხვევაში მორჩილება ვერ იქნება გულწრფელი და ის აუცილებლად მიიღებს გარეგნულ სახეს, ხოლო გარეგნულ არაგულწრფელ „მორჩილებას“ მორწმუნე მიჰყავს მონობამდე, ან კიდევ შინაგან პროტესტამდე – ურჩობამდე!.. რელიგიური მონობა კი ყველა სხვა სახის მონობაზე გაცილებით საშიში და საზიანო მდგომარეობაა, რომელსაც ადამიანი მიჰყავს ან ფანატიზმამდე, ან კიდევ სრულ პიროვნულ წაშლამდე!

სულიერი მონობა საშინელებაა!!!

ჭეშმარიტი მორჩილება იქაა, სადაც მოძღვარი კი არ გაიძულებს, არამედ შენი სული გთხოვს მოძღვრისადმი მორჩილებას!

სულიერი ზრდისა და წვრთნის პროცესი ძნელი და მტკივნეული პროცესია. იგი აღსავსეა, როგორც სიხარულით, ასევე მწუხარებით. მორჩილება მოითხოვს საკუთარი ნების დათმობას და ყოველგვარი აკრძალვა, შეზღუდვა, თუნდაც მაცხოვნებელი, აუცილებლად იწვევს ტკივილსა და ტანჯვას, ხშირ შემთხვევაში შინაგან ჯანყსაც კი, და დიდი ოსტატობა და ხელოვნებაა საჭირო, ფაქიზად წარმართო სულისთვის აუცილებელი, მაგრამ მტკივნეული პროცესები. წმიდა მოძღვარი აწონასწორებს მორწმუნის შინაგან სამყაროს, იხედება რა მასში. ის სულგრძელობითა და სიყვარულით ითმენს მორჩილის ტკივილნარევ სულის „ამბოხს“. მადლითა და ნუგეშით მოულბობს სულსა და გულს. უხილავი ძაფებით გონივრულად მართავს მას. როცა იგივე პროცესები ამპარტავან და პატივმოყვარე მოძღვრის ხელში აუცილებლად სავალალოდ მთავრდება. ასეთი მოძღვარი ვერ ეგუება მორჩილის პროტესტს და შინაგან ჯანყს. ის მორწმუნის ასეთ ბუნებრივ გამოვლინებებს აღშფოთებითა და ზედმეტი სიმკაცრით პასუხობს, მიაწერს რა ყოველივეს „ეშმაკის მანქანებას“ და ცდილობს, უფრო და უფრო შეზღუდოს და გარეგანი „რეცეპტებით უწამლოს“ გაღიზიანებულ სულს და არა სულიერი მადლის შინაგანი შეხებით, რადგანაც მას ეს არ ძალუძს!.. ყველაფერს ვერ მოყვები და ვერც დაწერ!.. ეს ხომ ყოველდღიური, ცხოვრებისეული საკითხია.

სხვისი აღზრდა წიგნებით შეუძლებელია, თუ თვითონ არა გაქვს ეს გზა გავლილი!.. ყოველი ადამიანი უნიკალურია, მას განსხვავებული სულიერი, გონებრივი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თავისებურებები გააჩნია. ყოველ ადამიანს აქვს სულის განსხვავებული გასაღები. ამიტომ, მიუხედავად სიწმიდისა, მოძღვარი შეიძლება არ იყოს კონკრეტული ადამიანის მოძღვარი. მას შეუძლია, გაქაჩოს მორწმუნე, რაღაც ეტაპზე, აიყვანოს გარკვეულ საფეხურზე, მაგრამ შემდეგ მიუთითოს – ვინ და რა არის მისთვის აუცილებელი შემდგომი განვითარებისთვის.

დღეს ბევრი იფერებს „სულიერი მამის“ წოდებას, მაგრამ ვერც აცნობიერებენ, თუ რა ღრმა არსი დევს ამ სიტყვაში. მოძღვარი არ შეიძლება იყოს ყველას „სულიერი მამა“, ვინც კი მისულა მასთან. სულიერი მამობა დადგენილია ზეცაში და არა აქ, მიწაზე!.. შეიძლება მორწმუნემ იპოვოს წმიდა მოძღვარი, მაგრამ ადვილად ვერ მიაგნოს თავის სულიერ მამას!.. ეს სხვა თემაა!..

წმიდა მოძღვარი, არა თუ მტკივნეულად განიცდის მისი ხელქვეითის სხვა მღვდელმსახურთან ურთიერთობას, არამედ პირიქით, შეგნებულად უგზავნის სხვა წმ. მამას, ამა თუ იმ საკითხის დასამუშავებლად. ეს აუცილებელიცაა, რადგან ყოველ წმიდა მოძღვარს, ღვთისაგან სხვადასხვა სულიერი ნიჭი და შესაძლებლობა აქვს მინიჭებული. როგორც გითხარით, სხვა მოძღვართან მორწმუნის გადასვლა აღაშფოთებს მხოლოდ ამპარტავან და სულიერი ხედვის უქონელ მღვდელმსახურებს. ასეთები არა თუ სხვასთან „გადასვლას“, არამედ საერთოდ ურთიერთობასაც კი უკრძალავენ თავიანთ მრევლს. გლახა საქმეა ეს!.. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი მღვდლები არ არიან ჭეშმარიტი მოძღვრები და თუ ჭეშმარიტი არაა, რა საქმე უნდა გქონდეთ მათთან?!..

დიდ სულიერებას რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, ადამიანურადაც ვერ გამიგია – არ სურს ადამიანს პეტრესთან და უნდა იყოს პავლეს მორჩილი. მერედა რა არის ამაში უარსაყოფი?!.. თუ პეტრეც და პავლეც ქრისტეს ჭეშმარიტი მსახურები არიან?!.. და თუ პეტრე თვლის, რომ პავლე დაღუპავს მის „სულიერ შვილს“ – მაშინ პეტრეს, ადრევე უნდა ემხილებინა პავლე, სანამ მის „სულიერ შვილზე“ მიდგებოდა ჯერი!..

მრევლის სიმრავლეს, როგორც წესი, მიელტვიან სულიერი ხედვისა და გამოცდილების უქონელი „მოძღვრები“, რადგანაც, არც აქვთ გაცნობიერებული, თუ რასთან აქვთ საქმე, რადგანაც სულიერ ბრძოლაში, არც არიან ჩაბმულნი.

ჭეშმარიტი მოძღვრობა ურთულესი რამაა, ამაზე რთული საქმიანობა არ არსებობს! ეს უხილავი და დაუნდობელი ბრძოლაა თითოეული ადამიანის სულზე!..

სხვა საკითხია ის, თუ რატომ სურს მორწმუნეს, შეიცვალოს მოძღვარი, რა უდევს საფუძვლად მის ამ „გადასვლას!“ – ბევრს არა თუ მორჩილება, არამედ სამართლიანი შენიშვნის მიღებაც არ სურს. ბევრს სურს მოძღვარი ისე ექცეოდეს, როგორც ეს მას აწყობს და წარმოუდგენია. ბევრს, საერთოდ, ვერ გაუგია მოძღვრის აუცილებლობის არსი. ბევრი, საერთოდ, ზარმაცი და უქნარაა, ბევრი კი – მსუბუქი და თავნება; – ასეთი ხალხი, ბაბუა, მოძღვარს ვერ იპოვნის!.. და თუ „მიაგნეს“ წმიდა მოძღვრებს, ისინი მაინც ვერ წავლენ წინ!...

რედაქტორი ლეილა ცომაია

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***